# საერთო გაზეთი

№39 (306) ● 12 ნოემბერი, 2014 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● WWW.SAERTOGAZETI.GE ● ფასი 1 ლარი

## დავით ლორთქიფანიძე:

# პარტია „ქართული ოცნების“ გაძლიერების პროცესი დაიწყო


ზვიად ჯანყარაშვილი

„ჩვენ შევხვდით ზვიად ჯანყარაშვილს, მან თქვა, რომ მისთვის ერთი თვე საკმარისი იქნება, რომ სტრუქტურა დაალაგოს ცენტრალურ ოფისში, შემდეგ კი ყველა რაიონში“.

# რატომ მოხსნეს ირაკლი ალასანია მხოლოდ ერთხელ, როცა ის 4 ნოემბრამდე ათჯერ მაინც იყო მოსახსნელი?

## სოსო მანჯავიძე:



# მე გეტყვით, რა მოხდა რეალურად და რატომ გაათავისუფლა ღარიბაშვილმა ალასანია?

## ნიკუშა შენგელაია:

# „მიეცი ნიჭსა გზა ფართო, თაყვანისცემა ღირსებას...“



## გოგა ხაინდრავა:



„თუ ვინმემ შეუქმნა საფრთხე საქართველოს ევროატლანტიკურ კურსს, საფრთხე შუქმნა მაია ფანჯიკიძემ, ირაკლი ალასანიამ, პეტრიაშვილმა, ძმებმა დოლიძეებმა და მთელმა ამ ჯგუფმა“

# ერის ჯარისკაცი

„სხვა არაფერი უნდოდა, არც მოუთხოვია. გრიგოლ ხანძთელის შინაგანი სინათლით იყო განათებული. მასაც მეუდაბნოე ბერის შინაგანი რწმენა ეწეოდა თავდაუზოგავი, თავდავიწყებული შრომისაკენ.“


პავლე ინგოროყვა

„მარად და ყველგან, საქართველო, მე ვარ შენთანა...“
ილია

# პატრიოტი

## ორი გაზეთი ერთ გაზეთში



## ვახტანგ ხარჩილავა

4 ნოემბერს, ერთი კვირის წინათ, თავდაცვის მინისტრის გადაყენებით, ცოტა უფრო მეტი რამ მოხდა, ვიდრე ეს ერთი მინისტრის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებაა.

როგორც არ უნდა შეიფუთოს, როგორ მარტივად და ბანალურად არ წარმოჩინდეს ეს ამბავი, ფაქტია, მოხდა გაცილებით სერიოზული და მნიშვნელოვანი რამ, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს.

**პირადად ჩემთვის 4 ნოემბერს მიღებული მკაცრი და ხისტი გადაწყვეტილება იმის დასტურია, რომ ქართული სახელმწიფო, კერძოდ, მისი ახალი ხელისუფლება, როგორც სახელმწიფო ინსტიტუცია, შედგა და ის ამიერიდან არ აპირებს ვინმეს, ვინც არ უნდა იყოს იგი და რა ლოზუნგებსაც არ უნდა იყოს ამოფარებული, აპატიოს ქართული სახელმწიფოს და მისი ხელისუფლების აბუჩად აგდება და შეურაცხყოფა.**

ბოლო ერთი წლის განმავლობაში გაკეთებული განცხადებებით თუ ვიმსჯელებთ, ბატონი ალასანია თავის პერსონას ხაზგასმით და მოურიდებლად აყენებდა საქართველოს ხელისუფლებაზე მაღლა და საქმეს ისე წარმოაჩენდა, თითქოს ის არა მარტო თავდაცვის მინისტრი იყო, არამედ ის იყო პრემიერ-მინისტრიც, პრეზიდენტიც, პარლამენტის თავმჯდომარეც, ის იყო ექსკლუზიური უფლებებით აღჭურვილი ცალკე მთავრობა მთავრობაში და თუ მოისურვებდა ნატოს საწვრთნელ ბაზებსაც განათავსებდა ქვეყანაში და ნატოს თავდაცვით სისტემებსაც.

მოგვიანებით ირკვეოდა, რომ თავდაცვის მინისტრის ეს განცხადებები ხელისუფლებასთან არ იყო შეთანხმებული, რის გამოც ხელისუფლებას ახსნა-განმარტებების გაკეთება უხდებოდა.

(ამ თემასთან დაკავშირებით „საერთო გაზეთის" დღევანდელ ნომერში ვრცელი წერილი იბეჭდება და ამ საკითხის გარშემო საუბრის გაგრძელებას აქ იხილავთ").

დღეს დემაგოგები და ფარისევლები თავგამოდებით ცდილობენ ქართველი ხალხიც და დანარჩენი მსოფლიოც დაარწმუნონ, რომ ალასანიას გადაყენება თანამდებობიდან საფრთხეს უქმნის ქვეყნის პროდასავლურ კურსს და საქართველოს ხელისუფლების ერთგულებას ამ კურსისადმი ეჭვქვეშ აყენებს.

აშკარად სპეკულაციური ხასიათის ეს დასკვნები და შეფასებები სხვა არაფერია, თუ არა კარგად გათვლილი პროვოკაცია და ცილისწამება, რომელიც ქვეყანაში სიტუაციის არევას, საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში ხელისუფლების იმიჯის შელახვას და მის მიმართ უნდობლობის დათესვას ისახავს მიზნად.



* * *

ევროატლანტიკური ღირებულებებით სპეკულაცია, გაუთავებელი, მონოტონური საუბარი დასავლურ კურსზე და ხელოვნურად ატეხილი ცრუ განგაში ამ კურსიდან გადახვევის საშიშროებაზე, დიდი ხანია ყელში ამოუვიდა ქართველ ხალხს, რადგან ამ საუბრის უკან ხშირად სულ სხვა ზრახვები და მიზნები ილანდება, ვიდრე დასავლური ღირებულებებისადმი გულწრფელი ლტოლვის სურვილი.

**ადამიანთა გარკვეული ჯგუფები, პოლიტიკური ორგანიზაციების და ე. წ. არასამთავრობოების ერთი ნაწილი დასავლურ ორიენტაციაზე ხაზგასმული აპელირებით დიდი ხანია მიზანმიმართულად აშანტაჟებენ საქართველოს მოქალაქეებს და ნებისმიერ განსხვავებულ აზრს ამ თემასთან დაკავშირებით, ლამის ქვეყნის ღალატად აცხადებენ.**

არადა, ქვეყნის მოღალატეებს უფრო ეს ადამიანები ჰგვანან, რომლებსაც სინამდვილეში არც ევროპული ფასეულობები აწუხებთ დიდად, არც ქვეყნის ეროვნული ინტერესები და ეს ამაზრზენი დემაგოგია მხოლოდ საკუთარი ამბიციების დაკმაყოფილების, კარიერული წინსვლის, მატერიალური უზრუნველყოფის საგნად და საშუალებად სჭირდებათ.

ისინი ძალიან ჰგვანან თავიანთ სულიერ წინაპრებს, კომუნისტებს და კომკავშირლებს, რომლებიც კომუნისტური იდეოლოგიის პროპაგანდისტებად და ამ იდეოლოგიის თავგამოდებულ მხარდამჭერებად გვევლინებოდნენ, მაგრამ, როგორც კი დრო შეიცვალა, პირველებმა სწორედ მათ მიაყარეს მიწა იმ იდეებს, რომლის ერთგულ ჯარისკაცებადაც ასაღებდნენ თავს.

ღმერთმა ნუ ქნას და რაღაც რომ შეიცვალოს, დარწმუნებული ვარ, ახლაც იგივე მოხდება...

კარიერისტები, მედროვეები, ავადმყოფური პატივმოყვარეობით შეპყრობილი ადამიანები არასოდეს კლებია საქართველოს და არც ახლა აკლია.

სწორედ ისინი გამოესარჩლენ ირაკლი ალასანიას და გამოესარჩლენ არა ალასანიას სიყვარულის, დასავლური ღირებულებების ერთგულების გამო, არამედ, პირველ ყოვლისა, საკუთარი პრაგმატული ინტერესებიდან გამომდინარე, რომლებსაც, მათი აზრით, რაღაც საფრთხე დაემუქრა.

* * *

„ნაციონალური მოძრაობა" მთელი ცხრა წლის განმავლობაში არწმუნებდა ქართველ ხალხს და დანარჩენ მსოფლიოს, რომ ევროატლანტიკური ორიენტაციის პოლიტიკური ორგანიზაცია იყო.

ასე იყო სიტყვით, მაგრამ საქმე, რომელსაც „ნაცმოძრაობა" აკეთებდა, ევროატლანტიკური ღირებულებების ნიშანწყალსაც კი არ შეიცავდა, თუმცა ეს სულაც არ უშლიდა ხელს ევროსაბჭოს, ევროკავშირს, აშშ-ს ადმინისტრაციას მიხეილ სააკაშვილი, ნეოფაშისტური რეჟიმის ავტორი და შემოქმედი, „დემოკრატიის შუქურად" მოენათლათ, მიუხედავად იმისა, რომ ამ „შუქურას" 25 000 პატიმარი, 350 000 პრობაციონერი, 200-მდე პოლიტპატიმარი ჰყავდა 4-მილიონიან ქვეყანაში.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს უკვე ყველაფერი ცნობილია, სააკაშვილს და „ნაცმოძრაობას" მაინც თავგამოდებით ექომაგებიან მსოფლიოს გავლენიანი პოლიტიკოსები, ავტორიტეტული პოლიტიკური წრეები, ევროპის სახალხო პარტია და ა.შ.

**ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ სააკაშვილისა და მისი გუნდის ქომაგებს ქვეყანაში დასავლური ღირებულებების დაცვა და განვითარება მეორეხარისხოვან, მესამეხარისხოვან საქმედ მიაჩნიათ და სინამდვილეში მათი ინტერესები სულ სხვა, საზოგადოებისთვის დაფარულ საიდუმლო მიზნებს და ამოცანებს მოიცავს.**

რა მიზნები და ამოცანებია ეს, ამაზე საუბარი მომავლისთვის გადავდოთ, ახლა კი იმის თქმით დავკმაყოფილდეთ, რომ ვიღაცებს ძალიან სურთ, საქართველოს ჯიჰადის ქამარი შეაბას და როგორც ცოცხალი ბომბი, ისე შეუგდოს რუსეთს. აი, ეს „ფუნქცია" უნდათ ვიღაც-ვიღაცებს ჩვენს ქვეყანას დიდხანს შეუნარჩუნონ, შეუნარჩუნონ ფუნქცია პროვოკატორისა, ფუნქცია დეტონატორისა, ყოველივე ამის გაპროტესტება კი დასავლური კურსიდან გადახვევად მონათლონ.



**საქართველოს მოსახლეობამ, ქართველმა საზოგადოებამ, დროა ყველას და ყველაფერს თავისი ნამდვილი სახელი უწოდოს — კარიერისტს — კარიერისტი, მოღალატეს — მოღალატე, ქვეყნის ბედით მოვაჭრეს — ქვეყნის ბედით მოვაჭრე, ფარისეველს — ფარისეველი, პატრიოტს — პატრიოტი.**

თუ ეს არ მოხდება, ამ ქვეყანას ისე გაყიდიან და ისე გაასხვისებენ ახალი დროის მანქურთები, რომ გონს მოსვლასაც ვერ მოვასწრებთ...

„საერთო გაზეთი"
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა"
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება
შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოში"; ტელ.: 599 95 31 90

◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.



## დავით ლორთქიფანიძე:

# პარტია „ქართული ოცნების" გაძლიერების პროცესი დაიწყო

**„საერთო გაზეთს" კოლიცია „ქართული ოცნების" დეპუტატი დათო ლორთქიფანიძე ესაუბრა.**

**— ბატონო დათო, თქვენ განაცხადეთ, რომ პარტია „ქართულ ოცნებაში" წმენდა იწყება, რას ნიშნავს ეს განცხადება, ვისგან უნდა გაიწმინდოს „ქართული ოცნება"?**

— პირველ რიგში, უნდა გავაკეთო განმარტება, მე სიტყვა წმენდა არ მიხსენებია, მე ვთქვი, რომ პარტიაში უნდა მოხდეს გადახალისება, ბევრი რამ გადასახედიამეთქი. ამას „ქართული ოცნების" წმენდას არა, უფრო გასუფთავებას დავარქმევდი. მოგეხსენებათ, პარტია „ქართული ოცნების" აღმასრულებელ მდივნად ზვიად ჯანყარაშვილი დაინიშნა, ადამიანი, რომელიც არის მოტივირებული პარტიის გაძლიერების. ის პარტიის თავმჯდომარის ირაკლი ღარიბაშვილის უახლოესი ადამიანია. ვფიქრობ, მისი აღმასრულებელ მდივნად მოყვანა გარკვეულწილად განაპირობა იმან, რომ ირაკლის სჭირდება გვერდით ისეთი ადამიანები, რომლებიც მას ელემენტარულად სიმართლეს ეტყვიან. პარტიის თავჯდომარეს პულსზე ექნება ხელი დადებული, რაც, სამწუხაროდ, აქამდე ვერ ხერხდებოდა. ახლა, ეს ვისი, ან რისი ბრალი იყო, აღარ არის მთავარი, მთავარია, რომ თითქმის ორი წელი პარტიის მშენებლობა, სამწუხაროდ, გაჩერებული იყო, ვერა და ვერ დაიქოქა, მაშინ, როდესაც ამ ხნის განმავლობაში ჩვენმა პარტნიორმა პარტიებმა კოალიციაში სერიოზულად გააძლიერეს პარტიული რგოლები რაიონებში და შემოიკრიბეს ადამიანები. ვინ შემოიკრიბეს, ეს საკითხის მეორე მხარეა.

**— „ნაცმოძრაობის" ყოფილ აქტივისტებს გულისხმობთ?**

— სამწუხაროდ, რიგ შემთხვევაში, ნაცმოძრაობიდან გადმოსული ადამიანები არიან ამ პარტიებში წარმოდგენილნი. ვიმეორებ, ეს არის ძალიან სამწუხარო, თუმცა სხვა პარტიებმა თვითონ იციან თავის საქმე, ამ შემთხვევაში მე ჩემს პარტიასთან დაკავშირებით მოგახსენებთ. წელიწადზე მეტია, რაც კატეგორიულად ვაყენებდი საკითხს, ვაცხადებდი, რომ აუცილებელი იყო პარტიული მუშაობა გააქტიურებულიყო, ვითხოვდი, რომ ყველა პარტიული რგოლი რაიონებში ყოფილიყო ქმედითი და რაც მთავარია, უნდა მომხდარიყო 2012 წლის არჩევნებიდან მოყოლებული, ყველა არჩევნების ანალიზი, რაც, სამწუხაროდ, არა და არ გაკეთდა. ადამიანებმა, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ არჩევნები „ქართული ოცნების" კანდიდატს არ მოეგო, დღეს წინა პლანზე არიან. ვიმეორებ, ყველაფერი გააკეთეს „ქართული ოცნების" დასამარცხებლად და როდესაც დაინახეს, რომ საქართველოში მმართველი ძალა „ქართული ოცნება" გახდა, მაშინ მათ, ამ წაგებული ომის გენერლებმა უცებ ყვარყვარესავით გამოაცხადეს, ჩვენ არ ვართ მოგებული, აგერ არ ვართ ჩვენო და გადმოჯდნენ კოალიციაში, ხოლო ჩვენი აქტივისტები (ყველა არა, ბუნებრივია) კი, გამოუყენებელნი აღმოჩნდნენ. ახლა, არ შემიძლია, რომ ეს ყველაფერი დავტოვო ღია, ასეთმა დამოკიდებულებამ შეიძლება მიგვიყვანოს ცუდ შედეგებამდე მომავალ საპარლამენტო არჩევნებში, რადგან რიგ შემთხვევაში ეს ადამიანები საკმაოდ არაკვალიფიციურნი და უავტორიტეტონი არიან, არადა მათ უნდა უზრუნველყონ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში ჩვენი კოალიციის წარმატება. ვფიქრობ, სჯობს ყველაფერს თავის სახელი დავარქვათ და იმ ადამიანებს, რომლებიც არიან ღირსეულნი, მადლობა გადავუხადოთ და დავიტოვოთ კოალიციაში, ხოლო, ვინც არ არის ასეთი, ის უნდა გაიწიოს გვერდზე. ვიმეორებ, ჩვენი ბევრი მხარდამჭერი არის გამოუყენებელი და რაც დრო გადის ამ ადამიანების გამოყენების პერსპექტივა სულ უფრო და უფრო მინავლებადია და ეს ხალხი ჩვენ არ გვაპატიებს ამას. ეს ხალხი არსად წასულა, ისევ აქვს თავისი ავტორიტეტი, ისევ აქვს განცდა, რომ ამ ქვეყანას სჭირდება და თუ შენ მას სამი წლის განმავლობაში არ დააფასებ, არ დაუძახებ და არ ეტყვი, რომ თქვენთან მიმართებაში შეცდომა დავუშვი და მოდით, გამოვასწოროთო, ისინი მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში მაქსიმუმ არ დაგეტაკებიან, მაგრამ მინიმუმ გვერდში არ დაგიდგებიან. ერთი სიტყვით, ამ ადამიანების გამოყენება აუცილებელია. და აი, ახლა ზვიად ჯანყარაშვილმა დაიწყო ამისი, ასე ვთქვათ, გადახედვა. ჩვენ შევხვდით ზვიადს, მან თქვა, რომ მისთვის ერთი თვე ალბათ საკმარისი იქნება, რომ სტრუქტურა დაალაგოს ცენტრალურ ოფისში, შემდეგ კი ყველა რაიონში. მან განაცხადა, რომ გააკეთებს ყველაფერს იმისთვის, რომ ეს ყველაფერი ძალიან კომუნიკაბელურად და სწორად დალაგდეს, რომ არავითარი პრობლემა არ იყოს. ჩვენ შევთანხმდით, რომ 100 % ყველაფრის შეცვლა ვერ მოხერხდება, ბუნებრივია, ეს გამოიწვევს საშინელ რყევებს, ყველას, რა თქმა უნდა, ვერ გაუშვებ, მაგრამ ამ ხალხის გამოყენება, აუცილებლად, მოხდება. და საუბარი იმაზე, რომ ეს ადამაინები არ არიან პროფესიონალები არასწორია, ბოდიშს ვიხდი და ნაციონალები როდის იყვნენ პროფესიონალები? „ფოიფოის" დრო არ არის, დღეს არის გადაწყვეტილებების მიღების დრო, რადიკალურის მათ შორის, მოსაკვეთი უნდა მოიკვეთოს. გავმეორდები, ზვიადმა თქვა, რომ გადახედავს და მწამს, რომ ასეც იქნება. მე ახლახან კვლავ შევხვდი ზვიადს და რაღაც თემები, რომლებზეც ჩვენ დავილაპარაკეთ მისგან ძალიან მოკლე დროში იქნა რეაგირებული. ვერ გეტყვით რა თემებზეა საუბარი, თუმცა იქნა რეაგირებული. რა თქმა უნდა, ეს თემა არ დასრულებულა, ბოლომდე არ გადაწყვეტილა, მაგრამ დაიძრა. ჰოდა, ვფიქრობ, ზვიადი არის აბსოლუტურად მოტივირებული ადამიანი, აქვს განცდა იმისა, რომ სჭირდება პარტიასა და მის თავმჯდომარეს და აქვს იმის რესურსიც, რომ დაალაგოს სიტუაციები და დარწმუნებული ვარ, დალაგდება კიდეც. ჯერ არავინ გაუშვია პარტიიდან, მაგრამ პარტიის გასუფთავება მოხდება. ვიმეორებ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ პირწმინდად, ცოცხით გარეკო სუყველა. ყველამ უნდა იცოდეს თავისი ადგილი. პარტია „ქართული ოცნება" აუცილებლად გაძლიერდება. ქართული ოცნების რეიტინგმა უნდა აიწიოს. დიახ, პარტია უნდა დაიქოქოს, ამუშავდეს, და აი, ახლა ეს პროცესი დაიძრა.

**— მაშინ, როდესაც პარტია „ქართული ოცნების" გაძლიერებაზე საუბრობთ, კოალიცია ლამის დაშლის პირასაა და საზეზე გვაქვს პოლიტიკური კრიზისი...**



ზვიად ჯანყარაშვილი

**იქნებ გვითხრათ, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ მოვლენებს. განცხადების გაკეთებამდე, ერთხელ მაინც, თუ უთქვამთ, თქვენთან თავისუფალ-დემოკრატებს ქვეყანა საგარეო კურს იცვლისო? რატომღაც, ნაციონალების ლექსიკით, მათთან უნისონში დაიწყეს საუბარი, პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა კიდეც ალასანია ნაციონალებს ლობირებდაო...**

— არ ვიცი, ვისთან უნისონში გამოუვიდა ალასანიას ეს, მაგრამ ფაქტია, რომ მან ეს განცხადება გააკეთა, რომელმაც გამოიწვია ის, რომ პრემიერს სხვა გზა არ ჰქონდა, რომ ის არ გადაეყენებინა პოსტიდან. თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ, როდესაც თავდაცვის მინისტრი აკეთებს ასეთ განცხადებას და მას ტოვებ ჯართან ერთად ისევ მინისტრის პოსტზე? ათასი რამ შეიძლება მომხდარიყო, ხომ? მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ალასანია ასეთ რამეს გააკეთებდა, მაგრამ თეორიულად ხომ დასაშვებია, არა? როდესაც თავდაცვის მინისტრი არის კატეგორიულად დაპირისპირებული მთავრობასთან, ამას შემდეგ რა მოჰყვება, ვერავინ გათვლის, ამიტომ ვფიქრობ, ღარიბაშვილი იყო გამოსავლის გარეშე, ალასანიამ სხვა გზა არ დაუტოვა. მას უნდა მიეღო ის გადაწყვეტილება, რაც მიიღო. კარგია რომ მკითხეთ, მსგავსი რამ არავის უთქვამს. თუკი რამე შეინიშნებოდა თვითონ იყვნენ იმ დარგებისა და მიმართულებების ხელმძღვანელები, ვისაც ეს უნდა გამოესწორებინა და ხმა უნდა აემაღლებინა და ახლა უცებ ყველამ ერთად დაინახა, რომ არიქა, კურსი იცვლება, ვიქცევით და გავრბივართ სადღაც, არაბუნებრივია, მე არ მგონია, რომ ეს ასე ყოფილიყო.

**— მოსალოდნელი იყო, რომ განაწყენებული ალასანია კოალიციას დატოვებდა... იქნებ ისიც გვითხრათ, რა სურპრიზს უმზადებს ღარიბაშვილი ალასანიას? მივა თუ არა გამოძიება ალასანიამდე, თავდაცვის ყოფილი მინისტრი ამას არ გამორიცხავს...?**

— ღარიბაშვილს განუზომლად დიდი ინფორმაცია აქვს. ვფიქრობ, მისი განცხადებები არ არის უსაფუძვლო. რაც შეეხება ალასანიას დაკავება-არ დაკავებას, ეს არის მკითხაობის ფორმა და მე პოლიტიკური ვანგა ვერ გავხდები. ერთს ვიტყვი, წინა წელს თავდაცვის სამინისტროში დაახლოებით ათასამდე ხელშეკრულება დარეგისტრირდა, დაახლოებით 147 მილიონის მოცულობის ტენდერები. შეიძლება კიდევ რამეზეა საუბარი, ვნახოთ, არ ვიცი, დაველოდოთ მოვლენების განვითარებას.

**ქეთი ხომერიკი**

592 53 53 03



## ვახტანგ ყოლბაია იგორ ახბას განცხადებას უსაფუძვლოს უწოდებს

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ვახტანგ ყოლბაია რუსეთში აფხაზეთის დე-ფაქტო ელჩის იგორ ახბას განცხადებას აბსოლუტურად უსაფუძვლოს უწოდებს.**

**„იგორ ახბას მტკიცება აბსოლუტურად უსაფუძვლოა, იმ ფონზე, როდესაც იქ მზადდება ე.წ. მემორანდუმი რუსეთსა და აფხაზეთს შორის. იმ მემორანდუმში ნატამალი არ არის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის. აფხაზეთის დამოუკიდებლობა საქართველოს წიაღში, საკმაოდ ფართო მცნებაა. არის 21-ე საუკუნე და, რა თქმა უნდა, ის ავტონომია და ის უფლებები, რომელიც მას გააჩნდა 90-იან წლებში, ამაზე არ არის ლაპარაკი. ლაპარაკია თანამედროვე სახელმწიფოში არსებულ შესაძლებლობაზე, ერის თვითმყოფადობის, უფლებების განვითარებაზე და გამტკიცებაზე და იმაზე, რასაც ჰქვია ევროპაში სვლა" - განაცხადა ყოლბაიამ.**

**რუსეთის ფედერაციაში აფხაზეთის ე.წ. ელჩის იგორ ახბას განცხადებით, თბილისის მიერ შეთავაზებული წინადადება, რომელიც საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის ავტონომის სახით შესვლას გულისხმობს, მოძველებული სქემაა და მიუღებელია დამოუკიდებელი, სუვერენული, აღიარებული სახელმწიფოსთვის.**

# რატომ მოხსნეს ირაკლი ალასანია მხოლოდ ერთხელ, როცა ის 4 ნოემბრამდე ათჯერ მაინც იყო მოსახსნელი?

## „იმისთვის კი არ ხართ მოსაკლავები, ივანიშვილს რომ „ესროლეთ“, თანამდებობისთვის და ძალაუფლებისთვის რომ ყველაფერს იკადრებთ, იმიტომ!“

დიახ, „ოცნებას“ ხანდახან „ქვევრის გატეხვა“ რომ არ უნდა, იმიტომ უტყდება თვითონ სახელი, თორემ ბატონი ალასანიასთვის „კაბელების საქმემდე“ ბევრად ადრე რომ მიეჩინათ შესაბამისი ადგილი, ახლა არც კაბელები იქნებოდა სალაპარაკო და არც ალასანიას დევნა პოლიტიკური მოტივით...

***ჩამოვთვალოთ:***

*1. მთავრობის ერთ-ერთ სხდომაზე ბატონმა ივანიშვილმა საჯაროდ დატუქსა ბატონი ალასანია „ცუდად ერევი ფინასებში და არ შემეპასუხო ახლა, თორემ ოთხი კაცია დაბლა, ამოვიყვან და დაგიმტკიცებენო“ – რატომ არ ამოიყვანეთ ის კაცები, ბატონო ბიძინა და რატომ არ დაუმტკიცეთ?*

*2. ბატონმა ალასანიამ საქართველოს მთავრობასთან შეუთანხმებლად მიმართა NATO-ს საქართველოში განეთავსებინათ ამერიკული ანტისარაკეტო სისტემა. რატომ არ მოთხოვეს თავსდაცვის მინისტრს პასუხი უპირველესად მთავრობასთან შეუთანხმებელ, შემდეგ კი უპასუხისმგებლო და ანტისახელმწიფოებრივ განცხადებაზე?*

*3. ბატონმა ალასანიამ პირდაპირ განაცხადა, როდესაც პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებული პირები NATO-სა და ევროკავშირის წინააღმდეგ გამოდიან, მაღალი კონტრდაზვერვითი საფრთხის შემცველია და ამნისტიის დროს პარლამენტს ამაზე მეტი დრო უნდა დაეხარჯაო. მინისტრმა პირდაპირ თქვა, რომ ადამიანები, რომელთა პოლიტიკური შეხედულება არ ემთხვეოდა მის შეხედულებებს, ციხიდან არ უნდა გამოეშვათ, ანუ მისი (თავდაცვის მინისტრის) ნება რომ იყოს, მისგან განსხვავებულად მოაზროვნეებს ციხეში ამოალპობდა „კონტრდაზვერვითი საფრთხის“ საფუძველზე. რატომ არავინ მიაქციეთ ყურადღება რა თქვა გენერალ იგორ გიორგაძის ნათლულმა?*

*4. აშშ-ის თავდაცვის მდივნის ვიზიტის დროს ქართულმა მხარემ აშშ-ს სირიელი ამბოხებულების საქართველოს ტერიტორიაზე გაწვრთნა შესთავაზა, რაც საქართველოს ელჩმა აშშ-ში არჩილ გეგეშიძემ დაადასტურა და დასძინა, ეს იქნება კონტრტერორისტული საწვრთნელი ცენტრი ნებისმიერი ეროვნების ადამიანისთვისო. გამოცემა Foreign Policy-ს აზრით, ეს შეთავაზება საქართველოს თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიას მიზანს ემსახურებოდა, რომ საქართველო NATO-სთან ურთიერთობის სპეციფიკურ მოდელზე ყოფილიყო. საქართველო მასხრად აგდებული აღმოჩნდა, რაც ყველას ნაცვლად მოკლედ გამოხატა კარნეგის ცენტრის ექსპერტმა კავკასიის საკითხებში თომას დე ვაალმა: – „ეს ნიშნავს, რომ მართალია NATO-ს წევრობის პერსექტივა არ ჩანს, თუმცა მათ გადაწყვიტეს რომ გააკეთონ ყველაფერი, რათა იყვნენ NATO-ში NATO-ს გარეთო.“ რატომ არ მოთხოვა ვინმემ პასუხი ამის გამო?*

*5. ბატონი ალასანია დღეს რომ მისი უწყების თანამშრომლებს გამოექომგა ასე უცნაური გამოვლინებით, რატომ მაშინ არ გადაირია, როდესაც მისი ჯარისკაცები სხვადასხვა ქვეით ბრიგადებში ერთი მეორის მიყოლებით იწამლებოდნენ (24-ე ბრიგადა, 23-ე ბრიგადა, გორის მე-5 ბრიგადა, ოსიაურის საწვრთნელი ბანაკი, უფლისციხეში ლოჯისტიკის სამხედრო ნაწილში)? კარგი, მინისტრი არ გადაირია, მაგრამ რატომ არავინ გადაირია და არ ჩაეძია თავდაცვის მინისტრს, მერამდენე შემთხვევაა, რას ჰგავს ეს, თუ ჯარისკაცების უსაფრთხო კვებაზე ყურადღება ვერ დაგიმყარებია, ბევრად რთულ საქმეს როგორ გასწვდებიო?*

*6. ბატონმა ალასანიამ რომ ხმების 84% ჩამოუტანა ავლანეთიდან „ნაციონალებს“, რატომ არავინ ჩაეძია, შენ, ბიძია, ნაციონალების მინისტრი ხარ თუ ხელისუფლების, როგორ მოხდა რომ ჯარი მისივე ხელისუფლების მხარდამჭერი კი არ არის, პარტიული მახასიათებელი აქვსო?*

*7. ბატონი ალასანია ჯარის მოსანახულებლად რომ ყველას ავლანეთში ეგონა, ის კი დუბაიში აღმოჩნდა „ნაცელიტასთან“ ერთად, ამაზე მაინც რატომ არავინ არაფერს ჩაეკითხა?*

*რატომ არავინ ინტერესდებოდა რატომ მიმართავდა ემზარ კვიციანი თავდაცვის მინისტრს, მიპასუხოს, რატომ ჩააბარა ალასანიამ კოდორიო და რატომ თვლიდნენ კვიციანის ახლობლები, რომ სანამ ალასანია თავდაცვის მინისტრი იქნებოდა, კვიციანი საპატიმროს ვერ დატოვებდა?*

*9. გოგა ხაჩიძე, შეიძლება, ბევრი ვინმესთვის არ წარმოადგენდეს ავტორიტეტს, მაგრამ პოლიტიკურ ფიგურადაა დანიშნული და ცალი ყურით მაინც ხომ უნდა მოუსმინოს ვინმემ და კითხვა დაებადოს, რას ბჟუტურობს ეს კაციო? არადა, ხაჩიძე სავსებით სერიოზულად კითხულობს, რა უნდოდა ალასანიას კახეთში საიდუმლოდ, როცა სამეგრელოში საარჩევნო ციებ-ცხელება იყოო? კაცმა რომ თქვას, მართლაცდა, რა უნდოდა კახეთში, მითუმეტეს, საიდუმლოდ?*

*10. ბატონ ალასანიას პირდაპირ ადებდა ხელს კონკრეტული პირი, ალასანიამ გააპარა ახალაია სარფის საბაჟოდანო – რატომ არავინ დაინტერესდა, ის პატივცემული კაცი იქნებ ცილს სწამებდა ბატონ ალასანიას და პასუხი უნდა ეგო, ან პირიქით, სიმართლეს ამბობდა და ალასანიას უნდა გაეცა პასუხი, რის საფასურად მოიქცა ასე?*

„კიდევ ბევრი ამგვარი ამბის გახსენება შეიძლება (მხოლოდ „კაბელებზე“ და „კვებაზე“ არაა საქმე, ტენდერების საქმეებიც საეჭვოდ საინტერესო შეიძლება იყოს, 167 მილიონიანი საქმეა და სხვა ათასი წვრილმანიც საწვავის ჩათვლით) მაგრამ ესეც საკმარისია იმის სათქმელად, რომ თუ ალასანია დღეს „ცუდი ბიჭია“, მხოლოდ იმიტომ არ არის ცუდი, რომ დაბადებიდან ცუდია, მას ყველანი ახალისებდნენ სხვადსხვა დროს სიცუდეში...

ახლა, დამდგარა ბატონი ალასანია „ტაბულასთან“ და აცხადებს, დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ ჩემზე შეტევის ერთ-ერთი მიზეზი გამოკითხვებში ჩემი მაღალი რეიტინგიც არის, რომ ეს არის შესაძლო პოლიტიკური კონკურენტის, ან ოპონენტის პოლიტიკური განადგურების მცდელობა, მაგრამ ამისგან არაფერი გამოუვათო.

ზოგადად, ბატონ ალასანიას რომ ზეაღმატებული წარმოდგენა აქვს საკუთარ თავზე, ახალი ამბავი არ არის, ამიტომაც შეარქვეს „ნარცისი“, მაგრამ მეტისმეტი – რეტის რეტია...

დღეს, როდესაც რაღაც მორიგება-შერიგება-გარიგება ხდება სწორედაც რომ გაუმჭვირვალედ, სიტყვებიც გადალაგდ-გადმოლაგდნენ, თორემ, პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ NATO კონკრეტულად ალასანიასთან ასოცირდება, ხოლო ალასანიას უწყებაში „გაიმასქნებული“ კაბელები, ქვეყნის ევროპულ არჩევანთან – მსგავსი ამბიციები და სისულელე, ძალიან უნდა მოინდომოს ვიღაცამ, რომ სალაპარაკო გახადოს ხალხმა.

სისულელეების თქმა ვის უკვირს საქართველოში, მაგრამ საზღვარი რომ აღარ აქვს, ესაა საქმის კეთება?

ეწყინა მრავალგზის თანამდებობიდან გადასაყენებელ ალასანიას თანამდებობიდან ერთხელ გადაყენება და გულაჩქროლებული სასწრაფოდ „რუსთავი-2-ის“ ეთერში დაჯდა ლამის მთელი ოჯახიანად.

ოჯახობა ვახსენეთ – ალასანიას მეუღლემ, რომელიც ჭკვიან (და კარგი გუნება-განწყობის) ქალბატონად არის ცნობილი, ამგვარი ფბსტატუსი დატოვა: „რუსთავი-2-ზე“ ჩვეულებრივი ადამიანებიც მუშაობენ, თავისი საქმის პროფესიონალები. „ნაციონალებს“ – პოლიტიკოსებს, ირაკლიმ მანამ მიუჯახუნა კარი, სანამ ბიძინა ფულს ატენიდა... და ა.შ“

საინტერესოა, „ბიძინას ფულების შეტენვის ამბავი“ რატომ იყო მივიწყებული იმავე ქალბატონის მიერ რომლის სიტყვებია: „ბატონი ბიძინას გამოჩენის შემდეგ ამოვი-





## სახალხო დამცველმა თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებლების საქმის მასალები გამოითხოვა



სახალხო დამცველის უჩა ნანუაშვილის განცხადებით, თავდაცვის სამინისტროს ხუთ მაღალჩინოსანთან დაკავშირებული საქმის მასალები საქართველოს მთავარი პროკურატურიდან გამოითხოვეს და ახლა პროკურატურის პასუხს ელოდებიან.

“ჩვენ გამოთხოვილი გვაქვს გარკვეული ინფორმაცია ამ საქმესთან დაკავშირებით. ჩვენი ინიციატივით დაწყებული გვაქვს ამ საქმის შესწავლა. საიდუმლო მასალებზე წვდომა აქვს სახალხო დამცველს და მე უახლოეს ხანებში აუცილებლად გამოვიყენებ ჩემს ამ უფლებას, რათა გავეცნო უშუალოდ საქმის მასალებს. ჯერჯერობით, მე არ შემიძლია არაფერის თქმა, გარდა იმისა, რომ პროკურატურას ჯერ არ გასვლია ათდღიანი ვადა, რა ვადაშიც უნდა წარმოადგინოს გარკვეული მასალები”, – განაცხადა უჩა ნანუაშვილმა.

თავდაცვის სამინისტროს ხუთი მაღალი თანამდებობის პირი 28 ოქტომბერს დააკავეს. მათ ბრალად 4 მილიონზე მეტი ლარის გაფლანგვა ედებათ.

სუნთქე. ბიძინას, როგორც პოლიტიკური ფიგურის გამოჩენა, ჩემთვის დიდი ბედნიერებაა. რაც ბატონი ბიძინა გამოჩნდა, მეშინია, ნეტარებამდე არ მივიდე, ისეთი ბედნიერი ვარ“. (ჟურნალი „რეიტინგი“)

როგორ ესადაგება ერთმანეთს ბიძინას არსებობის გამო „ნეტარებამდე ბედნიერება“ და ის, რომ ალასანიას განთავისუფლება მოულოდნელი არ ყოფილა, „რადგან ბიძინა ივანიშვილის პირველი პოლიტიკური ნაბიჯი იყო ირაკლის შერყევის მცდელობა. ასე რომ, ეს ბრძოლა იყო მუდმივად“? („რუსთავი-2“ დილის გადაცემა)



როგორც ქართულ რეალობას შეეფერება, „ყურადსაღები სისულელეების“ ცვენა ერთი თუ დაიწყო, ცვივა და ცვივა, რასაც ყოველთვის აუცილებლად ერთვის მიხეილ სააკაშვილის მომაკვდინებელი სისულელეც, ამ შემთხვევაში, მაგალითად, ამგვარი: — „საპატრიარქოში შეხვედრისას ბიძინა ივანიშვილმა რამდენჯერმე გამიმეორა, რომ დაიჭერდა მერაბიშვილს, უგულავას და პრეზიდენტობის ვადის ამოწურვის შემდეგ მეც. იქვე მიაყოლა, რომ ირაკლი ალასანიას ჯერ ცოტა ფულს გააკეთებინებდა და შემდეგ კორუფციაზე დაიჭერდა. ამავე შეხვედრაზე ახსენა, რომ შემდეგი „რუსთავი-2-ის“ კონტროლის ქვეშ აყვანა იქნებოდა..“

„მე აქ ბიძინა ივანიშვილთან სასაუბროდ არ მოვსულვარო“ — ბრძანა ალასანიმ ერთ დღეს, თუმცა მანამდეც და მეორე დღესაც სწორედ ბიძინა ივანიშვილთან საუბრობდა 2009 წელს საკნებისა და „8-იანის“ დამშლელი ალასანია... (ისე, ამ ამბავს სხვაგვარად ჰყვებიან: ივანიშვილს ალასანიასთვის უთქვამს, შენთან სალაპარაკო აღარაფერი მაქვს, დღეიდან სასამართლოში არკვიე საქმეო და მისი პარტიის წევრებისთვის უკითხავს: რატომ ეფარებით და რატომ იცავთ კორუმპირებულ ალასანიასო? ამ ფრაზების თქმისთანავე წამომდგარა ალასანია და პოლიტსაბჭოს სხდომა ასე დაუტოვებია, უკან კი აღზნებულ-ატირებული თანაგუნდელები მიჰყოლიან „აღარ ღირს მაგათთან ყოფნაო“...)

ფაქტია, ალასანიამ ეჭვი გააჩინა, რომ რაღაც კავშირში არის „კაბელების საქმეში“ და სწორედ იმიტომ დაიწყო პოლიტიკური განცხადებების კეთება, რომ დამნაშავე „ნაციონალების“ მსგავსად საყვირელი ჰქონოდა პოლიტიკური ნიშნით მდევნიანო და პოლიტიკური დევნილის სტატუსი მოეპოვებინა — ამას მოზარდიც დაასკვნის, არათუ ზრდასრული ადამიანი. როდესაც ასეთ სპეკულიანტურ სვლებს გააკეთებს მინისტრი, ხაზგასმით — თავდაცვის მინისტრი, რომელსაც ჯარი აბარია, მისი თანამდებობიდან გადაყენების გარდა სხვა რა გზა დარჩენია პრემიერ-მინისტრს?

რამდენად არაპოლიტიზირებულია ჯარი, საკითხავია, მაგრამ როდესაც ხელმძღვანელი პირები კვლავ ახალაიას კადრები არიან უცვლელად (თან ახლახანს, აგვისტოში დააწინაურა, პოლკოვნიკობა უბოძა ალასანიამ), რატომაც არ გამოიყენებდნენ მომენტს რომ NATO-სა და ევროპული კურსის საბაბით ბუნტი წამოეწყოთ 15 ნოემბრისთვის გამოცხადებული „ნაცაქციის“ ფონის შესაქმნელად?

ფაქტი ერთია, არანაირი პროდასავლური და პროალმოსავლური კურსი არაფერ შუაშია და ვერც იქნება მანამ, სანამ საკუთარი ქვეყნის ინტერესი არ ექნებათ იმ ადამიანებს, რომლებიც სახელმწიფო ინტერესად ერთი პირის პირადი კეთილდღეობის ინტერესს მიიჩნევენ. გამოდის, ამ ადამიანებს სრულებით არ აინტერესებთ, ან აინტერესებთ, მაგრამ ფეხზე ჰკიდიათ, მათი ამ ქმედებით რა თანმდევი პროცესები მოჰყვება ხელისუფლებასა და მთავრობაში, მთლიანობაში იმ ქვეყანას და იმ ქვეყნის ხალხს რომ ვნებენ, რომელთაც ისინი დაიქირავეს — მერე, ხალხის არჩევანი რომ ადექვატური იქნება, კვლავ „ნაციონალებივით“ აყვირდებიან, ხმები გაგვიყალბესო... (ისე, რა ყველაფერში ერთ-ერთზე ემსაგავსებიან ხოლმე ისედაც „ნაციონალებთან“ მეგობრობაში ეჭვმიტანილი პარტიები და მათი ლიდერები ერთმანეთს?)

მერე, ეტყობა, „ნაციონალებში“ ვიღაცამ გაიაზრა რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ალასანიას პარტიის კოალიციიდან გასვლას და აღარ მოინდომეს მისი გაპიარება, არადა, აშკარად გამოიკვეთა იმის კონტურები, რომ ალასანია თვალსა და ხელსშუა ართმევდა „ნაცმოძრაობას“ მათ მიერ პრივატიზებულ „სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური განვითარების კურსსა“ და პირველი ოპოზიციური ძალის სტატუსს და ალასანია გახდა „სანახევრო კაცი“, „ქარიზმის უქონელი“, „ლიდერის თვისებების უქონელი“ და ა.შ

მარგველაშვილის ოცნება რომ არ გავიხსენოთ, რა გული გაგვიძლებს: — „დათოს ჭკუა მომცა, ალასანიას ვიზუალი, ლევან გაჩეჩილაძის ჯიგარი და ქართველობა, სოზარის სინდისი, ბურჯანაძის გამბედაობა და მერე მე ვიცი რას გავაკეთებდი“ — გადასარევი ამბავია! თუ ჭკუა არ აქვს, გარეგნობა, სინდისი და გამბედაობა, ჯიგარი და ქართველობა, რა უნდა ასეთ კაცს საქართველოს პრეზიდენტად?!

სად იყო და სად არა, გიორგი სიგუაც გამოჩნდა, „კაზანტიპა“ (ხალხმა შეარქვა) და ისეთი შეკითხვების კორიანტელი დააყენა, ადამიანს ეჭვს გაუჩენდა, ივანიშვილის თუ არა, ღარიბაშვილის ნათესავი მაინც იქნებაო.

გიორგი სიგუა: — „მაგ ვიცე-სპიკერობას, კომიტეტის თავმჯდომარეობებს, მინისტრობებს და სხვა პოსტებს, დღეს რომ დემონსტრატიულად ტოვებთ ან დემონსტრაციულად აცხადებთ, არ დავტოვებთო, სიზმარში მაინც თუ ნახავდით, რომ არა ბიძინა ივანიშვილი? თქვენ, ბიძია, ევროპული კურსი და ირაკლი ალასანიას მინისტრის პორტფელი ერთი და იგივე გგონიათ თუ როგორაა საქმე? მე რომ მომხსნეს, გამოვვარდნილიყავი და მეძახა, კვირიკაშვილმა ევროპის გზას გადაუხვია, მე ევროატლანტიკური შუქურა ვარ, კაზანტიპით ვანათებ და ეგ ხელს მიშლისოთქო, რა გამოვიდოდა? აბსოლუტურად უმიზეზოდ მომხსნეს მაშინ და არ გამოვვარდნილვარ ლოზუნგებით, არიქა, ქვეყანას ღუპავს კვირიკაშვილი-თქო. არც გამისაჩივრებია და ზოგადად, არ დამირღვევია კორპორატიული ეთიკა. დღეს უმუშევარი გიორგი სიგუაც იმ გუნდის მხარდამჭერი და რიგითი ჯარისკაცია, რომელსაც თავის დროზე ნდობა გამოუცხადა და რომელმაც იმის საშუალება მომცა, ჩემ ქვეყანაში თავისუფლად მეცხოვრა. სულ რომ უმუშევარი ვიყო და სულ რომ შიმშილით ვკვდებოდე, ბიძინა ივანიშვილი პოლიტსაბჭოს სხდომაზე სიტყვას როგორ ითხოვსო, თვალებს როგორ ავაფახულებ... და კიდევ, კირვალიძეს რომ დაუჭირა პროკურატურამ თანამშრომლები ასევე კორუფციის ბრალდებით, მაშინ რაღაც არ მახსოვს თქვენს პარტიას ეჭვი შეპარვოდა მთავრობის ევროატლანტიკური კურსის ერთგულებაში.

იმისთვის კი არ ხართ მოსაკლავები, ივანიშვილს რომ „ესროლეთ“, თანამდებობისთვის და ძალაუფლებისვის რომ ყველაფერს იკადრებთ, იმიტომ!“

საქართველოში ევროკავშირის ელჩი იანუშ ჰერმანი (6 ნოემბერი 2014 წ): — „ჩვენ თვალყურს ვადევნებთ გამოძიების საქმეებს, რომელიც თანამდებობის პი+რების წინააღმდეგ არის, საერთო სურათი რომ გითხრათ, არის ის, რომ საქართველოს აქვს ურყევი პოლიტიკური გეზი ევროპისკენ და ჩვენ ინტენსიურად ვმუშაობთ საქართველოს მთავრობასთან.“

აბა, რა ხმაური ატყდა?

დღემდე არავინ აკონკრეტებს რას რა მოჰყვა და რომ საქმე „კაბელებშია“ და არა ქვეყნის პოლიტიკურ კურსთან. არა უშავს, ხალხი ისედაც ყველაფერს ხედავს, ხვდება, ერთგვარად კმაყოფილიც არის მომხდარით და ხუმრობს კიდეც: — „ბეწვზე გადავრჩით! ბინიდან გამოვედი და „სილქნეტი“ იყო თუ „კავკასუსი“ კარგად ვერ გავარჩიე, მოკლედ, ერთერთის ინსტალატორები ჩემს სადარბაზოში გაყვანილ რაღაც კაბელებს ეჩალიჩებოდნენ. ეგრევე მივვარდი, მეთქი, ბიჭო, ნელა, ემანდ შემთხვევით საქართველოს ევროპული არჩევანი არ დააზიანოთ-თქო! ეგრევე ჩაალაგეს ხელსაწყოები და წავიდნენ. მოგიწოდებთ, ყველამ ყურადღება მიაქციეთ თქვენს სადარბაზოებში საქართველოს ევროპულ არჩევანს!“

**გიორგი ჩხეიძე**

# აშშ-ს საელჩოს საქართველოში, ბატონ ელჩს! ევროკავშირის ქვეყნების საელჩოებს საქართველოში, ბატონ ელჩებს!



**ქალბატონებო და ბატონებო,**

უკანასკნელი მოვლენების ფონზე, მართლა ფიქრობთ, რომ საქართველოს საგარეო კურსს და ქართული სახელმწიფოს დასავლურ ორიენტაციას საფრთხე ემუქრება?! თუ ასე ფიქრობთ, მაშინ, თქვენ, უბრალოდ, არასერიოზულად ეკიდებით საკუთარი მოვალეობის შესრულებას.

რატომ?! იმიტომ, რომ დასავლური ორიენტაცია ქართველი ხალხის არჩევანია და არა რომელიღაც მარგინალური ახალგაზრდა ჯგუფის და მისი მარგინალური ლიდერის არჩევანი, რომელიც და რომლებიც, შეიძლება, ძალიან მოგწონთ! ეს ორიენტაცია დასავლეთზე მათი უზრუნველყოფილი არ არის!. ქართველთა გაგებაში დასავლური ორიენტაცია უკავშირდება დასავლეთევროპულ სახელმწიფოს მოდელზე დაფუძნებულ ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობას და აშშ-სთან და ევროკავშირის სახელმწიფოებთან მჭიდრო და პროდუქტიულ თანამშრომლობას, რომელსაც უნდა მოჰყვეს ურთიერთსასარგებლო ურთიერთობა და განვითარება...ამის ნაცვლად, ქართველი ხალხი იღებს დამცირებას და უპატივცემულობას, რადგან დასავლეთის



ქვეყნების მიერ საქართველოში მხარდაჭერილია არა ქართველი ხალხის მისწრაფება თანამშრომლობისაკენ, არამედ, მარგინალური ახალგაზრდა პოლიტიკური ჯგუფები და მათი ლიდერები: ყოფილი სახელისუფლებო პარტია და ამჟამად "ოპოზიციაში" გადასული პარტია და მათი ლიდერები...ე.ი. თქვენ დღემდე ვერ გაგიგიათ, რა კულტურასთან გაქვთ საქმე და რა ხალხთან გაქვთ საქმე...

ძალზე ცუდი იქნება ჩემი ქვეყნისათვის, თუ თქვენი დაუკვირვებელი მოქმედებების შედეგად, ქართველი ხალხის დამოკიდებულება შეიცვლება და ის მოლოდინები, რომელიც არსებობდა და დღესაც არსებობს გაცრუვდება, - თუ ქართველი ხალხი მიიღებს არა განვითარებას, სტაბილურობას, კეთილდღეობას, არამედ, დემაგოგიურ რიტორიკას თქვენს მიერ მხარდაჭერილი, თითქოსდა, დასავლეთზე ორიენტირებული ორგანიზაციებისა (არასამთავრობოები, პოლიტიკური პარტიები) და პოლიტიკური ლიდერებისაგან. საქმე იმ სტადიამდეა მისული, რომ ამ ადამიანებისგან დასავლურ ორიენტაციაზე საუბარი სასცილოდ აღიქმება და პროვოკაციული ხდება...აღარ გავაგრძელებ, -გასაგები უნდა იყოს თქვენთვის, რაზე ვსაუბრობ! მოგვეხმარეთ, თუ შეგიძლიათ, რომ საქართველოში დასავლეთევროპული ტიპის სახელმწიფო ავაგოთ,

დავძლიოთ ეს სამარცხვინო სიღარიბე და დაუსრულებელი გარდამავალი პერიოდი, განვვითარდეთ საკუთარი შრომითა და გონივრული ხელშეწყობით, ავაგოთ პოლიტიკური სისტემა და ხელისუფლების მონაცვლეობა მხოლოდ კადრების როტაციად ვაქციოდ და არა ბრძოლად სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე.

შეგიძლიათ?! შეგიძლიათ, თუ ხალხის ხმას გაიგონებთ და არ შესწირავთ ამ ხალხის დამოკიდებულებას ძალიან საეჭვო ახლაგაზრდა პოლიტიკურ ლიდერებს, რომლებიც შეიძლება, თქვენ დამჯერე და "საუკეთესო შემსრულებლებად" გეჩვენებოდეთ, მაგრამ მათდამი თქვენი დამოკიდებულება სპობს ქართველი ხალხის დამოკიდებულებას თქვენდამი და ეს არის ის ყველაზე ცუდი, რაც თქვენი შეცდომების შედეგად შეიძლება შეუქცევადი გახდეს...

ა რ ჩ ე ვ ა ნ ი თქვენზეა,-ქართველ ხალხს ასარჩევი არა აქვს! ამ ეტაპზე, მან თავისი არჩევანი გააკეთა და თუ მას არ აიძულებენ, იგი თავისი საგარეო ორიენტაციის შემცვლელი არ არის, ქართველი ხალხის პატივისცემა, მხარდაჭერა და პროდუქტიული თანამშრომლობა, თუ მარიონეტული მარგინალური პოლიტიკული ლიდერების მხარდაჭერა და მოჩვენებითი პროდასავლურობის კულტივირება საქართველოში.

**დიდი პატივისცემით,**
**დემურ გიორხელიძე**



## სოსო მანჯავიძე:

# მე გეტყვით, რა მოხდა რეალურად და რატომ გაათავისუფლა ღარიბაშვილმა ალასანია?

**„საერთო გაზეთი“ საკრებულოს დეპუტატს სოსო მანჯავიძეს ესაუბრა.**

**— პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია ცნობილი განცხადების - „პროკურატურის მიერ გადადგმული ნაბიჯები არის შეტევა საქართველოს ევროატლანტიკურ არჩევანზე“ გაკეთების შემდეგ თანამდებობიდან გაათავისუფლა, რასაც „თავისუფალი დემოკრატების“ უმრავლესობიდან გასვლა და თანამდებობების დატოვება მოჰყვა. სოსო, როგორია თქვენი შეფასება?**

— ახლა, მე გეტყვით რა მოხდა რეალურად, რატომ გაათავისუფლა ღარიბაშვილმა ალასანია პოსტიდან. პრინციპში, მე ეს თქვენ ჯერ კიდევ წელიწადნახევრის წინ გითხარით ერთ-ერთ ინტერვიუში. ალასანია, რესპუბლიკელები და ნაცმოძრაობა ღარიბაშვილის წინააღმდეგ შეთქმულებას აწყობდნენ, რასაც შედეგად ნაცმოძრაობის, რესპუბლიკელების, ალასანიას ჯგუფის და კიდევ რამდენიმე დეპუტატის გაერთიანება და პარლამენტში ახალი უმრავლესობის შექმნა მოჰყვებოდა. დიახ, შეთქმულება ღარიბაშვილის წინააღმდეგ, ისინი ღარიბაშვილისა და მისი გუნდის მოშორებას გეგმავდნენ. წელიწადნახევრის წინ, დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს ასეც მოხდებოდა, თუმცა დღეს უკვე მეეჭვება, რომ ის სქემა, რომელზეც, მაშინ გესაუბრეთ, განხორციელდეს - უმრავლესობის დაშლა და ახალი უმრავლესობის შექმნა. დიახ, ამას ვერ შეძლებენ, იმიტომ, რომ არსებობს მეორე ძალა, ღარიბაშვილის გუნდი, რომელსაც ხელში ასევე საკმაოდ ძლიერი ბერკეტები აქვს. ალასანიას პოსტიდან გათავისუფლება ერთგვარ პრევენციულ ღონისძიებად უნდა განვიხილოთ, რათა არ მომხდარიყო ის, რაც მას და დანარჩენ პოლიტიკურ ძალებს ჰქონდათ დაგეგმილი. დიახ, იმიტომ გაუშვეს ალასანია, რომ ეს სცენარი არ განხორციელებულიყო. ეს, რა თქმა უნდა, პრევენცია იყო. ღარიბაშვილს ეს ნაბიჯი რომ არ გადაედგა იმ სცენარის განხორციელება ავტომატურად მოხდებოდა. რატომ, მაინცდამაინც, ახლა? ამ სცენარის განხორციელების დრო მოახლოვდა, ვიმეორებ, ის ძალები, რომლებზეც ჩვენ ვსაუბრობთ, მათი საერთაშორისო კავშირებიდან და წარმომავლობიდან გამომდინარე, აუცილებლად მოიქცეოდნენ ისე, როგორც, მაშინ ვამბობდი.

**— ახლა რა უშლით ხელს, რატომ ვერ განხორციელდება ეს სცენარი (თუ ასეთი სცენარი არსებობდა) გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, კოალიციიდან რესპუბლიკელების გასვლაც მოხდება და ...**

— ვერ განხორციელდება მრავალი მიზეზის გამო. პირველი - მინისტრის გათავისუფლება კორუფციული სკანდალის გამო ყრილობის წინ მის პოლიტიკურ ნეიტრალიზაციას ნიშნავდა. მარტივია, ამით პოლიტიკური მხარდაჭერის საშუალება მოესპოთ ამ ძალებს, კორუფციაში ბრალდებულია და როგორ უჭერ მხარს? ალასანიამ კი განაცხადა, პოლიტიკური დევნაო, მაგრამ სხვას გაუჭირდება ამის გამეორება, რადგან კონკრეტული სისხლის სამართლის საქმე არსებობს. „რესპუბლიკელები“ კოალიციას ცხადია, როგორც კი პოლიტიკური სიტუაცია მომწიფდება, გამოეყოფიან. აქ კიდევ ერთი რამ არის, რესპებს კარგად ესმით, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების შემთხვევაში მათი ელექტორალური რესურსი ძალიან მცირეა, აქედან გამომდინარე უჭირთ გადაწყვეტილების მიღება. ვადამდელი არჩევნები არსებული ხელისუფლების მხოლოდ სრული კოლაფსის პირობებში აწყობთ, სახალხო გამოსვლების ფონზე და ა.შ. ეს ძალები კი, არ არიან ხალხის გარეთ გამომყვანნი, ვერ შეძლებენ ამას. დიახ, ასეა, არც არის ქვეყანაში სიტუაცია ისე დაძაბული, რომ ხალხი გარეთ გამოვიდეს. ასე რომ, ამის განხორციელების დრო ნელ-ნელა მოვიდოდა. ჩვენ ვიცით, რომ ხელისუფლების დემონიზაციის პროგრამა ჩართულია, ახლა გეტყვით დემონიზაცია რას ნიშნავს. ხელისუფლებათა დემონიზაცია, მესამე ქვეყნების მართვა, ეფექტური იარაღია ძალის ცენტრების მიერ. ჯერ მიდის ხელისუფლების დისკრედიტაციის პროცესი და ბოლოს საზოგადოებრივი აზრი იმ დონეზეა მომწიფებული, რომ ხელისუფლების არათუ მხარდაჭერაა სირცხვილი, არამედ მის წინააღმდეგ წაუსვლელობაც სირცხვილია. აი, ამას ჰქვია დემონიზაცია. ეს ძალიან ეფექტური იარაღია და ჩვენ ვხედავდით ჩვენს თვალწინ როგორ ხდებოდა ეს ნაცების მართული ტელევიზიების „რუსთავი 2“-სა და სხვათა მიერ, კერძოდ, საზოგადოებრივი აზრის დამუშავება ხდებოდა და ხდება. ჯერჯერობით, ამ დამუშავებას არ მიუღწევია იმ ზღვრისთვის, რომ, დავუშვათ, სახალხო პროტესტი გამოიწვიოს, თანაც ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი ჯერ კიდევ არსებობს, ასევე საკმაოდ მაღალი რეიტინგი აქვს პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილსაც, გარდა ამისა ხალხს უკვე გამოუმუშავდა ერთგვარი ინსტინქტი, ხვდება, რომ ახალი არეულობა და დრამატული მოვლენები ქვეყანას დაღუპავს. დიახ, ქვეყანა საერთოდ გაქრება პოლიტიკური რუკიდან. აქედან გამომდინარე, ჩვენ ჰაერივით გვჭირდება სტაბილურობა, ხელისუფლების ლეგიტიმური გადაბარება და არავითარ შემთხვევაში არ გვჭირდება კრიზისები, მაქსიმალურად უნდა ავიცილოთ თავიდან, რადგან ეს უკავშირდება ინვესტიციებს, ქვეყნის უსაფრთხოების საკითხებს. ისედაც ბეწვზე ვკიდივართ, დამოკიდებული ვართ გეოპოლიტიკური დიდი გიგანტების ბრძოლის შედეგებზე და ამ დროს ასეთი ტიპის დემარშები და განცხადებები, რომ საქართველომ თურმე საიდანღაც გადაუხვია, დიქტატურა მოდის და ა.შ. არ არის სწორი, ეს არ წაადგება ქვეყანას, ყველას უნდა ესმოდეს, ალბათ ესმის კიდევაც, რომ ეს შეიძლება ჩვენი ქვეყნისთვის ფატალური აღმოჩნდეს, თანაც, როდესაც ეს ხდება აშკარად ორკესტრირებულად და ამერიკის ელჩის პირდაპირი ჩარევით. რა უნდა ამერიკის ელჩს თავდაცვის სამინისტროში, კითხვას ვსვამ. დიახ, რა უნდოდა, რა სპექტაკლი მოაწყვეს, რასთან იყო ეს დაკავშირებული? აშშ-ში პრეზიდენტი მინისტრს რომ ხსნის, ჩინეთის ელჩი მიდის მის გასაცილებლად? საინტერესოა, როგორ შეხედავდნენ ისინი ამას. ნორლანდი პირდაპირ ამბობს, რომ ალასანია მისი პატრონაჟის ქვეშ არის, ანუ თავდაცვის უწყება იყო ამერიკის ელჩის პატრონაჟის ქვეშ? რა ფენომენია ეს? გარკვეული ფორმები, რაც არ უნდა დამონებული ქვეყანა იყოს, იქაც კი შენარჩუნებულია ხოლმე. ეს არის ქართველი ხალხის აბსოლიტური შეურაცხყოფა და ძალიან მიკვირს მე იმ ადამიანების, რომლებიც ამას ნორმალურად მიიჩნევენ, მათ შორის, იმ ადამიანების, ვის დასაცავადაც ნორლანდი იქ მივიდა. რას ნიშნავს სიტყვები - ჩვენ მალე უკან დავბრუნდებით, რუსეთუმეების გარეშე, ამიხსენით, რას ნიშნავს?



**— აცხადებთ, ალასანიას პოსტიდან ჩამოცილება პრევენცია იყოო, მაგრამ რატომ ალასანია და არა რომელიმე რესპუბლიკელი? მის სამინისტროში არსებულმა კორუფციამ განაპირობა ეს?**

— თავდაცვის სამინისტრო არის ერთ-ერთი მთავარი სამინისტრო. რაც შეეხება კორუფციის ფაქტებს, ამაზე მე ვერ გაგცემთ პასუხს, რადგან არ ვარ პროკურორი და არც გამოძიება მიწარმოებია. იმედს ვიტოვებ, რომ ამ დაკავებას საფუძველი ჰქონდა, ძალიან ცუდად ყოფილა ჩვენთან საქმე, თუ სისხლის სამართლის საქმეების უსაფუძვლოდ შეკერვები დაიწყეს, ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა ხდებოდეს. საერთოდ ამ სკანდალიდან პოლიტიკური დისტანცირება, რომ გავაკეთოთ, ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს იმისთვის, რომ სამართალდამცავი ორგანოები მეტად დამოუკიდებელი იყოს და მეტი ნდობა ჰქონდეს ხალხში. ეს, ერთის მხრივ, აუცილებელია, ქვეყანაში ნორმალური სიტუაციისთვის, მეორეს მხრივ, ნაკლებ არგუმენტებს მისცემს თავის ოპონენტებს ასეთი თავდასხმებსთვის, მით უმეტეს, საერთაშორისო ასპარეზიდან. ახლა, ის ზიანი, რომელიც ჩვენს სახელმწიფოს ამ პოლიტიკური სკანდალის გამო მიადგა, ძალიან დიდია. საერთაშორისო დონეზე ეს ძალიან სერიოზული დარტყმა იყო. მეორე საკითხია, ვინ დაიჯერა ეს და ვინ არა, აქ მთავარია, რომ ეს დაფიქსირდა და რა გაკეთდა ამით იცით? იმ ძალებს, რომლებსაც უნდათ საქართველოში სრულიად მართული, მათ კვისლინგებში გამობრძმედილი მონჰომოგენური, ასე ვთქვათ გუნდი დასვას, როგორიც თავის დროზე, „ნაცმოძრაობა“ იყო, პირდაპირ ოდეერები, მათი პოლიტიკის მაყურებლები, არგუმენტი გაუჩნდათ იმის სალაპარაკოდ, რომ საქართველოში არჩეულ გზას გადაუხვიეს, ღალატის გზას დაადგნენ, პრორუსული მთავრობაა და ა.შ. ამას ნაცმოძრაობა, რომ კარგა ხანია, აკეთებს ვხედავთ, მაგრამ „ნაცმოძრაობა“ იმდენად დისკრედიტებულია, რომ სასაცილოა მათი საუბარი, სერიოზულად არავინ უყურებს. მე, პირადად, ძალიან მძიმედ განვიცადე, რომ ალასანიამ და ნაციონალებმა უნისონში დაიწყეს ლაპარაკი, არგუმენტებიც ერთი და იგივე იყო. დიახ, „ნაცმოძრაობა“ ანეგდოტურია, სასაცილოა მათი საუბარი გინდა პროდასავლურ კურსზე, გინდა კრიმინალთან ბრძოლაზე და ა.შ, მაგრამ, როდესაც ხელისუფლების გუნდის წევრები ამბობენ იგივეს, ეს უკვე ძალიან მძიმეა ამ გუნდის პრესტიჟისთვის. ახლა ჩვენ თუ პროგნოზს გავაკეთებთ, გეტყვით რას უნდა ველოდეთ... ეს გუნდი ხელისუფლებაში იყო, შესაბამისად უამრავი ინფორმაცია აქვს, უნდა ველოდოთ გარკვეული ინფორმაციების შეგნებულ გამოჟონვას, ეს ინფორმაციები კი გაცილებით მძიმე და წონადი უნდა იყოს, იქნება კიდეც, ვინაიდან შიდა, ინსაიდერული ინფორმაციაა და, აი, ეს თუ დაიწყო, საქმე გვექნება სწორედ იმ დისკრედიტაციის ახალ ეტაპთან, რაზეც გესაუბრეთ და ამაზე ყველამ ერთად უნდა ვიფიქროთ. რაც შეეხება არსებული გუნდის პოზიციას, კარგად თუ ცუდად, ხშირ შემთხვევაში, შეცდომებით, მაგრამ ცდილობს რაღაცნაირად ბალანსი დაიცვას და პირდაპირ არ შეეჩხიროს რუსეთს პირში, ამავდროულად არ გადაუხვიოს ევროატლანტიკურ კურსს. აი, ამ ბალანსის პოლიტიკისთვის, რა თქმა უნდა, ეს ძალიან მძიმე დარტყმაა და როდესაც ვლაპარაკობთ შინაგან ღრმა მიზეზებზე, მიზეზი სწორედ ეს არის. ბალანსის დამყარების მცდელობებიც კი გაღიზიანებას იწვევს იმ ძალებში.



**— გამოდის, აშშ-ს ღარიბაშვილის ალასანიათი ჩანაცვლება სურს? ხელისუფლების ცვლილება იყო დაგეგმილი?**

— რა თქმა უნდა, ჩანაცვლება სურდათ. ემზადებოდნენ, ნებისმიერი ხელისუფლების ცვლას პირობები სჭირდება, უნდა მოხდეს საზოგადოებრივი აზრის მომწიფება, ეკონომიკური პრობლემები უნდა შეიქმნას, ანუ ბაზა უნდა მომზადდეს იმისთვის, რომ გარკვეული ილუზია შეიქმნას, რომ ეს შიდა მიზეზებით ხდება. სხვათა შორის, ძალიან საინტერესო განცხადება გააკეთა უსუფაშვილმა. რესპუბლიკელების წონა, ამ შემთხვევაში, უკვე იზრდება პოლიტიკური ვაჭრობისთვის და ისინი შეეცდებიან ეს მაქსიმალურად გამოიყენონ, თუმცა მომავალში თუ დადგა მომენტი, აუცილებლად, გამოვლენ კოალიციიდან.

**ქეთი ხომერიკი**
592 53 53 03



# ვაჟა აბაკელია:

# სამწუხაროა, რომ ჩვენ ვერც ერთ დროში ვერ შევირგეთ დამოუკიდებლობა და თავისუფლება

**გვესაუბრება ყოფილი გენერალური პროკურორი, ბატონი ვაჟა აბაკელია.**

**— ბატონო ვაჟა, თქვენ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში სერიოზული პოსტი გეკავათ და ალბათ იცით, რა განწყობა იყო მაშინ?**

— მე არ ვყოფილვარ „მრგვალი მაგიდის“ წევრი, არც ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლი, როცა ის ოპოზიციაში იყო. მან მე მაშინ მიმიწვია, როცა ხელისუფლებაში მოვიდა.

მე ვიყავი ერთადერთი საქართველოში, რომელმაც მაშინდელ არჩევნებში მარტვილში „მრგვალი მაგიდის“ კანდიდატს ნოდარ წულეისკირს მოუგო.

ზვიადმა აღიარა ჩემი გამარჯვება. დამიბარა, შევხვდით და ხუთი საათი პირისპირ ვისაუბრეთ. მაშინ შემომთავაზა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობა. მაგრამ მერე გენერალური პროკურორობა მერგო. თუმცა, ამაზე არ ვსაუბრობ, მინდა გითხრათ ის, რომ მე იშვიათად შემხვედრია მსგავსი კომპეტენტური პიროვნება ნებისმიერ საკითხში, ისეთი განსწავლული, როგორიც იყო ზვიად გამსახურდია იშვიათი მოვლენაა.

ახლა თქვენს კითხვას მივუბრუნდები. ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის პერიოდში საკითხი იდგა ასე — ჩვენ აუცილებელი ურთიერთობები გვჭირდება რუსეთთან. ზვიადი და მთელი ეროვნული მოძრაობა აგინებდა კრემლს და არა რუსეთს.

მე არაერთხელ მისაუბრია ზვიად გამსახურდიასთან ამ საკითხებზე. ერთხელ ვუთხარი: აი, გავიაროთ, ბატონო ზვიად, ყაზახეთის სოფლებში და მერე საქართველოს სოფლებში და ვნახოთ, სად არის უკეთესი ცხოვრება. ორსართულიანი სახლი დგას ყველა ეზოში და იქვე გაწკრიალებული „ჟიგული“ აყენია-მეთქი. განათლების და კულტურის დონე უმაღლეს საფეხურზეა-მეთქი. მეთანხმებოდა ბატონი ზვიადი. მეთანხმებოდა, რომ რუსეთის იმპერიაში საქართველომ ერთგვარად ამოისუნთქა.

მაგრამ ქვეყანას, როცა ამდენი მოღალატე ეყოლება, რაც მე ვნახე 90-91-იან წლებში, მართლაც ვერ გაამარჯვებინებს თვით მაკედონელიც.

სამწუხარო კი ისაა, რომ ჩვენ ვერც ერთ დროში ვერ შევირგეთ დამოუკიდებლობა და თავისუფლება.

მე-20 საუკუნის დასაწყისში დაინგრა რუსეთი და მივიღეთ დამოუკიდებლობა, ახლაც გასული საუკუნის ბოლოს სსრკ დაიშალა და დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ, მაგრამ როგორ გამოვიყენეთ ეს? თავზე დავიმხეთ ყველაფერი. საშინელებები ხდებოდა პირდაპირ. ჰოდა, ერთ დღეს დავიბარე ზვიადის ყოფილი თანამებრძოლები. ისინი მაშინ უკვე ზვიადის ოპოზიციაში იყვნენ. ეს არ იყო სახელმწიფოებრივი მოწყობის მოდელზე შექმნილი უთანხმოება. ეს იყო ძლიერი განცდა — მე რატომ არა მაღალი თანამდებობა და უკეთესი მდგომარეობაო და რატომ სხვასო. ვკითხე მათ: რატომ აკეთებთ ამას, რატომ უდგახართ კრიჭაში გამსახურდიას-მეთქი. უდიდესი ზიზღი ამოვიკითხე მათ თვალებში: შენ არ იცი, ვინ არის ზვიად გამსახურდიაო. ვინ არის-მეთქი, რომ ვეკითხებოდი, თვალები ზიზღით ევსებოდათ და მე ვხვდებოდი, ეს იყო უკიდეგანო შური და ბოღმა იმის გამო, რომ ისინი არ დაინიშნენ მაღალ თანამდებობებზე. არაფერი არ იყო სხვა. სამწუხაროდ, ეს იყო ქართული ხასიათი. — რატომ აქვს სხვას უფრო მაღალი თანამდებობა და ჩემზე უკეთესი რითი არისო?!

ახლაც იგივე სიტუაციაა. ევროპულ გზას გადაუხვია ხელისუფლებამო. დაასაბუთონ, რა მიმართულებით წავიდა, თუკი გადაუხვია, ირანისკენ მიდის თუ ეგვიპტისკენ? თითიდან გამოწოვილია ეს აბსურდული გზიდან გადახვევა და ასეთი ტიპის დემაგოგიები.

**— სიტყვამ მოიტანა და უნდა გაგახსენოთ ჩვენთვის ავბედითი 7 ნოემბერი, რომელიც ამავე დროს ჩვენი დიდი მეფის ერეკლე II-ის დაბადების თარიღია. ერეკლე II-ის რუსული არჩევანი ჩვენს საზოგადოებაში დღესაც კამათის საგანია. დღეს, რატომღაც, საქართველო რეგიონში პროვოკატორის ფუნქციით, მუდმივად რუსეთის ლანძღვა-გინებაშია, თითქოს ამით უფრო გაადვილდება ნატოში ან ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესი. პროვოკატორები იყვნენ წინა ხელისუფლების წარმომადგენლები?**

— უნდა გითხრათ, რომ ცოტა ხანში ამერიკა და რუსეთი შესაძლოა, ერთად დადგნენ რადგან პოლიტიკაში არ არსებობენ მუდმივი მოწინააღმდეგეები და მუდმივი მტრები. ამის დასტური იყო ლავროვის და კერის შეხვედრა. ასე რომ დადგება საკითხი, საინტერესოა, მედასავლეთეები რას იტყვიან.

დღესავით ნათელია, რომ ვერც აშშ-ი და ვერც რუსეთი მარტო ვერ მოუვლიან ისლამური ხალიფატის საფრთხეს, რომელიც ორივე ქვეყნისთვის უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს, თვითონ ამერიკა ეტყვის მალე საქართველოს დაალაგეთ რუსეთთან ურთიერთობაო.

მე ევროპული განწყობის ვარ და საქართველოში თითქმის ყველა ასეა. ან თვით ჩვენი ქვეყანა როდის იყო სხვა განწყობის, ოდესმე არაევროპული იდეა ყოფილა საქართველოში? ქალისთ-



ვის პირბადე ჩამოგვიფარებია? ქალი დაგვიჩაგრავს? ეჭვიანობის ნიადაგზე თუ ქალს ვინმე მოკლავს, ეს ჩამორჩენილობას არ ნიშნავს, ეს ნიშნავს ფსიქიკურ დაავადებას. შუაგულ ევროპაში დაიწერა „ოტელო“ და ეჭვიანობა საკაცობრიო პრობლემაა ყველა დროის. რა შუაშია აქ ევროპა და აზია.

ახლა მე ვლაპარაკობ, მაგრამ, რატომღაც, ჩვენში დღეს ჩემი და ჩემი ასაკის ადამიანების საუბარი არავის ესმის. არადა, შემიძლია ისე ვიმუშაო და გამოვადგე ქვეყანას, როგორც ადრე, მაგრამ ჩემი ცხოვრებისეული გამოცდილება და პროფესიული ცოდნა რატომღაც არავის სჭირდება.

**— ბატონო ვაჟა, რატომ გაგათავისუფლეს სამსახურიდან?**

— არავის გავუთავისუფლებივარ. თვითონ დავწერე განცხადება და წამოვედი. დაიწყო დავალებები — ხალხს ფული შეაწერეთ და ეს ფული შეიტანეთ ფონდშიო. ასეთი მეთოდებით ცდილობდნენ ხალხის გალატაკებას და საკუთარი ჯიბეების ავსებას.

მაშინ რაიონის პროკურორი ვიყავი. მე რას გამიბედავდნენ, ამიტომ ჩემს მოადგილეებს და თანაშემწეებს ეუბნებოდნენ, — ხალხსს ფული შეაწერეთ, გააკოტრეთ, მერე დაიჭირეთო.

ერთხელ სამი შვილის დედა, ქვრივი ქალი დააკავეს სუპერმარკეტში საჭმელის ქურდობის ბრალდებით. ადრე ნასამართლევი ყოფილა ქურდობის გამო, კვლავ საჭმელი მოუპარავს. ახლა მას გარდაუვალი პატიმრობა ელოდა, რადგან წინა დანაშაულის გამო პირობითი უკვე ჰქონდა მისჯილი და 46-ე მუხლის მიხედვით პატიმრობა უნდა მიგვესაჯა, მაგრამ ყველა კანონს აქვს ხვრელები და მეც ისე მოვიქეცი, რომ ამ ქალს პატიმრობა ავაცილე. ამ გადაწყვეტილებიდან უმოკლეს ვადაში მირეკავენ და მატყობინებენ: ბატონო ვაჟა, ზურაბი ძალიან განაწყენდაო, ადეიშვილიო. ამხელა საქმეს ვაკეთებთ და ნასამართლევი ადამიანი ციხეში რატომ არ ჩასვითო. სამი შვილის დედა ციხეში როგორ ჩავსვა, თქვენი დედა-მეთქი. დაიცათ ცოტა ხანი, ადეიშვილსაც დაიჭერენ და ყველა მის მონა ხელქვეითს-მეთქი, ვთქვი, დავდე კალამი და დავტოვე იქაურობა.

არავის რომ არ გავეთავისუფლებინე, მე მათთან მაინც ვერ ვიმუშავებდი. ოთხი თვე ვიყავი ნაცებთან და ეს სიტუაცია იყო თავიდანვე.

ნაცებს 25 000 კაცი ჰყავდათ ციხეში, 350 000 კაცი პასუხისგებაში მიცემული.

სპეციალურად დავინტერესდი, 1937 წელს რამდენი პატიმარი იყო საქართველოში და აღმოჩნდა, რომ მაშინ, როცა 5 მილიონი კაცი იყო საქართველოში 10 000 პატიმარი ჰყავდათ. ნაციონალების დროს 2 მლნ 800 000 ქართველი იყო საქართველოში და ახლა პატიმრების რაოდენობა შეადარეთ ერთმანეთს.

**— როგორც იცით, 15 ნოემბერს შეკრება აქვთ ნაციონალებს — აფხაზეთის ოკუპაციას გააპროტესტებენ. პატრიოტიზმმა გაილვიძა მათში?**

— მე ნაციონალებზე საკუთარი შეხედულებები მაქვს. 15-ში კი არა, 35-ჯერ რომ შეიკრიბონ, გამორიცხულია მათი რეაბილიტაცია მოხდეს საზოგადოებაში და ესენი ხელისუფლებაში დაბრუნდნენ. მაგათი უბედურება ისაა, რომ ყველა გრძნობს და ყველამ იცის, ესენი აფხაზეთის დაბრუნებისთვის კი არ იკრიბებიან, არამედ კიდევ ერთხელ თავის გამოჩენა უნდათ, რომ აჩვენონ, თითქოს სამშობლოსთვის თავდადებული არიან. მაგრამ საქართველო სამშობლო არ იყო მაშინ, ამ მცირერიცხოვანი ერის მნიშვნელო-ვანი ნაწილი რომ საპატიმროებში გამოკეტეს?

ხანდახან ვფიქრობ, კიდევ კარგი, რომ წამოსული ვიყავი უკვე ისნის რაიონის პროკურორობიდან, როცა 2006 წელს ნავთლუღში საშინელება მოხდა. კონკრეტულად საქმეში მე ახლა ვინ ჩამახედებს, არ ვიცი, ახალაიები იყვნენ იქ თუ სხვა ვინმე, მაგრამ ფაქტია, რომ სამი ბავშვი მუხლებზე დამდგარი იხვეწებოდა არ მესროლოთო და ჩახოცეს ისინი. ფაშისტები არ გააკეთებდნენ ამას. ვინც ეს სიტუაცია შექმნა ქვეყანაში, ის არ არის დასასჯელი?! საქართველოში შური და მტრობა, „უჩემოდ ვით იმღერეთაო“, ის რატომ და მე რატომ არაო, დიდ უბედურებამდე მიგვიყვანს და ეს არაერთხელ მომხდარა. საქართველოს ევროპული განვითარების ყველაზე დიდი ნაბიჯი ის იქნება, ყველა თავის საქმეს რომ გააკეთებს და სხვის ჯიბრზე და შურზე არ იქნება მისი ინტერესები აწყობილი.

**ირანდა კალანდაძე**
**593 56 11 18**

# მერაბ შათირიშვილი:

# ვადამდელი არჩევნების აუცილებლობა ახლაც დგას, მაგრამ ამ მოთხოვნის რეალიზების მექანიზმი უკვე აღარ არსებობს



**„საერთო გაზეთის“ სტუმარია საზოგადოებრივი მოძრაობა „ახალი რეალობისთვის“ თავმჯდომარე, მწერალი მერაბ შათირიშვილი.**

**- ბატონო მერაბ, რატომ გადაწყვიტეთ ახალი საზოგადოებრივი მოძრაობის დაფუძნება?**

- მოგეხსენებათ, „ქართულ ოცნებაში“ ვმოღვაწეობდი, უანგაროდ ვაკეთებდი ერთი კაცის საკეთებელ საქვეყნო საქმეს, ვერავინ იტყვის, რომ რამე მომითხოვია, გავნაწყენდი. ვფიქრობ, უახლოეს მომავალში აუცილებლად მექნება შეხვედრა „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობასთან და მათ ამ შეხვედრის შემდეგ ბევრ რამეზე აეხილებათ თვალი. მე, როგორც „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი პასუხისმგებლობას ჩემს თავზეც ვიღებ, არ ვარ ის კაცი დღეს ჯგუფთან ერთად ვიდგე და ხვალ მტრად ვექცე, ეს გამორიცხულია. პასუხისმგებლობას კი ვიღებ, მაგრამ პიროვნულად გავერიდე, რადგან სხვადასხვა მიზეზების გამო, ჩემი შესაძლებლობების რეალიზება ვერ მოვახდინე. უმრავლეს ჯგუფს კი გავემიჯნე, მაგრამ ახლაც იმ საქმეს ვაკეთებ, რასაც „ქართულ ოცნებაში“ ვაკეთებდი, ჩემთვის მთავარი ქვეყანაა და არა პიროვნებები. ჩემი საქმიანობით ვცდილობ ხელისუფლება მხარში დავუდგე, სიმართლე ვუთხრა, რომ გამოფხიზლდეს და გასაკეთებელი აკეთოს. ჩვენი მოძრაობა ორი თვის წინ ჩამოყალიბდა, მაშინ მართლაც იდგა ვადამდელი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების დრო. ჩვენ ფეხით მსვლელობა მოვაწყეთ პარლამენტიდან პარლამენტამდე, ანუ ქუთაისიდან თბილისამდე და ვითხოვდით ვადამდელ არჩევნებს. მსვლელობისას ცხრა დღის განმავლობა დაახლოებით 1500 ადამიანს პირადად ვესაუბრეთ და დავრწმუნდით, რომ საზოგადოებაში იდგა ეს მოთხოვნილება. მაშინ გათვალისწინებული რომ ყოფილიყო ეს მოთხოვნები, ვფიქრობ, მაგის მექანიზმი აუცილებლად მოინახებოდა. მე ორჯერ მივმართე ბიძინა ივანიშვილს ვიდეო მიმართვით, თავისუფლად შეიძლებოდა მექანიზმის მოფიქრება, ხალხის ნების დაფიქსირება და გამოსვლა ამ მოთხოვნებით, ოღონდ დემოკრატიული გზით, კონსტიტუციურ ჩარჩოებში. ახლა ეს ეტაპი აღარ დგას, რადგან ძალზე სწრაფად და კარდინალურად შეიცვალა ვითარება, თუმცა ახლაც აქტუალურია ორივე არჩევნების აუცილებლობა, მაგრამ ამ მოთხოვნის რეალიზების მექანიზმი უკვე აღარ არსებობს.

ბიძინა ივანიშვილის სატელევიზიო გამოსვლამ დაადასტურა, რომ ამ ადამიანის ირგვლივ ტრიალებს ყველაფერი. ბატონ ბიძინას მთელ გამოსვლას სდევდა დათა თუთაშხიას მელანქოლიის მსგავსი, რაც არის ნიშანდობლივი. მას არ სურს პოლიტიკაში დაბრუნება, დარწმუნებული ვარ, არ ეხარბება ფული და სავარძელი, მისი მოტივაცია მხოლოდ ქვეყნის გაერთიანება და წინსვლაა, მაგრამ ყველაფერი მისი პასუხიმგებლობის ქვეშაა და მისი სატელევიზიო გამოსვლაც ცხადყოფს, რომ საქმე მთლად კარგად არ არის, ჩემი აზრით, ის იძულებული იყო ქართველი ხალხისთვის აეხსნა თუ რა ხდება ქვეყანაში. მე ეს იძულება უფრო მაშფოთებს, მისი გამოსვლა შემაშფოთებელია, რადგან თვითონაც ხედავს, რომ მის ერისკაცობას პოლიტიკური ძალებისგან უკუდარტყმები მოყვება, პოლიტიკა და ბიზნესი სრულიად განსხვავდება ერთმანეთისგან. მისმა ხსენებულმა გამოსვლამ ჩემში ადამიანური თანაგრძნობა გამოიწვია.

წარმოიდგინეთ, რა რთული ვითარების წინაშე დგას ბიძინა ივანიშვილი, რომლის პასუხისმგებლობაზეცაა თვითონ ალასანია და საერთოდ კოალიციის ყველა სუბიექტის ქმედებებზე.

ალასანიას მიმართ შეკითხვები რომ არსებობს, ეს ბიძინა ივანიშვილმაც აღნიშნა, ცხადია იარსებებს, როცა მილიონობით ლარის დანაშაულებრივი გზით ათვისებაზეა საუბარი. ირაკლი ალასანია აღიარებს, რომ საქმის კურსში იყო, ასე რომ, მან შეიძლება პასუხიც აგოს პროკურატურის წინაშე. ესეც რამხელა ტვირთი და პასუხისმგებლობაა ბიძინა ივანიშვილისთვის, თუკი ყოფილი მინისტრი პასუხს აგებს, მორალურად აგებს მთავრობაც.

**— მე ვინმეს უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა არ მინდა, მაგრამ თუ პირს დანაშაული აქვს ჩადენილი, პარტიის თავმჯდომარეობა და პროევროპელობა ხელშეუხებლობის გარანტი, ინდულგენციაა?**

— ეს არ არის ინდულგენცია, მაგრამ კოალიციაში შემავალი რიგი პარტიებისთვის ევროატლანტიკური ინტეგრაციის ასე ვთქვათ, თამასის მაღლა აწევა ინდულგენციად ითვლება, რომ ვერ შეეხო. ამ დროს საზოგადოების წინაშე არის უზარმაზარი პასუხისმგებლობები, შეეხები და ევროატლანტიკური კავშირის მხრიდან შეიძლება ხელისუფლებაზე ზეწოლა წამოვიდეს. პოლიტიკურ პარტიებს ქართული საზოგადოება მაშინ უნდა, როცა არჩევნებია. თვითონ საზოგადოებაშიც არ არის ისეთი მენტალობა, როგორიც უნდა იყოს, საზოგადოება უნდა დარწმუნდეს, რომ ის არ არის მარტო ამომრჩეველი, საარჩევნო მომხმარებელი ხელისუფლებისთვის ან რომელიმე პარტიისთვის. პირველი პოლიტიკური აქტი არჩევნებია, საზოგადოება უკვეთავს ამა თუ იმ პოლიტიკას, მასში მონაწილე პოლიტიკოსებს, ამომრჩეველს ანგარიშს რომ არ უწევენ, იმოტამაც არის დღეს რთული პოლიტიკური ვითარება.

**— მოდით, რეალობას ნუ მოვწყდებით, ლუის ნავაროს დასკვნები ერთია, მაგრამ ყველამ ხომ კარგად ვიცით, რა რეიტინგიც აქვს ამ პარტიას საზოგადოებაში. თქვენი აზრით, როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს?**

— თუ ირაკლი ალასანია პასუხს არ აგებს სავარაუდო დანაშაულზე, რაზეც საუბარი მიდის, მაშინ ის თავის პარტიასთან ერთად გააგრძელებს მოღვაწეობას იმ რანგში, რომელშიც ახლაა, ცხადია, მისი, როგორც ლიბერალური ძალის მხარდამჭერები იქნებიან რესპუბლიკელები. პრეზიდენტიც ყოველთვის მის პარტიაზე გააკეთებს აქცენტს. ამ შემთხვევაში ისეთი ვითარება შეიქმნება, რომ შეიძლება „ქართული ოცნება“ და ნაცმოძრაობა საერთოდ შეეწიროს ამ პოლიტიკურ არეალს. მივიღებთ ნეოლიბერალურ ფრთას და კოალიცია ყველა შემთხვევაში დაიშლება. ნაცმოძრაობა, როგორც პარტია დაიწრიტება, რადგან დაიწყება გემიდან ვირთხების გაქცევა და ყველაზე კარგი გასაქცევი ხსენებულ ძალასთან ექნებათ. ფაქტობრივად მივიღებთ აბსოლუტურად გარედან მართულ ნეოლიბერალურ ხელისუფლებას. არსებობს მეორე ვარიანტიც, თუ ირაკლი ალასანია დაისაჯა, მის გარეშე პარტია იქნება თავწაცლილი. ცხადია, „ქართული ოცნება“პოლიტიკურ სადავეებს ხელში აიღებს, მაგრამ მუდმივად ექნება შიდა კოალიციური განხეთქილების საშიშროება, ეს სიტუაცია გაგრძელდება 2016 წლამდე. იმ შემთხვევაში თუ ალასანია დაისჯება, ისევ გაძლიერდება ნაცმოძრაობა, ფაქტობრივად ისინი აწევენ ევროატლანტიკური ინტეგრაციის თამასა“ და მეორე საშიშროების წინაშე აღმოვჩნდებით. როცა ასეთ პოლიტიკურ დუღილს ვხედავთ, ცხადია, „ქართულ ოცნებას“ და თავად ბიძინა ივანიშვილს უზარმაზარი პასუხისმგებლობა აწევთ. გავიხსენოთ უკრაინის ამბავი, იქაც ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებით პოლიტიკურმა ტემპერატურამ პიკს მიაღწია, რისთვისაც უკრაინელი ხალხი მზად არ იყო. ამით ისარგებლა რუსეთმა და უკრაინა ფაქტობრივად აღარ არსებობს, დაიშალა. საქართველოსთან დაკავშირებით რუსეთმა 90-იანი წლების გარდამავალი პერიოდით ისარგებლა და მოახდინა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ანექსია, 2008 წელს საქართველოს უგუნური ხელისუფლების პროვოკაციაზე წამოგების შედეგად ამ რეგიონების აბსოლუტური დამოუკიდებლობა გამოცხადდა. რაც უფრო ინტენსიური იქნება საქართველოს ევროინტეგრაციისკენ სწრაფვა, რუსეთი იმდენად შეგვამცირებს შაგრენის ტყავივით. ერთი, რომ რუსეთს აფხაზეთსა და სამაჩაბლოში გამყარებული აქვს პოზიციები, ამას გარდა საქართველოში სასიცოცხლო ინტერესები აქვს თურქეთს, სომხეთს, აზერბაიჯანს, ირანს და არაბულ ქვეყნებს, რომელთა უკანაც რუსეთი დგას, ზემოხსენებული მიზეზის გამო, ეს ინტერესები უფრო გაცხოველდება. ევროატლანტიკური ინტეგრაციისგან ერთადერთი შედეგი გვაქვს, ისინი დახმარებას გვიწევენ სამხედრო წვრთნებში და ჩვენი ჯარისკაცები ძალიან იაფფასიანი მოხმარებით ერთვებიან მათ ოპერაციებში ავღანეთსა და აფრიკის ქვეყნებში. მომავალში შეიძლება რაიმე სარგებლობა გვქონდეს, მაგრამ დღეს ხელჩასაჭიდი დასაყრდენი არ გვაქვს. ვერ დამისახელებთ ვერცერთ ევროპელ და ამერიკელ ცნობილ ბიზნესმენს, რომელიც საქართველოში საქმიანობას ეწეოდეს. ამ დროს მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთი და რუსეთი ასეთ კონფრონტაციაში არიან ერთმანეთთან, რუსეთში ევროპელი ბიზნესმენების ბუმია. ამით იმის თქმა მინდა, რომ ურთიერთობები ევროპასთან და იმ ქვეყნებთან, რომლებსაც სასიცოცხლო ინტერესები გააჩნიათ საქართველოსთან, უნდა დაბალანსდეს, დღეს ეს ურთიერთობები დაუბალანსებელია, აქცენტი მხოლოდ ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე კეთდება, ამიტომაც ვართ მუდმივი წნეხის ქვეშ.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24



იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

„მარად და ყველგან, საქართველო, მე ვარ შენთანა...“
ილია

# პატრიოტი

„საერთო გაზეთის“ დამატება

№39, ნოემბერი, 2014 წ.

# „მიეცი ნიჭსა გზა ფართო, თაყვანისცემა ღირსებას...“

ჩვენი სტუმარია მხატვარი **ნიკუშა შენგელაია:**



**— ბატონო ნიკუშა, ბოლო დროს განვითარებული მოვლენების შემდეგ კვლავ აქტუალურია თემა გადაუხვია თუ არა საქართველომ დასავლურ კურსს. ასე საკითხის დასმა ცოტა გაუგებარია, ეს ხომ ტურისტული მარშუტი ან ბილეთი თბილისი-ბრიუსელი არ არის, არამედ დასავლური ღირებულებებით ცხოვრება, აზროვნება, სამოქალაქო პასუხისმგებლობაა.**

— აბსოლუტურად გეთანხმები, დასავლური კურსი დასავლური ცხოვრების წესი, მენტალიტეტია. უფრო მეტიც, მთელი დასავლური ღირებულებები ქრისტიანულ კულტურაზეა დამყნობილი. კითხვები, რომელიც მუდმივად ისმის — გადავუხვიეთ თუ არა დასავლურ კურსს, რა გზას ვირჩევთ, ვფიქრობ, უფრო ქვეყნის უსაფრთხოების კონტექსტშია განხილული და არა ისე ღრმად, როგორც ეს თემა საჭიროებს. ჩვენ ხომ დიდი ხანია დასავლური მენტალობის ნაწილი ვართ, სადღა უნდა გადავუხვიოთ?! საქართველოს ფესვები, თავისი ისტორიით, ქრისტიანული კულტურით, სწორედ ევროპული მენტალობისაა. ამ ყველაფერს ევროპულს ახლა ვეძახით, თორემ, ადრე ბერძნულ-ბიზანტიური კულტურის სამყარო იყო, რომელმაც ქრისტიანობა როგორც პროგრესული რელიგია, პირველმა მიიღო, რისი დიდი ნაწილიც ვიყავით, რაც კარგად ჩანს ჩვენს კულტურაში, ლიტერატურასა თუ არქიტექტურაში. შემდეგ ისტორიის უკუღმართობამ (ხშირად დაპყრობადი ქვეყანა ვიყავით), ჩვენში, ირანის კულტურა გააძლიერა. ანუ, ბევრი სხვა კულტურის შეხების გასაყარზე ვიყავით. მაგრამ ჩვენი ქვეყანა თავისი არჩევანით, ყოველთვის, ქრისტიანულ კულტურაზე იქნება დამყნობილი. დანარჩენი რაც შემოვიდა იძულებითი, უფრო შეგუებითი იყო, რათა ეთნოსი, ერი გადარჩენილიყო. ამით იმის თქმა მინდა, რომ არჩევანი უკვე დიდი ხანია გაკეთებული გვაქვს. დღეს, ამაზე საუბარი, როგორც ზემოთ ვახსენე, უსაფრთხოების კუთხით ხდება — ნატოს, ევროკავშირში შესვლით, რათა თავი დაცულად ვიგრძნოთ.

**— მთავარი ევროპული ღირებულებები უსაფრთხოება, კეთილდღეობა და სტაბილურობაა. უსაფრთხოდ ყოფნა, როგორც რუსეთისგან დაცულად ყოფნა, ამასთანაა გაიგივებული?**

— ისტორიამ დაგვანახა, თუ რამდენად აგრესიულ მეზობელთან გვაქვს დღეს საქმე. ვგულისხმობ, რუსეთის მმართველს. თავად რუსეთს კრემლთან ვერ გავაიგივებ იმიტომ, რომ კრემლის ქმედებებით იქაც ბევრი ადამიანია უკმაყოფილო. ჩვენ მათი მსხვერპლი გავხდით როგორც აფხაზეთში, ისე ოსეთში. ამიტომ, ლოგიკურია, რომ ქართველი ხალხი შველას დიდ ევროპულ ოჯახში ხედავს. მაგრამ ეს ხალხის არჩევანია და ამ გზიდან გადახვევა არცერთ პოლიტიკოსზე არაა დამოკიდებული. ამიტომ „თავისუფალი დემოკრატების“ განცხადება პოლიტიკურია, მათ არც კი უფიქრიათ, რომ ამით შეიძლება საერთაშორისო ასპარეზზე ზიანი მოგვადგეს. ეს საკმაოდ გაუთვლელი განცხადება იყო იმიტომ, რომ ეს არჩევანი არანაირ პარტიაზე, პიროვნებაზე დამოკიდებული არაა, არამედ ქართველ ხალხზე. ქართველმა ხალხმა არჩევანი გააკეთა და ნებისმიერი ხელისუფლება ამას უნდა ემსახუროს.

**— ალბათ, უნდა გავარჩიოთ ისიც, როგორ ევროპაში გვინდა ცხოვრება? საზოგადოებას დღეს არ აქვს გაცნობიერებული რა არის რეალურად დასავლური ღირებულებები, ზოგს ევროპა მხოლოდ ერთსქესიანთა ქორწინება ჰგონია...**

— დიახ, ეს მცდარი აზრია. თავისთავად ევროპა ძალიან ტრადიციულია. რა თქმა უნდა, დრომ, ადამიანის უფლებების კონცეფციამ და პოლიტიკამ მოიტანა ის, რომ ყველა თანასწორია, ყველას ყველაფრის უფლება აქვს. მაგრამ ევროპის ძირი, შეთანხმებული. ესაა ინსტიტუციონალიზაცია, რეალური შეთანხმების და მისი განხორციელების პოლიტიკა, რეალობასთან ღია თვალებით გამკლავების პოლიტიკა. ამ ყველაფერს ინსტიტუტები, მოაზროვნე, მოფიქრალი ადამიანები უზრუნველყოფენ, რომელთათვისაც ეს ცხოვრების წესადაა ქცეული. რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია კანონმორჩილებაც. კანონი ყველგან ირღვევა, მაგრამ ის შეთანხმება, რომელიც ადამიანსა და სახელმწიფოს, სახელმწიფოებს, კონგლომერატებს შორის არსებობს, ამის დაცვა ის მნიშვნელოვანი ფასეულობაა, რაც ევროპაში ყოველთვის ხორციელდება. ვთვლი, რომ ჩვენი რეალობიდან გამომდინარე, ამ ყველაფერის გავივლით, ოღონდ ამისთვის სიმშვიდე, სწორი ანალიზი, რეალობის შეგრძნებაა საჭირო. წარსულში, პოლიტიკოსები, ხალხს ისეთ მოლოდინებს უჩენდნენ, რომელიც რეალობასთან კავშირში არ იყო, ადამიანებს კი სჯეროდათ. სააკაშვილის დროს, საზოგადოებას ისეთ მოლოდინებს უჩენდნენ, ლამის საქართველოს შვეიცარიას ადარებდნენ და ამ ცხოვრების წესს უქადაგებდნენ. უნდა მივეჩვიოთ რეალობის სწორად შეფასებას — რა მდგომარეობაშია ქვეყანა გეოპოლიტიკური, ეკონომიკური, განათლების კუთხით. აქედან გამომდინარე, შევძლებთ რეალურად შევაფასოთ თუ რა ხდება დღეს, რისი უნარი აქვს ხელისუფლებას, რამდენად აკეთებს ამ ყველაფერს, რას ვაკეთებთ ქვეყნისთვის თავად ჩვენ როგორც მოქალაქეები და ა.შ. გავიხსენოთ, რას ამბობდა ილია: „კაცად მაშინ ხარ საქები თუ ეს წესი წესად დარგე, ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხე, აბა, მე დღეს ვის რა ვარგე?“. ჩვენ კი როგორ ვიქცევით — თუ არარეალური მოლოდინები არ გამართლდა, ვცდილობთ, ეს ხელისუფლებას მივაწეროთ, მოვთხოვოთ პასუხი. სწორი გზა უნდა დავინახოთ. რა თქმა უნდა, მოქალაქეები კრიტიკულად უნდა იყვნენ განწყობილნი და პასუხი მოითხოვონ იმ ნაბიჯების განხორციელებაზე რაც შესაძლებელია, მაგრამ ხელისუფლება ვერ აკეთებს. მაგრამ, ხელისუფლებას შეუძლებელი არ უნდა მოსთხოვო იმიტომ, რომ ასე ჩნდება არარეალობის განცდა, საზოგადოებასა და იმ ადამიანებს შორის დაძაბულობა, ვისაც ქვეყნის მართვაზე პასუხისმგებლობა აქვს აღებული. კარგად უნდა გავიაზროთ — რა მოხდა, რანი ვიყავით, საიდან მოვედით. მე თუ მკითხავთ, ქვეყანა ურთულეს მდგომარეობაშია. მინიმუმ, 20-30 წელია საჭირო პრობლემების მოსაგვარებლად, ოღონდ, ეს წლები, სწორად უნდა იყოს დაგეგმილი. პირადად მე, დიდ რესურს ჩავდებდი განათლებაში იმიტომ, რომ სწორედ განათლებულ კაცს შეუძლია შექმნას ის მომავალი, რაზეც ვოცნებობთ. ასევე, თანხას ჩავდებდი კულტურაში — ეს ხომ ჩვენი სახეა. ჩვენი კულტურის ნამდვილი ფასეულობები, რაზეც იგი დგას და რითაც ძლიერია, ძალიან ტრადიციულია და დიდ ქრისტიანულ კულტურას ეყრდნობა. ერთსქესიანი ქორწინებები და სხვა მსგავსი, უბრალოდ, დროის გამოძახილია. მთავარია ჩვენი უფლებებით ერთმანეთი არ შევაწუხოთ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თავისუფლება სიგიჟე არ არის, ეს არ არის ყველა სივრცის დაპყრობის უფლება. შენი უფლება იქ მთავრდება, სადაც მეორე ადამიანის უფლება იწყება. ეს უკვე ცხოვრების წესია. ღირებულებები, ფასეულობები, რითაც ევროპა არსებობს დიდი ხნის წინათაა დამსახურებაა ის რომ ევროპელები აქეთ მოილტვიან. ჩვენს ლიტერატურაში, სპექტაკლებში ისინი საკუთარ თავს პოულობენ. იციან, რომ ჩვენი კულტურით მათთვის ძალიან ახლობელი ეთნოსი ვართ. არანაკლებ რთული მდგომარეობაა ეკონომიკაში, ინვესტირება რთულდება, რაზეც რუსეთის ფაქტორი მოქმედებს. ხელისუფლება ინვესტორების შემოსაყვანად ყველაფერს ცდილობს, ქმნის საინვესტიციო ფონდებს, მაგრამ ინვესტორს შესაბამისი გარემო უნდა შეუქმნა, რათა ამ რისკზე წამოვიდეს, რაც იოლი არაა. აქვე აღსანიშნავია, რომ ხელისუფლებამ საკუთარ თავზე აიღო საყოველთაო დაზღვევა. ადამიანებს დაავადების, მედიკამენტების შეძენის აღარ ეშინიათ. მთავარია საკითხებისადმი ერთიანი მიდგომა, უნდა გავაცნობიეროთ, რომ ჩვენ ერთ სახლში ვცხოვრობთ, ყოველ გადადგმულ ნაბიჯზე კარგად უნდა დავფიქრდეთ, დასაკარგი არავინ გვყავს, ურთიერთობა, თანადგომა უნდა ვისწავლოთ. რაც თქვენ ახსენეთ, ევრომენტალობის, ევროფასეულობების განხრით, ეს ყველაფერი ჯერ კიდევ სასწავლი გვაქვს. ქვეყნიდან, ტყუილი, საერთოდ უნდა აღმოიფხვრას. ადამიანი უნდა მიხვდეს, რომ ეს არაპრაგმატულია როგორც ერთმანეთთან, ისე მოქალაქესა და სახელმწიფოს (და პირიქით, სახელმწიფოსა და მოქალაქეს) შორის ურთიერთობებში. დღეს, სამწუხაროდ, უამრავ



11 gv. ➔

ძვირფასო მეგობრებო, შემოგვიერთდით გაზეთ „პატრიოტის“ მეგობართა კლუბში.
ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
593 44 04 01; 597 93 93 79; (2) 14 40 19; (2) 34 28 97.
რედაქციის მისამართი: თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზ., 164, II სართ.

„როგორც საქართველოს მოქალაქე, ადამიანი, რომელსაც არანაკლები წვლილი მიუძღვის იმ ფაშისტური რეჟიმის დამარცხებაში, ვიდრე მთელ „თავისუფალ დემოკრატებს“, მე მოვითხოვ, პირველ რიგში გამოვიდეს საგარეო საქმეთა მინისტრი, ქალბატონი ფანჯიკიძე (თავის მოადგილეებიანად, რომლებიც ტიროდნენ ეთერში, რომ საქართველომ შეცვალა პოლიტიკური კურსი) და საქართველოს მოსახლეობას მოხსენოს: სად, როდის, კონკრეტულად ვინ დაავალა მას, ან შესთავაზა, ან რაიმე ტიპის მოქმედება განახორციელა საქართველოს ევროატლანტიკური კურსის აღსრულების საწინააღმდეგოდ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს არის პოლიტიკური საბოტაჟი, ქმედება, მიმართული საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ, ხოლო რა მოტივებით — ამაზე ცალკე ვილაპარაკებთ.

ეს ეხება ასევე ბატონ პეტრიაშვილს, ბატონ დოლიძეს (ერთსაც და მეორესაც) — განაცხადონ, რა მოხდა ერთ დღეში, რომ ყველამ პირი შეკრა და განაცხადეს, რომ ეს კურსი შეიცვალა. რაც ჩვენ მათგან მოვისმინეთ, ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ ხოტბა იმ საქმეების, რაც მათ აკეთეს ამ კურსის განსახორციელებლად — ვინ შეცვალა, სად შეცვალა?! ეს ხელეწიფებოდა ან პარლამენტს, ან პრემიერმინისტრს, ან საქართველოს პრეზიდენტს, მიუხედავად იმისა, რომ არსებული კონსტიტუციით ის არ არის განმხორციელებელი საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსისა — იქნებ მათგან მიიღეს რაიმე დავალება? წინააღმდეგ შემთხვევაში, აბსოლუტურად გაუგებარია როგორ შეიძლება იყოს, რომ ირაკლი ღარიბაშვილმა, როგორც პრემიერმინისტრმა, ამ უკანასკნელი დღეების განმავლობაში, წინა კვირებისა და წინა თვეების განმავლობაში (უელსის სამიტს და ასოციაციის ხელშეკრულებაზე ხელმოწერას რომ თავი დავანებოთ), თავის ყველა განცხადებაში ცალსახად ამბობდა, რომ არავითარი შანსი არ არსებობს ამ კურსის შეცვლის.

მე მოვითხოვ ამ პოლიტიკური ჯგუფისგან, გააკეთონ განმარტებები, აუხსნან ქართველ ხალხს რას ნიშნავდა ამ ჯგუფის განცხადებები და რა მიზანს ისახავდა, თუ ამის უკან არ დგას კონკრეტული ფაქტები, კონკრეტული არგუმენტები, კონკრეტული პიროვნებები და კონკრეტული ქმედებები!

...ახლა მივადგებით იმას, თუ რა ზარალი მოუტანა ამ გაუაზრებელმა დემარშმა, აბსოლუტურად უმეცარმა პოლიტიკოსებმა, რომელმაც კიდევ ერთხელ დაადასტურა ის პოლიტიკური წუმპე, რომელში ჩვენ ვიმყოფებით; რომ ადამიანები, რომლებსაც არანაირი გამოცდილება და არანაირი სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობა არ გააჩნიათ, არიან უმაღლესი ხელისუფლების მფლობელები; რომ პოლიტიკური ჯგუფი შემოიფარგლება იმ რაოდენობის ადამიანებით, რომლებიც სუყველა, გამწესებული არიან მაღალ პოლიტიკურ თანამდებობებზე, ხელთ უპყრიათ სადავეები და ამ სადავეებს იყენებენ ბოროტად, საკუთარი მიზნების განსა-



ლომდე, ან მომავალ წელს, საქართველოს ბიუჯეტი დიდად არის დაკავშირებული იმ ინვესტიციებთან, იმ საერთაშორისო პროექტებთან, იმ საერთაშორისო ფულთან, რომელიც შეიძლება შემოვდეს ამ ქვეყანაში; იმ საერთაშორისო ბიზნესთან,

**თველოს ევროატლანტიკურ კურსს, იმ პოლიტიკური დემარშით, რაც მათ განახორციელეს, საფრთხე შუქმნა მაია ფანჯიკიძემ, ირაკლი ალასანიამ, პერტიაშვილმა, ძმებმა დოლიძეებმა და მთელმა ამ ჯგუფმა.** მათ დააყენეს ეჭვქვეშ საქართველოს ევროატლანტიკური განვითარება და ევროატლანტიკური კურსი, მეტი, ეს, არავის გაუკეთებია გარდა იმ მარგინალური ჯგუფისა, რომელთანაც სულიერი ერთობა ამ უკანასკნელი დღეებში ძალიან ნათლად გამოჩნდა — ვგულისხმობ კრიმინალურ დაჯგუფებას „ნაციონალური მოძრაობა“, რომლის სათავეში დგას მძიმე საელმწიფო დანაშაულებში ეჭ-

**მათ პოლიტიკურ ენაზე, რამდენად ეთანხმება ეს დემოკრატიას, რომლის, ასე ვთქვათ, ფლაგმანია აშშ?** რამდენად არის უცხო ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევა, როდესაც იმ პოლიტიკურ სპექტაკლში თუ დადგმაში, რომლის მოწმენიც გავხდით, როდესაც მინისტრი, რომლის უახლოესი ხუთი თანამშრომელი ეჭვმიტანილია ძალიან სერიოზულ კორუფციულ გარიგებაში, ტაშ-ფანდურით და თეატრალური დადგმით აცილებენ სამინისტროდან, თითქოს მან რაღაც ისეთი ქმედება ჩაიდინა, რომ დაიცვა ეს ქვეყანა, გადაარჩინა საფრთხისგან და გმირული საქციელი ჩაიდინა და ამაში პირდაპირ მონაწილეობს აშშ-ის

## „თუ ვინმემ შეუქმნა საფრთხე საქართველოს ევროატლანტიკურ კურსს, იმ პოლიტიკური დემარშით, რაც მათ განახორციელეს, საფრთხე შუქმნა მაია ფანჯიკიძემ, ირაკლი ალასანიამ, პეტრიაშვილმა, ძმებმა დოლიძეებმა და მთელმა ამ ჯგუფმა“

### (ამონარიდი გოგა ხაინდრავას პრესკონფერენციიდან)

ხორციელებლად — სხვას ვერაფერს ვერ დავარქმევ!

რას ნიშნავს ეს საქართველოსთვის უახლოეს პერიოდში და გრძელვადიან პერსპექტივაში — ეს არის ძალიან მძიმე დარტყმა საქართველოს ეკონომიკისთვის, რადგან აბსოლუტურად ნათელია, რომ ამ პოლიტიკური დემარშის შემდეგ უამრავი საერთაშორისო ინსტიტუ-

რომელმაც საქართველოში უნდა შემოიტანოს ფული, შექმნას სამუშაო ადგილები და შექმნას წინაპირობა იმისა, რომ საქართველოს ეკონომიკა განვითარდეს. რა თქმა უნდა, არ შეიძლება მსგავსმა პოლიტიკურმა დემარშმა უკვალოდ ჩაიაროს.

**ჩემთვის, საქართველოს თავდაცვის მინისტრი, ადამიანი, რომელიც,**

ვმიტანილი ბატონი საააკაშვილი — ეს არის მწარე რეალობა, რისი მომსწრენიც გავხდით ამ ბოლო დღეებში.

**საერთაშორისო თანამეგობრობას, დიპლომატიურ კორპუსს, რომელიც საქართველოში არის და პირადად აშშ-ის ელჩს მინდა მივმართო და ვკითხო: რას ნიშნავს ამე-**

ელჩი? როდესაც აშშ-ის ელჩი ჩვეუყლებრივ კორუფციულ გარიგებაზე აცხადებს, რომ ამას აქვს პოლიტიკური დევნის ნიშნები და ა.შ — როდის იყო, რომ მიწაში ჩადებული ინტერნეტის მავთული ცვლიდა პოლიტიკური კურსის მიმართულებას? ან, რა პოლიტიკური სიბეცეა, როდესაც ადამიანი, ვისაც პრეტენზია გააჩნია ქვეყნის პოლიტიკურ ლიდერობაზე, აცხადებენ, რომ პროკურატურამ ქვეყანაში შეცვალა საგარეო პოლიტიკური კურსი — რა არის ეს, რაშია საქმე, რასთან გვაქვს საქმე?

ეს იმდენად მარტივია, იმდენად პრიმიტიულია, იმდენად თავხედობაა და მტრობაა საკუთარი ქვეყნის, რომ აბსოლუტურად ნათელია, ვისთვის იყო გაკეთებული ეს განცხადებები...

**ჩემთვის, ალასანია წარმოადგენს აშშ-ის თაქქქქქქვდაცვის სამინისტროს გაგრძელებას საქართველოში!**

**მე ძალიან დიდ პატივს ვცემ ამ ქვეყანას, არ დამავიწყდება ის სიკეთეები რაც აშშ-ისგან მიუღია საქართველოს, მაგრამ როგორც ოჯახის წევრი, საქართველო კი ჩემი ოჯახია, მე ვერ მოვითმენ, უცხო ოჯახის წარმომადგენლის ჩარევას ჩემი ოჯახის პირად ურთიერთობებში და ის, რაც ახლა ხდება და რასაც ვხედავთ, არის პირ-**



ცია ძალიან სერიოზულად დაფიქრდება იმასთან დაკავშირებით, ღირს თუ არა საქართველოში ინვესტიციების განხორციელება. ეს საფრთხეს უქმნის საქართველოს ბიუჯეტის შესრულებას, ეკონომიკის განვითარებას იმიტომ, რომ წლის ბო-

**ასე ვთქვათ, პასუხისმგებელია იმაზე, რომ განხორციელებული იყოს დაცვა, მოგვევლინა როგორც საქართველოზე თავდასხმის ერთ-ერთი ინიციატორი. თუ ვინმემ შეუქმნა საფრთხე საქარ-**

**რიკული და ევროპული დემოკრატიის გაგებით განცხადება, რომ რაღაც პოლიტიკური ჯგუფი არ დაელოდება არჩევნებს საქართველოში, შეცვლის და დაამხობს ხელისუფლებას? რა არის ეს**



←

**დაპირი ჩარევა ჩემი ოჯახის ცხოვრებაში, ჩემი შვილიშვილის, ჩემი შვილების, ცოლის და ა.შ ეს არის ყველა ჩვენთაგანისთვის საქართველო, ჩვენი ქვეყანა! ყველამ თავის ოჯახს მიხედოს!**

რა არის კორუფცია, რა არის პოლიტიკური კორუცია, ამერიკელებმა ჩვენზე კარგად იციან; ისიც კარგად იციან, მართლმსაჯულება როგორ უნდა მოიქცეს ამ შემთხვევაში; ისიც მშვენივრად იციან, პოლიტიკური განცხადებები რამდენად შესაფერისია მართლმსაჯულებასთან და მის განხორციელებასთან — რატომ აკეთებენ ამას?

ამის ახსნა შესაძლებელია მხოლოდ იმით, რომ სხვადასხვა ქვეყნებს, მათ შორის ჩვენ მეგობარ ქვეყნებსაც კი, სჭირდებათ საკუთარი გავლენის კაცები საქართველოს ხელისუფლებაში, საქართველოს პოლიტიკურ ისტებლიშმენტში. ეს ნორმალურია, მთელ მსოფლიოში ხდება, ყველა ქვეყანა დაინტერესებულია ამით, მაგრამ სხვა საქმეა რომ საქართველოს მოქა-

დღეს შეიქმნა ჩემთვის ისეთი სურათი, რომ ეს ადამიანები (დემარშის მომწყობი) ემსახურებოდნენ არა საქართველოს ინტერესებს, არამედ იმ ინტერესებს, რომლებიც საქართველოს ფარგლებსგარეთ არის.

საქმე ეხებოდა თავდაცვის სამინისტროს, ინსტიტუტს, რომელშიც გაერთიანებულია ქართული შეიარაღების მთელი ძალა; სადაც არიან შეიარაღებული ადამიანები, რომელთაც განუსაზღვრელი რესურსები გააჩნიათ იმისათვის, რომ ქვეყანაში დესტაბილიზაცია მოხდეს, ან რაიმე ტიპის ძალოვანი ქმედება. რამდენად ფრთხილები უნდა ვიყოთ — ეს დაწესებულება კონტროლიდან თუ გამოვიდა და პოლიტიკურ ვნებათაღელვაში ჩაერთო, მინდა გითხრათ, რომ ამის შედეგები ნანახი გვაქვს... ამ ვითარებაში, რომელსაც შეუძლია ააფეთქოს ეს ქვეყანა — შეეძლო, მადლობა ღმერთს, ვერ ააფეთქა — **დღევანდელ აღმასრულებელ ხელისუფლებას ირაკლი ღარიბაშვილის მეთაურობით აღმოაჩნდა საკმარისი სიმტკიცეც, გონიერებაც, მიზანშიმართულობაც იმისთვის, რომ ხელიდან არ გაეშვათ ქვეყანაში კონტროლი** — კიდევ ვიმეორებ, გადახე-



ლაქები, ადამიანები, რომლებსაც პირდაპირ ევალებათ ამ ქვეყანაზე ზრუნვა, რამდენად არიან მზად, რომ არა საკუთარ ქვეყანას და საკუთარი ქვეყნის ინტერესებს ემსახურონ, არამედ სხვა ქვეყნის, რა მეგობრულადაც განწყობილი უნდა იყოს, რა სტრატეგიული პარტნიორიც უნდა იყოს. თურქეთიც ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია და სხვა ქვეყნებიც, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენი უმაღლესი თანამდებობის პირები მათ ინტერესებს უნდა ემსახურებოდნენ და არა საქართველოსას.

დეთ სიას, რა თანამდებობის პირებმა განახორციელეს პოლიტიკური დემარში!

მე ადრე ძალიან სერიოზულად არ მიმიდევნებია ყურადღება ამისთვის — აღმოჩნდა, რომ „თავისუფალი დემოკრატები" მთლიანად აკონტროლებდნენ საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსის იმპლემენტაციას, მთლიანად! სწორედ ამიტომ ვსვამ კითხვას: მაშ, ვინ იყო ის ბნელი ძალა, ის მითიური ძალა, ვინც ხელი შეუშალა ამ კურსი განხორციელებას, გვიპასუხონ!"

# „მიეცი ნიჭსა გზა ფართო, თაყვანისცემა ღირსებას..."

← 9 gv.

სპექტაკლსა და ტყუილს ვხედავ. თუ ეს არ მოვაგვარეთ, მომავლის დაგეგმვა ძალიან რთული იქნება.

**— ამ ურთულეს პირობებში, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ერმა?**

— განათლება მოგვცემს საშუალებას სამომავლოდ სწორი გადაწყვეტილებები მივიღოთ. განათლებული კადრები ყველა დარგს სჭირდება. საზოგადოებამ, გარკვეული შეთანხმების საფუძველზე, პასუხისმგებელ პირებს ამის განხორციელება უნდა მოსთხოვოს. რეალური მოთხოვნების და მათი შესრულების ტანდემი უნდა შედგეს. ადამიანებს უნდა ვესაუბროთ. ის გარემოება, რაშიც დღეს უამრავ ადამიანს უწევს ყოფა, სამწუხარო რეალობაა. ხანდახან, ვფიქრობ, ადამიანები რითი ცხოვრობენ, არსებობენ. სამწუხაროდ, არ ვართ ის ქვეყანა, რომელსაც სათანადო რესურსები აქვს, ეს ჩვენი ხელით უნდა შევქმნათ. პირადად მე, აუცილებლად ჩავდებდი თანხებს ჭკვიან, ინტელექტუალურ ეკონომიკაში, ანუ, ადამიანურ რესურს უფრო ავამოქმედებდი. მადლობა ღმერთს, ქართველებს, ჭკუა არასდროს გვაკლდა. საბჭოთა პერიოდში როცა მშვიდობა იყო, ადამიანები უზრუნველყოფილნი იყვნენ, ყველა დარგში ნიჭი გამოავლინეს. ანუ, ქვეყანაში დევს ნიჭი, მაგრამ გარემო უნდა შეუქმნა, რომ განვითარდეს. ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამთავრდეს ეს წვრილმანი, ყოველდღიური, თითიდან გამოწოვილი კომერციაზე დაყრდნობილი მასმედიის „შოუები". ადამიანებმა ნამდვილი ყვითლისგან უნდა გაარჩიონ. დასავლეთში ყვითელი პრესა და ტელევიზია ერთმანეთისგან იყოფა, ამას სერიოზულად არავინ უყურებს. ასე უნდა იყოს ჩვენთანაც.



ქრისტე ამბობს, ნუ შეიქმნი კერპსა შენსაო, ანუ იგი ღმერთს ადამიანში ხედავს და სიყვარულს ქადაგებს. კერპების შექმნა დაუშვებელია. არადა, ჩვენ, ერთი მუჭა ხალხი, ამ კერპების გამო, ერთმანეთთან კონფლიქტში ვიყავით, რაც სასაცილოა. ასეთი რამ ქრისტიანულ კულტურასა და სწავლებაში საერთოდ არ დევს. ამ გზას რომ გადავუხვიეთ, ამიტომ ვართ სულ კონფლიქტებში.

**— წეღან ახსენეთ, სააკაშვილი ხალხს არარეალური დაპირებებით კვებავდაო. ის პრო-დასავლურობით გვაწონებდა თავს, მაგრამ განა ადამიანების ცოცხებით წამება, ან თუნდაც 30 ათასამდე პატიმარი ევროპულობის მანიშნებელია?**

— სააკაშვილი და მისი გუნდი პრო-დასავლურობით სპეკულირებდნენ. ეჭვი მეპარება, რომ მათ ქართველი ხალხის შველა უნდოდათ. თუ თავად არ გიყვარს, სხვას ვერ უშველი. ეს სულ დეკლარაციის დონეზე იყო. იმის მიღმა რაც ხდებოდა, თქვენი კითხვიდანაც ჩანს, რაც ხალხმა დაინახა და ეს უმსგავსობა 1 ოქტომბერს დაამთავრა. სიტყვა საქმესთან ყოველთვის უნისონში უნდა იყოს. ვერცერთი ხელისუფლება დიდხანს ვერ გაძლებს თუ მის სიტყვას საქმე არ მოჰყვება. როგორც კი ჩნდება ტყუილი, ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის ბზარი ღრმავდება და აქედან გამარჯვებული ყოველთვის საზოგადოებაა. ვფიქრობ, ახლა მშვიდობიანი დრო დგება. პირველ რიგში, იმიტომ, რომ ხალხმა არჩევნების ფასი გაიგო და საკუთარი ძალა შეიგრძნო. მეორეც, მთავარი საყრდენი ივანიშვილის გამოჩენა იყო. კაცი საქმით ფასდება. მან საქმით განამტკიცა ის, თუ როგორ უყვარს თავის ქვეყანა. იგი იმისთვის არ მოსულა, რომ ძალაუფლებით სარგო ენახა. დღეს, ადამიანებს თავისუფლად აზრის გამოთქმის აღარ ეშინიათ. ხელისუფლებაში მყოფი ახალგაზრდები ყოველთვის უნდა ეცადონ, რომ საზოგადოებასა და მათ შორის დამალული, ტყუილი არ იყოს. ხელისუფლება გახსნილია და საზოგადოებამაც ინიციატივა უნდა გამოიჩინოს. წინგადადგმული ნაბიჯია ის, რასაც ახლა, ბატონი ბიძინა აპირებს —შექმნას ნამდვილი საზოგადოებრივი პოლიტიკა. მთავარია ეს რეალიზდეს. თუ ჩვენ დემოკრატიას ვიღებთ როგორც არაიდეალურს, მაგრამ ერთ-ერთ არსებულ წყობას, რითიც დღეს ყველა განვითარებული ქვეყანა არსებობს, მაშინ დემოკრატიის წესი, ამის მთავარი ნაწილი უნდა იყოს. აქ, დახურული კარი არ არსებობს. დახურულ კარებს ყოველთვის დაგიმტვრევენ. საჭირო საზოგადოების საუკეთესო ნაწილის მობილიზაცია, ინიციატივიანი ხალხისთვის ხელის შეწყობა, ახალგაზრდების ჩართულობა. ხალხამდე უნდა მივიტანოთ მთავარი მესიჯი — დღეს რთულ მდგომარეობაში ვართ და, მოდით, ყოველდღიურ გამოწვევებზე სწორი რეაგირება მოვახდინოთ, რათა ნაბიჯ-ნაბიჯ, ნელ-ნელა უკეთეს ცხოვრებას მივაღწიოთ.

**— ექსპერტები პოლიტიკურ კრიზისზე საუბრობენ. შექმნილ ვითარებაზე საკუთარი აზრი ბიძინა ივანიშვილმაც დააფიქსირა. თქვენთვის, როგორც რიგითი მოქალაქისთვის რა იყო მნიშვნელოვანი მესიჯები?**

— ჯერ ერთი, ჩემი და ბატონი ბიძინას რეალისტური დამოკიდებულება ერთმანეთს ემთხვევა, იგი არ ატყუებს ხალხს და არ ეუბნება 2-3 წელიწადში ავყვავდებითო, არამედ ამბობს, რომ მინიმუმ 20 წელიწადში ნორმალური ევროპული დონის ქვეყანას მოუახლოვდებით. მეორეც, იგი ძალიან გახსნილია, ყველაფერს ღიად საუბრობს, სათქმელს უკან არ იტოვებს. საკუთარ თავს საზოგადოების წევრად თვლის. იგი არის ადამიანი, რომელიც დღე და ღამე იმისთვის მუშაობს, რომ ქვეყანას სიკეთე მოუტანოს, არადა თავისუფლად შეუძლია ქუდი დაიხუროს და წავიდეს. განა ბევრი მდიდარი ადამიანი ვიცით ისეთი, ვისაც თავის ქვეყანაზე ამდენი დრო დაეხარჯოს და ასე ეზრუნოს?! მისი ცხოვრების წესი ასეთია — დილის 9სთ-იდან 10სთ-მდე საზოგადოებრივი საქმიანობითაა დაკავებული, თავს არ ზოგავს. მაგრამ უნდა გავიაზროთ, რომ მარტო ვერაფერს იზამს, ქვეყანა კეთილდღეობისკენ ერთად უნდა წავიყვანოთ. ჩვენი წილი პასუხისმგებლობა, აგური უნდა დავდოთ.

**— 15 ნოემბრის აქციასაც მინდა შევეხოთ. „არა ანექსიას" — ამას გვეუბნება გუნდი, რომელმაც თავს უამრავი უბედურება დაგვატეხა და ხალხი მათ დამნაშავე რეჟიმს უწოდებს. აფხაზეთის თემა თითოეული ქართველის ტკივილია, ამით ხომ არ შეეცდებიან „მხარდამჭერების" აქციაზე მოტყუებას? როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები?**

— არ მგონია, ჩვენი ხალხი, ასეთი ბრმა იყოს და მოტყუვდეს. რა თქმა უნდა, ამ თემით სპეკულირებენ. ამ საკითხზე, საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია ხმა ამოიღოს, მაგრამ არა „ნაცმოძრაობის" მხრიდან გამართულ აქციაზე. „ნაციონალებს" მორალური უფლება არ აქვთ ქვეყნის ანექსიაზე ისაუბრონ, რადგან საქართველოს გარკვეული ტერიტორიის ანექსია სწორედ მათი მმართველობის დროს მოხდა.

მთავარი მოთამაშე, ნებისმიერ ქვეყანაში, მაინც ხალხია. ქართველი ხალხისთვის ეს ძალა არანაირ საშიშროებას არ წარმოადგენს.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24



*6 ნოემბერს საზოგადოებრივი მოძრაობა „ლაზარეს“ გაფართოებული ეროვნული შეკრება გაიმართა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დიდ დარბაზში.*

*შეკრების აუცილებლობა, როგორც საზოგადოებრივი მოძრაობის დამფუძნებელმა, ბატონმა რაზო ამაშუკელმა განაცხადა, განაპირობა ქვეყანაში შექმნილმა საფრთხის შემცველმა მდგომარეობამ.*

# საზოგადოებრივი მოძრაობა „ლაზარეს“ გაფართოებული ეროვნული შეკრება რუსთაველის თეატრში

**რეზო ამაშუკელი**: ძალიან სამწუხარო ამბავი მოხდა, გარდაიცვალა მართლაც სახელოვანი მამულიშვილები **გურამ ფირცხალავა** და **რევაზ ჭოხონელიძე**, ავდგეთ ფეხზე და პატივი ვცეთ მათ ხსოვნას. ახლა მოვუსმინოთ დიმიტრი ჯაიანს.

**დიმიტრი ჯაიანმა** საზოგადოებრივი მოძრაობა „ლაზარეს“ გაერთიანებული შეკრების მონაწილეებს მერაბ ბერძენიშვილის წერილი გააცნო:

„... პარლამენტი მოწოდებულია გადაარჩინოს ნაციონალური პარტია, ეს მათ თავიდანვე განაცხადეს. ასეთმა ქმედებამ გზა გაუხსნა ნაციონალებს და თუკი რამ სიავე ჩაუდენიათ, ყველაფერს აბრალებენ „ქართულ ოცნებას“. ვიღაც ქარაფშუტა პარლამენტარი ქილიკით საუბრობს კათოლიკოს-პატრიარქზე, უწმიდესსა და უნეტარესზე ილია II-ზე. გავახსენოთ ნაციონალებს მათ მიერ ჩადენილი დანაშაულებები. საზოგადოებას აუცილებლად უნდა ვაჩვენოთ ზუგდიდში აღმოჩენილი ვიდომასალები. როგორ არაადამიანურად, შემზარავად უსწორდებიან მოქალაქეებს. საზოგადოებისთვის ამის დამალვა არის შეცდომა და დანაშაული. დღეგრძელი იყოს საქართველო“.

**თემო გოცაძე, სახალხო მხატვარი:** სცენის კედელზე სამი ფოტოსურათია, ილიასი, ერეკლე II-ისა და პატრიარქის. ახლა ვიცი, იტყვიან, ერეკლე II სურათი იმიტომ ეკიდა, ესენი რუსეთისკენ მიდიან და ევროპაზე უარს ამბობენო. ჩემი გამოსვლის შემდეგ უარესს იტყვიან, რადგან უნდა გავიხსენო, რომ რომის სენატმა პრობლემებს რომ ვერ მოუარა, დიქტატორის თანამდებობა შემოიღო. დიქტატორი არა, მაგრამ აუცილებლად უნდა არსებობდეს რაღაც ორგანო საქართველოში, რომელსაც მძიმე სიტუაციების დროს კონკრეტული ღონისძიებების გატარება დაევალება...

**ელიზბარ ჯაველიძე, აკადემიკოსი:** ერთსქესიანი ქორწინება ბუნებრივ ამბად უნდა ჩათვალოთო. ილიას თქმისა არ იყოს, არსებობს ორი მტერი. ერთი, რომელიც მახვილით ცდილობს განადგურებას, მეორე აპირებს კულტურა და ტრადიცია მოგისპოს და ასე გაგანადგუროს. დღეს პირდაპირი შტურმი ქართული ცნობიერებისკენ არის მიმართული და უნდათ ჩვენი აზროვნების სტრუქტურა შეცვალონ.

**ვახტანგ ხარჩილავა, „საერთო გაზეთის“ მთავარი რედაქტორი, პოეტი, პუბლიცისტი:** ყველაფერი, რაც მოხდა 2008 წლის აგვისტოს თვეში, წინასწარ იყო გამიზნული დამარცხებისთვის. უამრავი მასალა არის ამის დამამტკიცებელი.

ჩემი აზრით, ხელისუფლებამ და ხალხმა არ უნდა დაუშვას 15 ნოემბრის აქცია, თუ ეს აქცია მაინც შედგება, მაშინ 16, 17, 18 ან 19 ნოემბერს ქართველი ხალხი უნდა გამოვიდეს და თქვას, მოსწონს თუ არა მას „ნაცმოძრაობის“ ძალადობა. მე ვფიქრობ, რომ ხელისუფლებამ ძალიან ბევრი გააკეთა ამ არნახული ზეწოლის პირობებში და დღეს სიტყვა ეკუთვნის ქართველ ხალხს. ჩვენ უნდა ვთქვათ ეს სიტყვა, ჩვენს ნაცვლად ამას ვერავინ იტყვის...

**ლალი ბადურაშვილი**: იმიტომ ვარ ასეთი რადიკალური „ნაციონალური“ მოძრაობის მიმართ, რომელსაც ჩემთვის პირადად არაფერი დაუშავებია, რომ ქვეყანას დაუშავა, დააქცია, დაამხო და გააცამტვერა ყველაფერი ის, რაც ქართული ცნობიერების გაღვივებას ემსახურებოდა... ახლა ისევ უნდათ იმ ქვეყნის მართვა, რომელიც ასე ძლიერად ეზიზღებათ. ამ გარეშე ძალებისაც მიკვირს, რატომ უჭერენ ხანდახან მათ მხარს. თვითონ თუ დაუშვებენ თავიანთ ქვეყნებში თავისივე ხალხის მოძულე მთავრობას. ან ამხელა ათასწლეული კულტურის მქონე ქვეყანას რატომ გვექცევიან ისე, თითქოს ტყეში მცხოვრები ტომი ვიყოთ.“

**ნანა დევდარიანი**: მეფე ერეკლეს ჰქონდა ორი არჩევანი. ერთი ის, რომ წასულიყო ევროპისკენ, სადაც ყველა მონარქს თავი გააგდებინეს, ან აერჩია განახლებული რუსული მართლმადიდებლური იმპერია. იმხანად ასე იყო და თანაც ერეკლე მონარქი იყო, ის რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე არ ყოფილა და სხვა არჩევანს ვერ გააკეთებდა. ამას იმათ გასაგონად ვამბობ, ვინც ცდილობს, საქართველოში მოაზროვნე ადამიანები რაღაც იარლიყების მიკერებით ჩააჩუმოს.

**ლადო სადღობელაშვილი**, „თავისუფალი თაობა“: არ შეგაწყენთ თავს, მაგრამ მინდა ერთი ფაქტი აღვნიშნო, ნაციონალები 15 ნოემბერს აქციას მართავენ იმ ადგილას, სადაც 7 ნოემბრის და 26 მაისის საშინელებები ცაიდინეს, ამიტომ 16 ან 17 ნოემბერს ჩვენ უნდა დავაფიქსიროთ ჩვენი პოზიციები. მინდა მხარდაჭერა გამოვუცხადო „ქართულ ოცნებას“, რომელსაც ნელ-ნელა გამოეყოფა არასასურველი ძალები და ეს ძალიან კარგი ტენდენციაა. ძალიან დიდი მადლობა, შემოგევლოთ ჩვენი თავი.

**ჯაბა ხუბუა, ჟურნალისტი:** ჩვენ არ გვეშინია. ამ ბრძოლაში ბოლომდე ვიქნებით და ჩვენს მკითხველებთან, ქართველ ხალხთან ერთად ამ ბრძოლას მივიყვანთ გამარჯვებამდე. ჩვენი სამშობლოს და ქართველი ხალხის საბოლოო გამარჯვებამდე.

**ტრისტან წითელაშვილი, გენერალი:** წლების მანძილზე სააკაშვილის ტერორის ქვეშ ვიმყოფებოდით, მის კონცლაგერებში, მაგრამ თქვენი წყალობით მე დღეს ცოცხალი ვარ და თქვენს წინაშე ვდგავარ. მადლობა, რომ მოგვეცა იმის საშუალება, ვაკეთოთ სამშობლოს საკეთილდღეო საქმე.

**დავით მხეიძე,** ჟურნალისტი:

15 ნოემბერს შეიკრიბება ნაციონალური ბანდა, რომელიც, ჩვენდა სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბოგინობს იმ მიზეზით, რომ აფხაზეთის მიმართ ქმედით ნაბიჯებს არ დგამს თურმე ხელისუფლება. მათი ქმედითი ნაბიჯებით დავკარგეთ აფხაზეთი და სამაჩაბლო.

არ შეიძლება ქვეყნისთვის მთავარი მიზანი იყოს ევროკავშირში ან ნატოში შესვლა, ეს შეიძლება მიზანი იყოს რაღაც დიდი მიზნის მისაღწევად.

მოვაწყოთ 200 000-იანი ან 300 000-იანი მიტინგი და მივადგეთ პარლამენტს და ვუთხრათ, „ნაცმოძრაობა„ აიკრძალოს, როგორც ფაშისტური ორგანიზაცია.

**რეზო ამაშუკელი**: მთელი ცხოვრება ამ გათახსირებულებს ვებრძვი. რაც აქ მოხდა და რატომაც მოხდა მე ერთადერთი მიზანი მქონდა და მაქვს, გიგა ბოკერია უნდა ჩავაჯინო ციხეში. არ მოსწონთ ჩემი ლექსიკა, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა: თავის ტყლარჭია ცოლიც მასთან ერთად უნდა ჩავსვა ციხეში.

ვიცით, ჩვენ ასეთი დემოკრატები ვართ და როგორ შეიძლებაო. მეტყვიან. როგორ შეიძლება და კარგად შეიძლება. რაც მაგათ ჩემს სამშობლოს გაუკეთეს, ყველა სასჯელი მათთვის ზედგამოჭრილი იქნება. ამიტომ პირდაპირ ვამბობ. ერთგული ვარ ირაკლი ღარიბაშვილის. არ დამკლებია ღვინო, ქალი, კაზინო, მაგრამ გულით ყოველთვის ქართველი ვიყავი.

ვიცი, აქ რამდენიმე მსტოვარი მაინც იქნება, ამიტომ ვაფრთხილებ, დედიმისიშვილი ბრძანდებით არასამთავრობოებო და პატრიარქზე დაგცდებათ სიტყვა: ვერაფერი ველარ გიშველით. როგორც ჩვილი ბავშვი, ხელში ისე უჭირავს საქართველო ამ კაცს.

მწერალთა კავშირის სახლში, სადაც გალაკტიონის, კონსტანტინე გამსახურდიას, გოგლას, პაოლოს თოფის ლულა არ გაციებულა, იქ ჩაატარეს ჟურნალ „17“ პრეზენტაცია. ეს არის ლგბტ დედოფლის ირაკლი ვაჭარაძის ჟურნალი. ჯერ ერთი, ბიჭმა 18 წლამდე არ უნდა იცოდეს, ბიჭია, გოგოა თუ რაა საერთოდ. 18 წელს რომ გაცდება და ცოტას შეაჟრიალებს, უნდა მივიდეს თურმე თავის დედიკოსთან, „ქამენგაუტი“ ჰქვია ამ ამბავს და უთხრას: დედიკო, მე ცოტა „მახველებს“.

არ დავუტოვებთ პედერასტებს საქართველოს!

ბოდიშს ვიხდი, მაგრამ, მგონი, ამ დარბაზში ვიღაცებს გიყვარვართ, ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ: ნუ მივცემთ ამ წესიერ ბიჭს, ახალგაზრდა კაცს ირაკლი ღარიბაშვილს საჯიჯგნად ამ ხურუშიანებს, წავიდეს მერე გვარამია, „რუსთავი-2“-ის დირექტორი სამხრეთ აფრიკის პინგვინს რომ ჰგავს და მიჩივლოს, ვისთანაც უნდა.



## საზოგადოებრივი მოძრაობა „ლაზარეს“ მიმართვა ხელისუფლებისა და ქართველი ხალხისადმი

„ნაცმოძრაობის“ 9-წლიანი რეჟიმის ძალმომრეობის პერიოდში ადამიანის ფუნდამენტური უფლების ხელყოფის, მოქალაქეთა კერძო საკუთრების, მართლმადიდებლური ეკლესიისა და ქართველი ერის ღირსებისა და შეურაცხყოფის გამო, „საზოგადოებრივი მოძრაობა ლაზარე“ შეკრების დამსწრეთა უმარვლესობის თანხმობით უფლებამოსილია განაცხადოს:

1. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში პოლიტიკური მარცხის მიუხედავად, ნაციონალური მოძრაობის დანაშაულებრივი რეჟიმი კვლავინდებურად აგრძელებს ქართული საზოგადოების დაშანტაჟებასა და არსებული ხელისუფლების მიმართ საბოტაჟს;



2. ნაციონალური მოძრაობის რევანშისტული პოლიტიკის ხელშეწყობისა და ქვეყანაში დესტაბილიზაციის, ე.წ. “თბილისური მაიდნის” მოწყობის მიზნით, გეგმაზომიერად მიმდინარეობს პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილის დისკრედიტაცია;

3. ნაციონალური მოძრაობის მიერ დაფუძნებული და დაფინასებული არასამთავრობო ორგანიზაციები, საგრანტო სისტემაზე არსებული და „ექსკლუზიური უფლების მქონე“ არასამთავრობო სტრუქტრები, ასევე ჟურნალისტთა კორპუსი, რომელსაც წინარე, ნაციონალურ ხელისუფლებასთან საეჭვო კავშირი აქვს დამყარებული, მიზანმიმართულად ეწევიან საზოგადოების დეზინფორმაციას, რაც ხელს უშლის ქვეყანაში დემოკრატიული, სამართლებრივი პროცესების წარმართვას;

4. ნაცმოძრაობის გამუდმებულმა რევანშისტულმა მუქარებმა, ფართო საზოგადოების აზრის იგნორირებამ და უცხოელი ლობისტების არაობიექტურმა, ტენდენციურმა პოზიციებმა, შესაძლოა, ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირება გამოიწვიოს, რაც ათაწლეულებით გადაავადებს როგორც ქვეყნის დემოკრატიულ მშენებლობას და ევროსტრუქტურებთან მის ინტეგრაციას, ასევე ტერიტორიული მთლიანობისა და დეოკუპაციის უმიშვნელოვანეს საკითხს;

5. შემნილი რთული ვითარების გათვალისწინებით, საზოგადოებრივი მოძრაობა „ლაზარე“ მოგიწოდებთ, რომ საზოგადოებაში გაუსვრელი, პრინციპული, პატიოსანი და სამართლიანი პოლიტიკოს სტატუსის მქონე პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის, საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილის სახელით გამოეცხადოს მხარდაჭერა, რათა მან ჩვეული უკომპრომისობითა და პრინციპულობით, შეძლოს ქართველი ხალხის უპირობო მოთხოვნის- დანაშაულებრივი „ნაციონალური რეჟიმის“ გასამართლების დაწყებული პროცესის ბოლომდე მიყვანა;

6. ქართველი საზოგადოების მიუკერძოებელი ჟურნალისტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ინიციატივით პრემიერ-მინისტრთან კონსულტაციების საფუძველზე შეიქმნას “სახალხო ტრიბუნალის საზოგადოებრივი საბჭო”;

7. “სახალხო ტრიბუნალის საზოგადოებრივ საბჭო”-ში და სხვა ობიექტურ არასამთავრობო ორგანიზაციებან ერთად ჩართულ იქნას საზოგადოებრივი მოძრაობა “საზარეც”, რაც საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი თემების შესაფესებისას ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების დამკვიდრებულ “ექსკლუზიურ უფლებას” გამორიცხავს და პლურალიზმის ხელშემწყობი ფაქტორიც გახდება;

8. საზოგადოებრივი მოძრაობა “ლაზარე“, საკანონმდებლო ორგანოს წინაშე კვლავ აყენებს საკითხს, დაცულ იქნეს და საკანონმდებლო დონეზე დარეგულირდეს საზოგადოებისთვის აქტუალური ზნეობრივი კატეგორიები, აღიკვეთოს ეროვნული ღირსებისა და რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა;

9. საზოგადოებრივი მოძრაობა “ლაზარე” შეკრების მონაწილეთა სახელით მოითხოვს: ყოველგვარი მფარველობისა და მიკერძოების გარეშე გაგრძელდეს ნაციონალური მოძრაობის 9-წლიანი დანაშაულებრივი ნამოქმედარის ობიექტური გამოძიება და სამართლებრივი შეაფასება, რასაც, სასურველია დაერთოს როგორც მორალურ-ზნეობრივი და სახელმწიფოებრივი, ისე საზოგადოებაზე ფსიქოლოგიური და სულიერი ძალადობის ფაქტები;

10. შეკრება მეგობარ და მოკავშირე ქვეყნებს მიმართავს თხოვნით, საქართველოს, ქართველ ხალხსა და ქართულ სასამართლოს (როგორც თავისი ქვეყნის რეალურ ბატონ-პატრონს), ნაცმოძრაობის საერთაშორისო ლობისტების, თანამეგობრობის ზეწოლისა და “პოლიტიკური ნიშნით დევნის კვალიფიკაციაზე” აპელირების ნაცვლად ობიექტრუი განაჩენების დამოუკიდებლად გამოტანის შესაძლებლობა მიეცეს;

11. ქვეყანაში დესტაბილიზაციისა და სბოტაჟის მცდელობის თავიდან აცილების მიზნით, საზოგადოებრივი მოძრაობა “ლაზარე“ ფართო საზოგადოებას უახლოეს პერიოდში შესთავაზებს მოძრაობაში გაერთიანებულ მეცნიერთა მიერ შემუშავებლ „საერთო ნიადაგის თეორიის“, როგორც „ქართული პოლიტიკური იდეოლოგიის“ კონცეფციას;

12. საზოგადოებრივი მოძრაობა “ლაზარე“ ეთანხმება ქართული საზოგადოების მოთხოვნას, საჯაროდ გასამართლდეს ნაციონალური მოძრაობის დანაშაულებრივი რეჟიმი, ხოლო ნაციონალურ მოძრაობას აეკრძალოს პოლიტიკური მოღვაწეობა.

საზოგადოებრივი მოძრაობა
„ლაზარეს“ გაფართოებული
შეკრების მონაწილეები.
2014 წლის 6 ნოემბერი.

# საქართველოს ტერიტორიაზე აფხაზთა განსახლების შესახებ

**გვესაუბრება ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ბატონი ზურაბ რატიანი.**

**— ბატონო ზურაბ, როგორც ამბობენ, საქართველო გადაშლილი იყო კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე, ხოლო ჩრდილო კავკასიის დიდი ნაწილი ქართული ტომებით იყო დასახლებული. სადამდე მიდიოდა ჩვენი ქვეყნის საზღვრები? სადამდე იყო ქართული დასახლებები?**

— მსოფლიოს პირველი ცივილიზაციის ჩრდილოეთი საზღვარი კავკასიის ქედს გადაღმა მთის წინა დაბლობებზე გადიოდა. იქ პირიქითა საქართველო იყო, ლაზ-მეგრელებით, სვანებით, დვალებით, წანარმოხევეებით, ფხოვ-ხევსურებით და თუშებით დასახლებული. ეს ქართველი ტომები არიან პირიქითა საქართველოს პირველი მკვიდრი მოსახლეები — აბორიგენები, ანუ ისინი, ვისაც ლეონტი მროველი კავკასიანებს უწოდებს (დღემდე შეცდომით მიიჩნევენ და მეც ასე მეგონა, თითქოს კავკასიანებში მხოლოდ ჩეჩენ-ინგუშთა წინაპრებს გულისხმობდა ლეონტი მროველი).

პირიქითა საქართველოს ჩრდილოეთ საზღვარს გადაღმა, ვოლგადონის შუამდინარეთსა და, საერთოდ, აღმოსავლეთ ევროპის ველებზე, ბოლო ორი ათასი წლის განმავლობაში უამრავი ველური ტომი მომთაბარეობდა. ეს ტომები ებრძოდნენ ყველას და ყველაფერს და ომების, სტიქიისა და ეპიდემიების გამო იღუპებოდნენ. გადარჩენილები კი სხვებთან აღრევით ახალ ტომებად ყალიბდებოდნენ. ამიტომ თავდაპირველი სახით, ანუ ეთნიკური შემადგენლობით არც ერთ ტომს დღემდე არ მოუღწევია.

კიმერიელები, სკვითები, სარმატები, ალანები, ჰუნები, ხაზარები, პაჭანიკები, ყივჩაღები, აკაცირები, ბარსილები, სარაგურები, უროგები, სავირები, უტიგურები და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი ტომი ამოწყდა ან სხვებში გაითქვიფა. იმდენად დიდი იყო ურთიერთგამანადგურებელი დარტყმები პირიქითა საქართველოს ჩრდილოეთით მდებარე ტრამალებზე, რომ იქ საბოლოოდ დამკვიდრება XIX ს-მდე ვერავინ მოახერხა. თვით ხაზარების ძლიერმა სახელმწიფომაც კი მხოლოდ სამიოდე საუკუნე იარსება (VII-X სს.), ოსებისამ კიდევ უფრო ნაკლები (X-XII სს.). გადარჩენილი მოსახლეობა, ანუ თურქული მოდგმის ხაზარების და ირანული მოდგმის ოსების დიდი ნაწილი სლავებში გაითქვიფა, ზოგიც ერთმანეთს შეერია და მათმა ნაწილმა დაიწყო პირიქითა საქართველოში შემოხიზვნა XIII-XIV ს-დან. ასე შემოეხიზნენ პირიქითა საქართველოს თურქული მოდგმის ყივჩაღური ტომები ყარაჩაი-ბალყარელები, ირანული მოდგმის ოსები და სულ ბოლოს — ჩერქეზული ტომები.

XII ს-ში და XIII ს-ის პირველ მეოთხედამდე კვლავ შეუძლებელი იყო ქაშაგთა თუნდაც ხიზნებად შემოღწევა პირიქითა საქართველოში, შემდეგ, განსაკუთრებით XV ს-დან ველურთა სულ ახალ-ახალი ტალღები აწყდებოდა ჩვენს სამშობლოს. ყველა ეს ქაშაგები, ანუ აწ უკვე ჩერქეზებად წოდებული ტომები, ქართულ ტომებში ითქვიფებოდნენ და თავდაპირველად ქართველდებოდნენ, მაგრამ თანდათან პირუკუ მოხდა, ქართული მოსახლეობის შემცირების და ჩერქეზთა ახალ-ახალი ტომების მოძალების გამო ქართველობამ თანდათან დაკარგა თვითმყოფადობა და შემოხიზნულ ჩერქეზებთან შერწყმით ახალი ტომები ჩამოყალიბდა. ეს პროცესი XX ს-მდე გაგრძელდა და XIX საუკუნისთვის რუსებს შემდეგი ტომები აღუნუსხავთ: ნატუხაელები, დიდი შაფსუღი, მცირე შაფსუღი, აბაზა, აბაძეხი, ბჟედუხი, ხამიშელი, ბჟედუღი ჩერჩენეელი, ხატუნაელები, თემირგოელები, მამხეტოელები, ეგერუყვები, მახოშეველები, ბესლენეები, ჰაკუცები.

ყველა ეს ტომი ქართული და ჩერქეზული ტომების რამდენიმე საუკუნის მჭიდრო ურთიერთობების შედეგად ჩამოყალიბდა. ზოგი მათგანის სახელწოდებიდანაც კი ჩანს მათი ქართული წარმომავლობა.

**— ბატონო ზურაბ, აფხაზები როდის დამკვიდრდნენ ამ მიწაზე?**



— სიმონ ჯანაშიას მიერ (ტ. IV) 1929 წლის აპრილ-მაისში ჩატარებული სამეცნიერო ექსპედიციის დღიურებში ვკითხულობთ: „აბაზას სახლში აბაძურის გასაცნობად... (მივედი — რედ.). ჩემი მთქმელი 84 წლისაა. იქ ვცხოვრობდითო, სადაც ლაბა ორად იყოფაო... ახსოვს 64 წლის ამბები (ამ წელს რუსებმა გაანადგურეს ჩერქეზთა დიდი ნაწილი). ზღვის პირას ცხოვრობდნენ მიდავეი. ჩვენც ამათგან გამოყოფილნი ვართ, არიან კიდევ აფხაც. ამ უკანასკნელებს განსხვავებული კილო აქვთ“ (იქვე, გვ. 100).

**მიდავეი აბაზას უშუალო წინაპარია, არსებითად იგივე აბაზაა და მათგან განცალკევებულად მთქმელი ასახელებს „აფზაც“-ს (არიან კიდევ „აფხაც“), რომელსაც მიდავეი-აბაზასაგან განსხვავებული კილო ჰქონია**. ასე რომ ,მოხუცი აბაზას თქმით, აფხაც არ არის მიდავეი-აბაზა, რაც თვითონ სიმონ ჯანაშიას იმდენად უჩვეულოდ მიუჩნევია, რომ აფხაცის ჩაწერისას საგანგებოდ ალუნიშნავს — SIC!

მაინც, რა არის აქ უჩვეულო? საქმე ისაა, რიმ აფხაც-ის მთქმელი მოხუცი აბაზა და, საერთოდ, ყველა აბაზა და მიდავეი აფსუას აფხაზს უწოდებს, მოხუცი აბაზა კი აფხაც-ს სხვად, განსხვავებულ კილოზე მეტყველად ასახელებს, ე. ი. მოხუცის თქმით, **აფხაზი სხვაა და აფხაც-ი სხვა**.

**— აფხაზისა და აფხაც-ის განსხვავებულობა როგორ უნდა აიხსნას?**

— ამ საკითხის გასარკვევად ისევ სიმონ ჯანაშიას დავუბრუნდეთ: „ჩვენს ენას ჰქვია აფსაშა... მე ვკითხე, აფსუა-ს ხომ არ ეძახით თავიანთ თავს; მიპასუხა: აფსუო, ესენიც მიდავეები იყვნენო. ჩვენ ყველანი აბაზა ვართო, გამოდის თითქოს ეს საერთო სატომო სახელია“ (იქვე, გვ. 101).

„აფხაზეთს ჩვენ ვეძახით აფსინ//აფსნი; აფხაზს — აფსოუ“ (გვ. 105).

„მე მეძახიან აფსუა-ს (ე. ი. სიმონ ჯანაშიას ეძახიან აფსუას (!) — ზ.რ.). იციან აგრეთვე მარათინ (იგივე იმერეთი). თავიანთ თავს ეძახიან აბაზა-ს“ (გვ. 137).

„ჩვენ ყველანი აბაზა ვართ, ვინც აქ ვცხოვრობთ (ე. ი. ყუბანის ველზე — ზ. რ.), ვინც აფხაზეთშია, ბათალფაშინშსკში და სხვაგანო. ამას გარდა, ისიც თქვა, ჩვენ „აფსაშა ვართო“ (იქვე, გვ. 104).

ამრიგად, აფსუა იგივე აბაზაა და ეს აფსუა-აბაზა ცხოვრობს ყუბანის ველზე, ყუბანის სათავეებში და აფხაზეთში. ე. ი. სამ სხვადასხვა მხარეში და ამას გარდა, კიდევ სხვაგანაცო, რომელსაც სახელდებით არ ასახელებს მთქმელი.

აღსანიშნავია, რომ ერთხელ ნახსენებ „აფხაც“-ს მთქმელი აღარ იმეორებს, მაშინ, როცა დაბეჯითებით ამბობს: „აფხაზეთს ჩვენ ვეძახით აფსინ//აფსნი; აფხაზს — აფსოუ“, თვით სიმონ ჯანაშიასაც კი აფსუას ეძახიან და არა აფხაზს! ამით კარგად ჩანს, რომ მთქმელს აფსუა-აფხაზი აფხაც-ად კი არ მიაჩნია, არამედ სხვა ტომად, რომელიც ყველა ამ მიდავეი-აბაზა-აფსუასაგან განსხვავებულად მეტყველებს, ე. ი. მისი თქმით, აფხაც არ არის აფხაზი. მართალია, სიტყვით




აფხაცს განსხვავებული კილო აქვს, მაგრამ ჩანს, აქ მას ენა და არა კილო უნდა ეგულისხმა და აი, რატომ. ეს აბაზა სიმონ ჯანაშიას აბაზურად ესაუბრებოდა, დიდი მეცნიერი კი — აფსუურად. აბაზური და აფსუური კილოები კი ერთმანეთისაგან განსხვავდება, რასაც საუბრისას ვერც კი გრძნობს ეს მთქმელი, ან არ აქცევს ამას ყურადღებას. სიმონ ჯანაშია კი სხვა მთქმელთან, ასევე აბაზასთან საუბრისას აღნიშნავს: „კარგა ხანს ვილაპარაკეთ, თითქმის თავისუფლად გვესმის ერთმანეთის ენა,, (იქვე, გვ. 103). ცხადია, სიმონ ჯანაშია ამჯერადაც აფსუურად ესაუბრებოდა აბაზას. ასე რომ, რადგან მთქმელმა აბაზურსა და აფსუურ კილოებს შორის განსხვავება არც შეიმჩნია და არც კი ახსენა, ბუნებრივია, ვიფიქროთ, როცა ის აფხაცის განსხვავებულ კილოს ახსენებს, აქ ენა და არა კილო უნდა ეგულისხმა. ასეა თუ ისე, მთავარი ისაა, რომ აფხაცი განსხვავებულად მეტყველებდა, ყველა ამ ამაზა-მიდავეიაფსუასგან განსხვავებულად.

ყოველივე აღნიშნულის შემდეგ, ვფიქრობ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ეს აფხაც არის სწორედ ის ძირძველი მკვიდრი ქართველი, საქართველოს, საკუთრივ აფხაზეთის თავდაპირველი ანუ აბორიგენი მოსახლე, რომელსაც აბაზამ (იგივე მიდავეი-აფსუა) აფხაც უწოდა, იმის გამო, რომ აფხაზი უკვე აფსუას ერქვა და ამით, ერთგვარად, თითქოსდა განსხვავებული სახელი დაარქვა მკვიდრ აფხაზს. და რადგან მოხუცი აბაზა ამ აფხაცის, მკვიდრი ქართველის შესახებ ამბობს, ის განსხვავებულად მეტყველებდაო, ეს არის პირდაპირი და სარწმუნო მითითება, რომ ძირძველი მკვიდრი აფხაზი და XVII-XVIII სს-დან აფხაზეთში დამკვიდრებული აფსუა, თავისი მიდავეი-აბაზა ღვიძლი ძმებითურთ განსხვავებულად მეტყველებდნენ.

**—თუ აფსუა-მიდავეი-აბაზა ღვიძლი ძმებია, მაშინ რაღა ერთ მათგანს — აფსუას და არა ყველას უწოდეს აფხაზი?**

— ამ კითხვის პასუხი ადვილი მისაგნებია, თუ გავითვალისწინებთ ისტორიულ სინამდვილეს, რომ აფსუას მხოლოდ მას შემდეგ უწოდეს აფხაზი, რაც იგი პირაქეთა საქართველოში, კერძოდ, აფხაზეთში შემოიხიზნა და აქ დაემკვიდრა XVII-XVIII სს-ში. მისი ღვიძლი ძმები კი, რადგან პირიქითა საქართველოში დარჩნენ, ბუნებრივია, აფხაზებად ვერ იწოდებოდნენ.

ასე რომ, ტერმინ აფხაზის მიმართება, ერთის მხრივ, აფსუასა და, მეორე მხრეივ, აბაზა-მიდავეისთან, პირდაპირ და გადაჭრით მიგვითითებს აფხაზის — აფხაც-ის ძირძველ ქართველობას და აფსუა-აბაზა-მიდავეის შერეულ ქართულ-ქაშაგურ-ჩერქეზულ წარმომავლობას.

საკითხის გასარკვევად მეტად საგულისხმოა სამშობლოს აფსუური სახელწოდება — აფსადგილ. აფსუათა თვითსახელწოდებისა და ქართული სიტყვა — ადგილის — შეერთებით მიღებული ეს კომპოზიტი დიდი სიზუსტით განმარტავს ამ ცნების არსს. **თვით აფსუათა აღიარებით, მათ მხოლოდ ქართული სიტყვით შეძლეს სამშობლოს შინაარსის გამოხატვა, ცხადია, მას შემდეგ, რაც ისინი საქართველოში დაემკვიდრნენ, ანუ საქართველო გახდა მათი სამშობლო**. ასე იმიტომ მოხდა, რომ სანამ აფსუა ველური იყო, მას არ სჭირდებოდა თვით სამშობლოს ცნება და ამიტომ, როგორც ყველა ველურს, არც აფსუას გააჩნდა სამშობლოს აღმნიშვნელი ტერმინი. მაგრამ ტერმინი აფსადგილი კიდევ უფრო მეტ ინფორმაციას გვაწვდის. საქმე ის არის, რომ ადგილი ქართულად მთლიანი ქვეყნის ნაწილს ნიშნავს: „ადგილი ესე არს ნაკუეთი რაიმე ქუეყანისაგან, გინა სამყოფი, გინა დასადგომელი და დასაჯდომელი დათქმული ვისიმე“, — განმარტავს საბა. აფსუურად კი ადგილი საერთოდ მიწას, მიწა-წყალს აღნიშნავს. იქნებ ამის გამო გაუჩნდათ სურვილი ზოგ-ზოგებს აფხაზეთი საქართველოს ნაკვეთად, ნაწილად კი არა, არამედ ცალკე მიწად, ქვეყნად გამოეცხადებინათ. ეს, ასე ვთქვათ, ხუმრობით, ხოლო დაბეჯითებით აღვნიშნავ, თვით სიტყვა აფსადგილიც კი იმას ღაღადებს, რომ აფხაზეთი არის ნაწილი, ანუ ნაკუეთი, საბას სიტყვით რომ ვთქვა, ერთი მთლიანი ქვეყანისა, რომელსაც საქართველო ჰქვია.

გარდა აფსადგილისა, აფსუებს აქვთ მეორე ტერმინიც — აჯინჯტილა, რაც ასევე ქართული, საკუთრივ მეგრული ენიდან აქვთ შეთვისებული. ჯინჯი მეგრულად ძირს, ფუძეს აღნიშნავს. ამის შემხედვარეს მეტი საფუძველი მაქვს ვიფიქრო, რომ ის ძირძველი აფხაზი-აფხაც-ი მეგრულად მეტყველებდა და სწორედ მისგან შეითვისა აფსუამ აჯინჯტილა, ხოლო სიტყვა ადგილი ჩანს, მწიგნობრული გზით, ქრისტიანობის წყალობით უნდა ესწავლა ჩვენს მოძმე აფსუას.

**ამრიგად, ქაშაგ-ჩერქეზებმა სამშობლო მოიპოვეს XV-ს-დან პირიქითა საქართველოში, საიდანაც ზოგი ახლად ჩამოყალიბებული ტომი პირაქეთა საქართველოს შემოეხიზნა XVI-XVII სს-დან და აქ დაემკვიდრა**.

დაბოლოს, დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ ყველა ეს ჩერქეზულ-ყაბარდო-ადიღეური ტომი და მათ შორის უპირველესად აფსუა, ჩვენი, ქართველების ნათესავია, როგორც სისხლით, ასევე ისტორიულ-კულტურულად, ისევე, როგორც ყარაჩაი-ბალყარელები და ოსები. ესენი, **როგორც ნ. მარმა სომხებს და აზერბაიჯანელებს კავკასიის მეტისები უწოდა, ასევე კავკასიის მეტისებია, ხოლო დაღესტნელ-ჩეჩენ-ინგუშები ყოველმხრივ ქართველთა უძველესი და თავდაპირველი ნათესავები არიან.**

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

(გაგრძელება იქნება)

# ერის ჯარისკაცი – პავლე ინგოროყვა



პავლე ინგოროყვა სიცოცხლის ბოლო წლებში

**„სხვა არაფერი უნდოდა, არც მოუთხოვია. გრიგოლ ხანძთელის შინაგანი სინათლით იყო განათებული. მასაც მეუდაბნოე ბერის შინაგანი რწმენა ეწეოდა თავდაუზოგავი, თავდავიწყებული შრომისაკენ. მან ისიც კი არ იცოდა, რომ მაგალითად იქცა დაუნჯებული, ცხოვრების ყაყანს განრიდებული, მეუდაბნოე მეცნიერის მაგალითით... საუკუნის აღმართში ჯვრის ზიდვა ასე ხანგრძლივად და ქედშეუხრელად, მხოლოდ ერთეულებმა შეძლეს...“**

ეს სიტყვები გურამ ასათიანმა მიუძღვნა პავლე ინგოროყვას – მამულის მოამაგე ადამიანს, რომელიც ხიდად გადებულიყო წარსულსა და აწმყოს შორის, თავდაუზოგავად შრომობდა და საუკუნეთა სიღრმეებიდან ამოჰქონდა უძველესი ქართული მწერლობისა და საქართველოს ისტორიის საიდუმლოებანი... სამშობლოს სამსახურში ჩავლილი ხანგრძლივი სიცოცხლე განგების საჩუქრად მიაჩნდა და ეს ჯილდო პასუხისმგებლობას უასმაგებდა. იყო ნიმუში გაუტეხელობისა და პრინციპულობისა და იმავდროულად, მაგალითი – თავმდაბლობისა და მოკრძალებისა. გურამ ასათიანმა „დიდი ალექსანდრიელი“ უწოდა პავლე ინგოროყვას, რომელიც თავის თავს ერის ჯარისკაცად მოიხსენიებდა... მას სხვა არც რა ნდომებია არასდროს.

დიდია მისი ღვაწლი სასულიერო მწერლობის წინაშე: 20 წლის იყო, ჯერ კიდევ პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი, 2013 წელს თავისი მეცნიერული ნაშრომი რომ გამოაქვეყნა – „ძველ-ქართული სასულიერო პოეზია (VIII-XIII სს.)“, ერთ წელიწადში – „თარგმანები ფსალმუნთა წიგნისა“. მერე და მერე – „გალობანი ვარძიისანი“ (თამარ მეფის საგალობელი), „თამარ მეფის იამბიკონი“, „ლეონტი მროველი“... მონოგრაფია „გიორგი მერჩეულე“ ყოველმხრივ განსაკუთრებულია და მასზე ამ წერილის ბოლოს უფრო დაწვრილებით ვიმსჯელებთ.

პავლე ინგოროყვა მთელი ცხოვრება იკვლევდა რუსთაველსა და „ვეფხისტყაოსანს“. ოცწლიანი კვლევის შემდეგ დაადგინა და დაასახელა რუსთაველის დაბადების თარიღი და 1937 წელს მისი ინიციატივით გენიალური პოეტის 750 წლის იუბილეც აღინიშნა.

იკვლევდა საქართველოს ისტორიულ საზღვრებს. 1917 წელს საქართველოს საისტორიო საზოგადოებაში წაიკითხა მოხსენება იმის შესახებ, თუ რა ტერიტორიულ საზღვრებში უნდა განხორციელებულიყო თვითმმართველობა ამიერკავკასიაში.

1921 წელს იყო იმ კომისიის წევრი, რომელსაც უნდა დაეზუსტებინა საქართველოს საზღვრები. პავლე ინგოროყვამ დიდი მუშაობა გასწია ამ კომისიაში, იურიდიული, ისტორიული და გეოგრაფიული დოკუმენტებით დაარწმუნა ამ ჯგუფის ყველა მონაწილე თავისი არგუმენტების სიმართლეში. შედეგად, ადრე დაკარგული ქართული მიწების საქართველოსთვის დაბრუნების საკითხი რეალურ საქმედ იქცა. ამასთან დაკავშირებით გიორგი ლეონიძეს უთქვამს, სხვა რომც არაფერი გაეკეთებინა პავლე ინგოროყვას, ეს ამბავიც საკმარისია, ძეგლი დავუდგათო; სერგო ორჯონიკიძემ კი თურმე შემოუთვალა, თავი დაანებე საქართველოს საზღვრების ისტორიული რუკებით დადგენას, თორემ საქართველოს საზღვარი შაითან-ბაზარში გაივლისო.

იყო ერთ-ერთი დამაარსებელი მწერალთა ფედერაციისა, საიდანაც გარიცხეს, „როგორც რეაქციონერი და შოვინისტი მწერალი, რომელმაც ჯერ კიდევ ანტისაბჭოთა ჟურნალის „კავკასიონის“ რედაქტორობის დროს ნათლად გამოამჟღავნა თავისი რეაქციონური და ნაციონალისტური სახე“.

პავლე ინგოროყვას „შოვინისტობას“ შეეწირა მისი დაარსებული გამომცემლობა „ქართული სახლის დახურვაც, რადგან ილია ჭავჭავაძის მრავალტომეული და სხვა ეროვნული გამოცემები დაბეჭდა.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დააარსა და ათი წელიწადი ხელმძღვანელობდა ხელნაწერთა განყოფილებას, სადაც თავს იყრიდა და მუშავდებოდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, საეკლესიო მუზეუმის, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა და უნივერსიტეტის ხელნაწერები. ამ განყოფილების მუშაობამ შეამზადა ნიადაგი საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტის შესაქმნელად.

სიმონ ყაუხჩიშვილთან ერთად მოიარა სვანეთი და ამ სამთვიანი ექსპედიციის დროს პავლე ინგოროყვამ შეისწავლა 121 ძველი ხელნაწერი და 40-მდე პალიმფსესტი, გადმოიწერა XI-XIII საუკუნეების 260 წარწერა და მოპოვებული მასალა წიგნადაც გამოსცა.

დიდი ღვაწლი დასდო ქართულ მუსიკალურ დამწერლობას – მოიძია 31 ჰიმნი, 1200 საგალობელი და საგანგებო ნაშრომი მიუძღვნა ძველი სანოტო სისტემის გაშიფვრას.

გამოსცა მონოგრაფიები ილია ჭავჭავაძეზე, აკაკი წერეთელზე, ნიკოლოზ ბარათაშვილზე.

1918 წლის 26 მაისს ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს ექვთიმე თაყაიშვილთან და სხვა მოღვაწეებთან ერთად...



ქეთევან ბაქრაძე და პავლე ინგოროყვა

### ექვთიმეს გვერდით

მკვლევარები, საერო და სასულიერო პირები პავლე ინგოროყვასა და ექვთიმე თაყაიშვილს ლამის თანაბარი მასშტაბის მოღვაწეებად აფასებენ. პავლე ინგოროყვას პირად არქივში შემონახული ერთი პატარა ბარათი ცხადად წარმოაჩენს იმ პერიოდს, რომლის დროსაც მეგობრობას თავგანწირვა და სიმამაცე სჭირდებოდა.

**„პავლე! ჩემთან მოსვლა უკვე საშიში აღარაა. შენი ექვთიმე“.**

ამას წერდა მამულზე, ერის ისტორიული წარსულის აღდგენაზე გადაგებული კაცი, რომელიც უცხოეთში გატანილ ქართულ საგანძურს გუშაგად ედგა და საქართველოში განძთან ერთად დაბრუნებული მარტოობისთვის გასწირეს. პავლე ინგოროყვა უშიშრად მეგობრობდა ექვთიმესთან და ბოლომდე მისი ჭირისუფალი იყო.

**„ხშირად იყო ჩვენს ოჯახში საუბარი ექვთიმე თაყაიშვილზე. პავლესა და ექვთიმეს ახალგაზრდობაში დიდი მეგობრობა ჰქონიათ... აწ განსვენებულმა, მაშინ საფრანგეთიდან ახლად ჩამოსულმა სერგი წულაძემ ჩვენთან სტუმრობის დროს გვიამბო, თუ როგორ გაიღო ფრანგმა მეცენატმა ქალმა თანხა, რათა ექვთიმე თაყაიშვილს თვალებისათვის ემკურნალა (სინათლეს ჰკარგავდა), ექვთიმემ კი ამ თანხით პარიზის ბუკინისტებში წინასწარ გადანახული ქართული მანუსკრიპტები შეიძინა. პავლე დიდი პატივისცემით ლაპარაკობდა ექვთიმე თაყაიშვილზე, მაგრამ, ისიც მინდა გითხრათ, რომ მას სრულებით ნორმალურად მიაჩნდა მისი საქციელი. ერთხელ გაკვირვებით თქვა კიდეც: „აბა, სხვანაირად როგორ უნდა მოქცეულიყო?!.“ გავკადნიერდები და ვიტყვი, რომ ეს ორი პიროვნება საოცრად ჰგავდა ერთმანეთს. ჰგავდა მთავარში: მათი ცხოვრების კრედო ერთი იყო – ყველაზე მაღლა, პირადულზე მაღლა, ისინი ეროვნულს აყენებდნენ. არ ვიცი, რა საოცარმა ციურმა ძალამ ინება, რომ მათი საფლავები ერთმანეთის გვერდითაა (დიდუბის პანთეონში). ეს არც არავის ჩაუფიქრია, უბრალოდ, ასე მოხდა... სადა, უბრალო საფლავებში განისვენებს ეს ორი ბერმუხა...“** (გუგული მგელაძის წიგნი „მე ვარ ჯარისკაცი ჩემი ერისა“, საიდანაც მოვიყვანეთ ეს ნაწყვეტი, გამოცემულია 1990 წელს და იმ დრომდე არსებულ ფაქტებს ეყრდნობა. 2002 წლის 26 მაისს ექვთიმე თაყაიშვილი მთაწმინდის პანთეონში გადაასვენეს. – **ე.ნ.**).

### „შავჩოხოსნები“

პავლე ინგოროყვა, კონსტანტინე გამსახურდია, ალექსანდრე აბაშელი და ვახტანგ კოტეტიშვილი ძმადნაფიცები იყვნენ. მკითხველმა კარგად იცის ამ ოთხი ძმადნაფიცის ფოტო, რომელზეც ისინი შავ ჩოხებში არიან გადაღებული და ისიც იცის, რომ საქართველოს გასაბჭოების, სუვერენული ქვეყნის ოკუპაცია-ანექსიისადმი პროტესტის ნიშნად გამოეწყვნენ სამგლოვიარო ეროვნულ სამოსში. ისინი ხომ 1921-1923 წლებში არსებული „შავჩოხოსანთა ჯგუფის“ წევრები იყვნენ. ეს იყო ისეთი მეგობრობა, რომელსაც ჩავლილი საუკუნის 20-30-იანი წლების სისასტიკის მიუხედავად ერთმანეთისადმი თავგანწირვის მაგალითები ამშვენებს.

ვახტანგ კოტეტიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, პავლე ინგოროყვა, ალექსანდრე აბაშელი



20-იან წლებში ევროპიდან საქართველოში დაბრუნებული კონსტანტინე გამსახურდია დააპატიმრეს და „მოღალატისა“ და „ჯაშუშის“ ბრალდებით მოსკოვის „ბუტირსკის“ ციხეში გამოამწყვდიეს. საქართველოში 1924 წლის რეპრესიების ტალღა უკვე გადავლილია და ყველამ კარგად იცის, რას ნიშნავს სახელმწიფოსთვის არასანდო ხალხთან ურთიერთობა. მიუხედავად ამისა, პავლე ინგოროყვა რამდენჯერმე მაინც ჩავიდა მოსკოვში. ერთხელ, როგორღაც მოახერხა და ცალკე საკანში გამოკეტილ ძმადნაფიცს, გასამხნევებლად და მორალური მხარდაჭერის ნიშნად, ბარათი შეუგზავნა და გააფრთხილა – ამა და ამ დროს შენი ფანჯრის წინ შავი ჩოხით ჩავივლი და დამინახავო. ასეც მომხდარა. მეორედ პავლეს კონსტანტინესთვის შეუგზავნია პირსახოცი, რომელზეც პავლეს მეუღლის ქეთევან ბაქრაძის ხელით ამოქარგული ყოფილა სიტყვები – „დილა მშვიდობისა!“ შემდგომში გამოქვეყნებულ მოგონებებში გამსახურდია წერდა: პირსახოცი ისეთ ადგილას დავკიდე, რომ გაღვიძებისთანავე თვალში მომხვედროდა. ისეთი შეგრძნება მქონ-

და, თითქოს მთელი ჩემი ერის მესალმებოდაო.

პავლე ინგოროყვა ცდილობდა, როგორმე პატიმრობიდან დაეხსნა მეგობარი. ისე მოაბეზრა თავი რუსეთის სამართალდამცავი უწყების ერთ-ერთ ხელმძღვანელს სტუმრობითა და თხოვნით, რომ გაავებულ და მოთმინებადაკარგულს უყვირია: ან ეს ინგოროყვა დააპატიმრეთ, ან გამსახურდია გაათავისუფლეთო. 1927 წელს გამსახურდია, ჯაშუშობის დამადასტურებელი მასალების არარსებობის გამო, საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის შუამდგომლობით მართლაც გაათავისუფლეს.

პავლე ინგოროყვას სიძის, ცნობილი კინორეჟისორის გუგული მგელაძის აზრით, პავლე იყო ის ადამიანი, ვისაც კონსტანტინე რჩევას ეკითხებოდა, ეთათბირებოდა და ვის აზრსაც ითვალისწინებდა.

## მიხეილ ჯავახიშვილის გადასარჩენად

პავლე ინგოროყვამ დიდად გარისკა, როცა 1923 წელს დაპატიმრებული მიხეილ ჯავახიშვილის სიცოცხლის გამოსახსნელად სხვა მწერლებთან ერთად თხოვნით მიმართა სერგო ორჯონიკიძეს, არ დაეხვრიტათ ნიჭიერი მწერალი. სასწაული მოხდა და მიხეილ ჯავახიშვილი იმ წელს გაათავისუფლეს, თუმცა საბოლოოდ მაინც შეიწირა რეპრესიებმა..

პუბლიცისტიკიდან და პოლიტიკიდან მწერლობაში მისულ მიხეილს პავლე ინგოროყვა ურჩევდა, სამწერლო ასპარეზზე თავისი გვარით დაეწყო მოღვაწეობა. პავლე ხშირად იყო მიხეილ ჯავახიშვილის ნაწარმოებების პირველი წამკითხველი და შემფასებელი, თავის დაარსებულ ჟურნალ „კავკასიონში" უბეჭდავდა კიდეც მოთხრობებს.

## ქართული საგალობლები და სანოტო ნიშნები

პავლე ინგოროყვაზე მოგონება შემოგვინახა აკაკი დვალიშვილმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ:

ჩემმა უახლოესმა მეგობარმა, მუსიკათმცოდნე ანტონ წულუკიძემ კაბინეტში შემოიყვანა კაფანდარა მოხუცი კაცი, რომელსაც ხელთ უზარმაზარი პორტფელი ჰქონდა. ეს გახლდათ ღრმად პატივცემული პავლე ინგოროყვა – აუჩქარებლად და შთაგონებით დაიწყო საუბარი ქართული საგალობლის და სანოტო ნიშნების ამოხსნის საიდუმლოების შესახებ.

ბატონმა პავლემ მთხოვა, დავხმარებოდი მისი იდეის ხორცშესხმაში. რამდენიმე დავალება მომცა: სახელმწიფო საგუნდო კაპელას უნდა შეესწავლა მიქაელ მოდრეკილის რამდენიმე საგალობელი, ბატონი პავლე ინგოროყვას მიერ გაშიფრული სანოტო ნიშნებით, რომელიც რედაქტირებული იყო კომპოზიტორ ალექსი მაჭავარიანის მიერ. შემდეგ მისი ფირზე ჩაწერა უნდა უზრუნველეყო კულტურის სამინისტროს და ხმის ჩამწერ სტუდია „მელოდიას". ჩემთვის, როგორც კულტურის მინისტრის პირველი მოადგილისთვის, ამ საპატიო დავალების შესრულება რთული არ იყო. სახელმწიფო კაპელის სამხატვრო ხელმძღვანელი გურამ ბაქრაძე დაინტერესდა და ხალისით შეუდგა რეპეტიციებს.

პირველი ცდა ჩაწერისა კონსერვატორიის დიდ დარბაზში მოხდა, მაგრამ შედეგით უკმაყოფილო დარჩნენ ალექსი მაჭავარიანი და ანტონ წულუკიძე. მათი აზრით, შესრულებას აკლდა სარწმუნოებრივი სულიერება და საეკლესიო გალობის ხმოვანება. მსჯელობის დროს გადაწყდა ჩაწერა მომხდარიყო ეკლესიაში.

ბატონი პავლე მოელაპარაკა სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქს, მის უწმინდესობას დავითს. ნება დაგვრთეს, რათა ჩაწერა ჩაგვეტარებინა სიონის საკათედრო ტაძარში.

საღამოს 11 საათზე ჩაწერას ესწრებოდა მისი უწმიდესობა დავითი, ბატონი პავლე ინგოროყვა, მუსიკათმცოდნე ანტონ წულუკიძე და მე. კაპელა იდგა საკურთხევლის წინ, საფეხურებზე. საყდარი, ძირითადად, განათებული იყო კელაპტრებით. ეკლესიაში რელიგიური ატმოსფერო სუფევდა. ამან გავლენა იქონია კაპელის მომღერლების განწყობაზე და გურამ ბაქრაძის პროფესიულ შთაგონებაზე, გალობის მანერა და ხარისხი თვისებრივად შეიცვალა. ჩაიწერა რამდენიმე საგალობელი. ჩაწერის დროს გალობის ჟღერადობამ, ტაძრის საიდუმლოებით მოცულმა განათებამ, გუმბათის სარკმლებიდან ჩამოსულმა მთვარის შუქმა თითქოს სხვა დროსა და სივრცეში გადამიყვანა. სულში რწმენის სხივი ჩამიდგა, ეს იყო ღვთაებრივი განცდა, ბედნიერი წამები, რომელიც, სამწუხაროდ, აღარ განმეორებულა...

სწორედ ეს ჩანაწერი გაიგზავნა პარიზში – „იუნესკოში" ბატონი პავლე ინგოროყვას გამოსვლის ტექსტით, რომელიც „იუნესკომ" გადასცა რადიოთი პარიზიდან (ფრანგულ, ინგლისურ, ესპანურ და რუსულ ენებზე) 1962 წლის 22 აგვისტოს. ჟურნალში ვრცლად, მეცნიერულ საფუძველზე, პოპულარული ენით იყო მოთხრობილი ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორია და ძველი საგალობლების თანამედროვე სანოტო ნიშნებზე გადატანის წარმატებული ცდის შესახებ.

**„გიორგი მერჩულე", აფხაზეთის სამეფოს ისტორია და აკრძალული წიგნი**

პავლე ინგოროყვა 10 წლის განმავლობაში მუშაობდა ისტორიულ-ფილოლოგიურ გამოკვლევაზე **„გიორგი მერჩულე. ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა (ნარკვევი ძველი საქართველოს ლიტერატურის, კულტურისა და სახელმწიფოებრივი ცხოვრებიდან)"**. ეს არის საქართველოს ისტორიის V-IX საუკუნეების მხატვრულ-ისტორიულ-პოლიტიკური ენციკლოპედიური კვლევა, ათასგვერდიანი ნაშრომი, რომელიც 1954 წელს დაისტამბა და მას დიდი ხმაური მოჰყვა, განსაკუთრებით, ამ მონოგრაფიის ერთ-ერთი თავის „აფხაზეთის სამეფოს" და მასში მოყვანილი მეცნიერული დასკვნების გამო.

ავტორმა ისტორიული წყაროებისა და ტოპონიმების ზედმიწევნით შესწავლის შემდეგ დაასკვნა:

რომ დასავლეთ საქართველოს ის ნაწილი, რომელსაც აფხაზეთს უწოდებენ, მოიცავდა ტერიტორიას კელასურიდან ძველ ლაზიკამდე;

რომ აფხაზეთი ძირძველი ქართული მიწა იყო;

რომ იქ სახლობდა ქართველთაასამი შტო: მესხები (იგივე აფხაზები), კოლხები (მეგრელ-ლაზები) და სვანები.

ასეთი დასკვნები მეტისმეტად გამაღიზიანებელი იყო როგორც ადგილობრივი, ისე საკავშირო ხელისუფლებისთვისაც. როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, მას კონიუნქტურული ისტორიკოსებიც დაუპირისპირდნენ.

პავლე ინგოროყვას თხზულებათა სრულ კრებულში „გიორგი მერჩულეს" დაბეჭდვის შესახებ კიდევ ერთი საინტერესო მოგონება შემოგვინახა აკაკი დვალიშვილმა, რომლის უწყებაშიც პავლე ინგოროყვას საგანგებოდ კაბინეტი ჰქონდა გამოყოფილი. ეს მოგონება და მასში მოყვანილი კონკრეტული ამბავი მეცნიერის პიროვნულ თვისებებსაც გვაცნობს და ჩვენი ქვეყნის ისტორიის 80-იანი წლების ბოლოს დაწყებული ტრაგიკული მოვლენების შეფასებასაც:



„1969 წლის თბილისური ცხელი ზაფხული იდგა. ბატონი პავლე კაბინეტში მუშაობდა, რომელსაც ხუმრობით „ჩეროს კაბინეტს" ვეძახდით. ყველას არ გააჩნდა უფლება იქ შესულიყო – ბატონ პავლეს აქ ყველაფერი ჰქონდა: სამუშაო მაგიდა, ტელეფონი და კარადა. მის განკარგულებაში იყო სამინისტროს საბიბლიოთეკო განყოფილების მუშაკი, რომელიც მეცნიერს უზრუნველყოფდა საჭირო ლიტერატურით. ბატონ პავლეს ჰქონდა საოცარი უნარი, ადამიანები მის მიმართ პატივისცემითა და თანაგრძნობით განეწყო.

ერთ დღეს გაისმა მთავრობის ტელეფონის ზარის ხმა – ეს გახლდათ ბეჭდვითი სიტყვისა და პოლიგრაფიის მთავარი სამმართველოს უფროსი, ბატონი ბორის ნანიტაშვილი, რომელმაც საიდუმლოდ მამცნო არასასიამოვნო ამბავი: ზემდგომი ორგანოების მითითებით, პავლე ინგოროყვას თხზულებათა მეორე ტომის ბეჭდვა შეჩერებულია და არსებული ტირაჟი დაიჭრებაო. ეს იყო პავლე ინგოროყვას ცნობილი ნაშრომი „გიორგი მერჩულე" – კერძოდ, მისი მეოთხე თავი „დასავლეთ საქართველოს ფეოდალური სახელმწიფო („აფხაზეთის სამეფო") და ცნობები მის შესახებ გიორგი მერჩულეს ძეგლში".

ბატონმა ბორის ნანიტაშვილმა იცოდა, რომ პავლე ინგოროყვა კულტურის სამინისტროს ბინადარი და ჩემი უფროსი მეგობარი იყო. ამიტომ მაცნობა ყოველივე საიდუმლოდ.

ასეთი ბარბაროსული გადაწყვეტილება საქართველოს ცეკამ მიიღო აფხაზეთის რესპუბლიკის პარტიული ორგანოების დაჟინებული მოთხოვნის საფუძველზე, რომელსაც აშკარად უჭერდა მხარს მოსკოვი.

დიდად შევწუხდი. სასწრაფოდ ვიხმე ჩემი და პავლეს საერთო მეგობარი ანტონ წულუკიძე, რომელიც კულტურის სამინისტროს მთავარი რედაქტორი გახლდათ. ანტონი მიხვდა, კარგი ამბის მახარობელი რომ არ ვიყავი. და როდესაც ვაცნობე ამბის შინაარსი, დაბნეული დიდხანს დუმდა.

ორივენი შეშფოთებულნი ვიყავით – ვწუხდით, როგორ უნდა გვეთქვა ბატონი პავლესთვის ეს ამბავი. ძნელი წარმოსადგენი იყო, რა რეაქცია შეიძლებოდა ჰქონოდა მოხუცებულს. ბოლოს მოვილაპარაკეთ: დღის ბოლოს ქალაქგარეთ, რომელიმე დუქანში გავსულიყავით და იქ სიტუაცია გვიკარნახებდა, როგორ მოვქცეულიყავით. დღის ბოლოს ბატონ პავლეს შევთავაზე ჩვენი წინადადება (ქალაქგარეთ გასვლის თაობაზე), სიამოვნებით დაგვთანხმდა. ბატონი პავლე თავს კარგად გრძნობდა და ჩვენც ნაცნობი დილმის დუქნისაკენ გავწიეთ. ანტონი და მე დაძაბულები ვიყავით. ლაპარაკს თავი ვერ მოვაბით და დაბნეულებმა „გიორგი მერჩულეს" შესახებ დავიწყეთ საუბარი. ჩვენს კითხვებს ბატონი პავლე სიამოვნებით პასუხობდა. ისე გავერთეთ საუბარში, რომ კინაღამ დაგვავიწყდა თავშეყრის მიზეზი. მახსოვს, საუბრისას ბატონი პავლეს კატეგორიული განცხადება: მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი აფსუების ეთნოსი, რომელიც თავის თავს აფხაზებს უწოდებს და მიუხედავად იმისა, რომ ისინი მთიან აფხაზეთში მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში არიან გადმოსულები ჩრდილოეთ კავკასიიდან, მათ – აფსუებს, უფლება აქვთ იყვნენ საქართველოს მოქალაქენი, როგორც მკვიდრ აფხაზებს – ქართველებს. ჩვენ გატაცებით და რწმენით ვუსმენდით ბატონ პავლე ინგოროყვას, როგორც მეცნიერს, მოქალაქეს და აბსოლუტურად ვიზიარებდით მის პოზიციას.



პავლე ინგოროყვა

პავლე ინგოროყვას მეცნიერული ნააზრევი ხელს არ აძლევდა მოსკოვს, რომელიც ასი წლის მანძილზე ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ აფსუებისათვის დაემკვიდრებინა აფხაზეთის ადმინისტრაციული და სოციალური სფერო – ცხოვრების წესი, რითაც ასიმილაციის ღრმა პროცესი გადამწყვეტ ფაზაში შევიდოდა.

1992 წლის კონფლიქტი, რომელიც ინსცენირებული იყო მოსკოვის მიერ, ბრიყვი ქართველების ხელშეწყობით ტრაგიკული აღმოჩნდა საქართველოსთვის.

შეხვედრის დასასრულს... ჭიქა ასწია და აღნიშნა, რომ „ამ სუფრას იგი სიამოვნებით უძღვნის გაავებულ აფსუა პოლიტიკოსებს, რომელთაც გული და გონება აემღვრათ იმ სიმართლით, რომელიც ჩადებულია „გიორგი მერჩულეში" (გაირკვა, რომ ბატონ პავლესთვის დილით დაურეკავთ სტამბის მუშებს და შეუტყობინებიათ ყოველივე). ბატონმა პავლემ გააგრძელა თავისი სიტყვა – „ჩვენს ქვეყანას – საქართველოს განათლებული, ეროვნული თვალთახედვით მოაზროვნე ხელმძღვანელობა რომ ჰყავდეს, აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებს ღრმა შეფასება სჭირდება და ამას არსებითი მნიშვნელობა ექნება საქართველოს უახლოესი მომავლისათვის! (ისე ყველაფერი აგიხდეთ კარგად, როგორც პავლე ინგოროყვას წინასწარმეტყველება ახდა) ...და ის, რაც დღეს ხდება და უახლოეს მომავალში გველოდება, საქართველოში შეიძლება ფატალურად მოგეჩვენოთ, მაგრამ... – ენაჩავარდნილები ვუსმენდით ბატონ პავლე ინგოროყვას და ვცდილობდით მისი ნათქვამის ჭეშმარიტებას ჩავწვდომოდით, – დიახ, ყმაწვილებო, დავით აღმაშენებელს ერთ ხელში სახარება ეჭირა, მეორე ხელში ულმობელი ორლესული მახვილი. სხვაგვარად პაწია საქართველოს გადარჩენა და დამკვიდრება კავკასიის სივრცეში წარმოუდგენელი იყო", – დაასრულა ბატონმა პავლემ სადღეგრძელო.

დღესაც აუხსნელია ჩემთვის პავლე ინგოროყვას სუსტ სხეულში საიდან იყო ამხელა ძლიერება სულისა და ნათელხილვის ნიჭი, რომელიც შარავანდედივით ადგა მის პიროვნებას.

პავლე ინგოროყვა ქართველი ხალხის ცნობიერებაში დარჩა როგორც ფუტკარივით დაუღლელი მეცნიერი, რომელიც ქართველი ერის ღირსებას მოწამებრივი თავგანწირვით იცავდა".

1955 წლის 29 ივნისს ოთხმა აკადემიკოსმა: გოგლა ლეონიძემ, კონსტანტინე გამსახურდიამ, გალაკტიონ ტაბიძემ და იოსებ გრიშაშვილმა მეცნიერებათა აკადემიას წარუდგინეს წერილი პავლე ინგოროყვას სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ და მისი კანდიდატურა, რომ იგი მეცნიერებათა აკადემიის წევრად აერჩიათ. ამ ინიციატივას მხარს სხვებიც უჭერდნენ, მაგრამ კომუნისტური ხელისუფლების წარმომადგენლები ეწინააღმდეგებოდნენ. აფხაზეთზე დაწერილი ნაშრომის გამო უარი ეთქვა.

პავლე ინგოროყვას მოსაზრებების გამო სამეცნიერო კამათი დიდხანს არც გაგრძელებულა, რადგან აფხაზმა სეპარატისტებმა და მათმა მხარდამჭერებმა პოლიტიკური შანტაჟის გზით მისი ჩახშობა მოახერხეს. აფხაზებისა და მათი წამქეზებელი რუსი იდეოლოგების მოთხოვნით „გიორგი მერჩულე" აიკრძალა.

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. წინა ნომერში**

# მოვიაროთ საქართველო!

### ვეძა

სანამ შიშველ გუდაურს გავცდებოდით, ბუნებრივია, აღტაცებით აღვნიშნეთ მთების სილამაზე, მაგრამ ეს სხვა სილამაზეა, ცისა და პირქუში მთების, მხოლოდ სათხილამურო სპორტის მოყვარულებისა და ბედუინების დამაკმაყოფილებელი...

მივადექით შეურაცხყოფილ და მაინც, გადარჩენილ ტრავერტინებს — ორი მეტრით იქით რომ გადაწეულიყო გზა, რელიეფიდან გამომდინარე, ცხადად ჩანდა, პრობლემა არ იყო, მაგრამ გზის დამგეგმავის განათლებისთვის, ფაქტია, აბსოლუტურად უცხო ხილი ყოფილა ტრავერტინების რაობა, ხოლო შემსრულებლისთვის — მითუმეტეს, ფულს უხდიდნენ და რასაც უთითებდნენ, იმას აფუჭებდა — ის რაც საუკუნეები აკეთა ბუნებამ, ერთ დღეში გაანადგურა ადამიანმა...

მადგილი, სადაც აუცილებლად ჩერდება თითქმის ყველა გამვლელი, ეს არის ულამაზესი და უცხო პატარა მონაკვეთი, რომელზეც (რომელშიც, რომლიდანაც) მომჟავო-მლაშე წყალი მოედინება და ადგილობრივები „ვეძას“ უწოდებენ „წყარო ბუნებითად მლაშე, ხმარებული საჭმელსა შინა მარილის მაგიერ“. გახედავ ყვითელ-ვარდისფერში გარდამავალ ლაპლაპა ნარინჯისფერ ფერდობს და იფიქრებ, მოლიპულიაო; თითს გადაუსვამ და ზოგან წვრილად ხაოიანია, ზოგან ფაშვივით დიდად, ზოგან გლუვი, მაგრამ რაღაცნაირად თბილი... მსგავსი სილამაზე არ არის, მაგრამ გზად, სოფელ ნადიბაანთანაც ამოდის მინერალებითა და რკინით გაჯერებული ვეძა, რომელიც სასარგებლოა ორგანიზმისთვის, განსაკუთრებით კუჭისთვის. გარშემო იქაც ყვითელ-ჟანგისფერი ნადებითაა დაფარული ქვები და ქვიშა და იქიდან გამომავალი წყალიც ბოცებით მიაქვთ...

### სტეფანწმინდა (ყაზბეგი)

ზღვის დონიდან 1750 მეტრზე ვიმყოფებოდით და ისე ვგრძნობდით თავს თერგის ხეობაში, როგორც ქვაბში. ზემოდან, მყინვარწვერის „თამადობით“ იმდენი მთა და მწვერვალი დაგვყურებდა მრისხანედ, ლამის ფეხაკრეფით გვევლო. სწორედ დაბა ყაზბეგთან აღმოაჩინეს 1877 წელს ძვ.წ. მე-6-5 საუკუნეებით დათარიღებული არქეოლოგიური მასალა,



გერგეტის სამება

200-მდე ნივთი, რომელიც „ყაზბეგის განძის“ სახელითაა ცნობილი. განძის შემადგენლობაში იყო აქემენიდური ხელოვნების ნიმუშები: ვერცხლის ფიალა, ბრინჯაოს ჭურჭელი, ფიბულები და ირმის პატარა ქანდაკება. განძის დიდი ნაწილი მოსკოვის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმშია ინახება, მცირე ნაწილი კი ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. აღნიშნული არქეოლოგიური მონაცემებისა და წერილობითი წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ ანტიკურ ხანაში ხევი უკვე წარმოადგენდა იბერიის სამეფოს ნაწილს. „ყაზბეგის განძიდან“ ასევე საინტერესოა ითიფალურ ფიგურათა კომპლექსი, რომელიც მეცნიერთა აზრით ქართული ეპოსის უძველესი ნიმუშის „ამირანიანის“ გამოძახილია. თითოეული ება გარკვეული დრამატურგიული ფუნქციის მატარებელია და „ამირანიანის“ სიუჟეტური განვითარების ლოგიკას შეესატყვისება.



### გერგეტის სამება

„მყინვარი დიდ გეტეს მაგონებს და თერგი კი მრისხანე და შეუპოვარს ბაირონსა...“

წინა დღეების ნაწვიმარზე გერგერტის სამებაში ფეხით ასვლა გადავიფიქრეთ და სტეფანწმინდიდან ორხიდიან მანქანაში გადავსხედით. გზა მაინც და მაინც ცუდი არ იყო, მაგრამ როცა კონკრეტულ ადგილს ამდენი მნახველი ჰყავს, უკეთესიც შეიძლება იყოს, სხვა თუ არაფერი, ამსვლელ-ჩამსვლელი ტრანსპორტი ერთმანეთს არ უნდა ელოდებოდეს ყოველ ას მეტრში...

როგორც თეიმურაზ ბატონიშვილის „ივერიის ისტორია“ ამბობს, გერგეტის სამების ადგილზე ჯვარი ყოფილა ალმართული. გიორგი ბრწყინვალემ ტაძრის მოვლა-პატრონობა გერგეტელებს დააკისრა, რომლებიც „სამების საყდრისშვილებად“, მის ყმებად ითვლებოდნენ და ამ პატივს მომდევნო საუკუნეებშიც უმტკიცებდნენ სხვა მეფეებიც. გერგეტის სამება „მცხეთის სამკაულის“ სახიზარს წარმოადგენდა. ხანგრძლივი დროის მანძილზე აქ ესვენა უწმინდესი რელიქვია — წმინდა ნინოს ჯვარი, რომლის ფლობის პატივს სვეტიცხოველთან და თბილისის სიონთან ერთად გერგეტი ინაწილებდა. 1795 წლის შემოსევის დროს გერგეტში გახიზნეს წმინდა ნინოს ჯვარი და მაცხოვრის სამსჭვალი.

ხევში არის ასეთი გადმოცემა — ქართლის, კახეთისა და იმერეთის მეფეებს ერთმანეთში დავა ჰქონიათ სად უნდა აშენებულიყო წმინდა სამების ტაძარი. მცხეთაში ერთ ბერიკაცს მოუხსენებია, ფურბერწი დაკალით, მისი სამგორველი (მენჯის ნაწილი) სოფლის ბოლოს დააგდეთ, მოვა შავი ყორანი და სადაც მას გამოხრავს, სამება იქ ააშენეთო. მართლაც ასე მოქცეულან. მოფრენილა ყორანი, წაუღია სამგორველი და მდევრად ხალხი გაჰყოლია. პირველად ანანურის თავზე დაუსვენია ყორანს და აქ წმინდა სამების ნიში აუგიათ; იქიდან ბიდარის მთაზე (ჯვრის უღელტეხილი) გადაფრენილა და იქაც ჯვარი აღუმართავთ, „ელგეშის“ ნიშთან გადაფრენილა, ცოტა დაუსვენია და ბოლოს სამების მთაზე დაუგდია, რის შემდეგაც ტაძრის საძირკველი გაჭრეს და დაიწყო მშენებლობა.

ზღვის დონიდან 2200 მეტრზე მთის წვერზე კლდიდან ამოსულივით დგას გერგეტის სამება და გადაჰყურებს სტეფანწმინდას, რომელიც პატარა ტაფობში კიდევ უფრო პაწაწკინტელად მოჩანს. სიმაღლის შეგრძნება იმდენად ძლიერად აღიქმება, რომ ფრენის სურვილის ქვეცნობიერი მოძალებით დიდიც და პატარაც ხელებს შლის ამ ფონზე, კონკრეტულ ადგილზე და არა ყველგან.

უამრავი მნახველი ირეოდა, უმეტესობა უცხოელები და კვლავ სამარცხვინო სიტუაცია — გერგეტის სამების, სალოცავის ფონზე ჭყეტელა ლურჯი ფეხსალაგი გაურკვეველი დანიშნულების შეულესავი კედლით! ფეხსალაგსაც გააჩნია, წარმოუდგენელი სიბინძურე — ერთი, იქ არსებულ მუდმივ ცქრიატში კარების დასაჭერად რომ დამხმარე უნდა გყავდეს — მეორე! — სირცხვილია...

### ლარსი, დარიალის ხეობა

გეზი ლარსის საბაჟო-გამშვები პუნქტისკენ ავიღეთ, დღის პირველ ნახევარში გვინდოდა მოგვესწრო იქაურობის მოვლა. გზაზე, გარკვეულ მონაკვეთებზე ისევ რიგში იდგნენ რუსეთისკენ მიმავალი სატვირთო მანქანები, ე.წ „ტრაილერები“. მივდიოდით უმკაცრეს ბუნებაში როგორც ჭიანჭველები გოლიათ მთებში. გარშემო ალპური ზონისთვის დამახასიათებელი სიშიშვლე და მათ მიღმა თოვლიანი მწვერვალებისგან მოტანილი მარადიული სუსხი ხაზგასმულად აწესებს გარკვეულ კანონებს, რომელსაც ბუნების შვილები მხოლოდ წინაპრების მოგონილ ზღაპრებად ვთვლით... გზიდან ჩანდა როგორ ღვიოდნენ კაშკაშა წითლად ცირცელის ხეები, ნარინჯისფრად — ქაცვი. ესეც ბუნების ენაა, წინაპრები ამბობენ, როცა ცირცელი დახუნძლულია, გრძელი ზამთარი მოსდევსო...

გაშლილ სივრცეზე უწყინარი შარიშურით რუსეთისკენ მიშრიალებდა „მოღალატე“ თერგი. შემოდგომაზე თერგი ის თერგი არ არის, რომელიც „რბის, ღრიალებს და მთები ბანს ეუბნებიან“, მაგრამ მუდმივად შემოდგომა ხომ არ არის, ყოველ წელს დგება გაზაფხული თერგისთვისაც. აბა, ჰკითხეთ ადგილობრივ მცხოვრებლებსა და იმ ადამიანებს, რომელთაც თერგის წყალუხვობისას გაუვლიათ, როგორია თერგის ნამდვილი ბუნება?

ხუციშვილი ლევან, ადგილობრივი მოსახლე: — ჩვენ არავინ არაფერს გვკითხავს, თავის ჭკუაზე გეგმავენ და აკეთებენ რაღაცებს, მერე კი სამძიმარს უცხადებენ დაღუპულების ჭირისუფლებს. ამოვლენ ქალაქიდან, დაიხურავენ „კასკებს“ და რაღაც რუკებს დაატარებენ. რუკა რათ მინდა, მკითხე და ისე გეტყვი სად რამხელა ქვა დევს... ნეტა, გამაგებინა, ვინ არის ის „ჭკვიანი“, ვინაც სიზმარში ნახა რომ აი, იმ „ტრუბებში“ თერგი გაეტევა... რა ვქნათ, იარაღით ხომ არ გამოვალთ... ჩვენ, ადგილობრივი ახალგაზრდები ვერ მოვერიეთ უკანონობას და აჰა, უარესს ელოდონ!... ხალხია ცოდო, თორემ... ბუნება მბრძანებელი თვითონაა, ადამიანის ჭკუაზე არ გაივლის პატარა ნაკადულიც კი, ყოველთვის დაბრუნდება დედა-კალაპოტში და თერგს დაამწყვდევენ? ბუნების შვილები არ ვიცავთ ბუნებას, მაგრამ ბუნება თვითონ დაიცავს საკუთარ თავს!..“

გზიდან მანამდეც დავინახეთ აკურატულად დაწყობილი ფართო დიამეტრის მილები, მაგრამ რას წარმოვიდგენდით, თუ თერგის ამ მილებში გატარებაზე იყო საუბარი. გარკვეული დარგების კარგად მცოდნე ერთი სპეციალისტი აღარ დარჩა საქართველოში? — მეგობრებო, იმ მილებში თერგი ვერ ჩაემწყვდევა, გადაირევა!

გზის მაჩვენებელმა გაგვაფრთხილა, რომ საშიში ზონა იწყებოდა. გასაგები იყო, რატომაც, თუმცა ეს გზა ისედაც მთელ მსოფლიოში სახიფათო ტრასების რეიტინგში მესამე ადგილს იკავებს (ნეპალიდან ევერესტის საბაზო ბანაკისკენ მიმავალი გზა მე-4 ადგილზე არის).

რა ვნახეთ სტიქიის ზონაში? — მშენებარე მთავარანგელოზის სახელობის მონასტრისკენ ერთს რომ გაიხედავდი, მეორედ გახედვა აღარ მოგინდებოდა — ადენილი მტვრისგან ფერდაკარგული დამნაშავესავით მიმდგარიყო მთების ძირში და აბსოლუტურად წაშლილი ჰქონდა სიდიადის იერი; იქვე, სავალი გზის მეორე მხარეს ჯერ კიდევ ქვა-ღორში იყო ჩარჩენილი ეს „საიმედო“ დიდი მილები ხელსახოცებივით დაჭმუჭვნილი, ჩახეული, გაბრტყელებული; გაპარტახებული სამუშაო ტექნიკა და ქვაღორღით ამოვსებული მსუბუქი ავტომობილი; ქვები და ლოდები, ღორღი და ქვიშა... გამალებით მუშაობდა ბულდოზერი, რომელიც სათამაშოსავით მოჩანდა ქვების მთაში, ერთი ადგილიდან იღებდა ნაშალს და მეორე მხარეს ყრიდა, იღებდა და მეორე მხარეს ყრიდა. რაჭველების მიერ ორმოს ამოთხრაზე რომ ანეკდოტია, იმისი არ იყოს, რას აკეთებს-მეთქი? — ვკითხე ლარსის საბაჟო-გამშვებ პუნქტთან გაშვების მომლოდინე უცნობ მძღოლს. ეძებენ, ჯერ კიდევ არ არის ნაპოვნი 7 ტრაილერი და ადამიანებიო, — მიპასუხა კაცმა. თერგი უკვე გაიტანდა-მეთქი. რა ვიცი, ეძებენ კიო და...



მდინარე თერგი, დარიალის ხეობა

საშინელი დასანახი იყო იქაურობა, თითქოს იმ წამს დამთავრდა მსოფლიო წარღვნა და მხოლოდ ჩვენ, რამდენიმე კაცი დავრჩით მთებში ჩახერგილები... აღარ გვინდოდა იქ ყოფნა, ისედაც მთებში მოქცეული, ახლა ქვა-ღორღში ვიჭყლიტებოდით თითქოს და სული იკუმშებოდა, კამკამა ჰაერიც კი შემაწუხებელი გახდა...

**(გაგრძელება იქნება)**

მოგზაურობის მსურველებს შუძლიათ დაუკავშირდენენ ტელეფონზე 598 73 12 22

# თბილისის პროკურორის მიხეილ ქურდაძის მკვლელობის საქმე



დავით გაგნიძე

***ვაგრძელებთ ინტერვიუების ციკლს პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკ დავით გაგნიძესთან. გავიხსენებთ 90-იანი წლების დასაწყისს, უმძიმეს პერიოდს, როდესაც უამრავი რეზონანსული დანაშაულობები ხდებოდა, რომელთა უმეტესობაც გაუხსნელი, ან ბოლომდე გაუხსნელი დარჩა. სტატიაში მოხსენიებულ დაზარალებულთა და დამნაშავეთა ვინაობა გასაგები მიზეზების გამო შეცვლილია.***

**დავით გაგნიძე:** „1995 წლის ივნისი იდგა, ერთ-ერთი ყველაზე არეული და დაძაბული პერიოდი საქართველოს უახლეს ისტორიაში. განუკითხაობამ პიკს მიაღწია, დანაშაული ყველა ნაბიჯზე ხდებოდა და თუ გულშემატკივარი არ გყავდა, ფაქტობრივად განწირული იყავი. პრაქტიკულად „მხედრიონი" და მის წიაღში მოქმედი საძმოები განაგებდნენ ქვეყნის კრიმინალურ სამყაროს. იმ პერიოდისთვის მათი გავლენა ისე იყო გაზრდილი, რომ სახელმწიფო სტრუქტურებშიც თავიანთ სანდო ადამიანებს ნიშნავდნენ, რომელთა მთავარ საზრუნავს ფულის კეთება და მოპოვებული ინფორმაციის გატანა წარმოადგენდა. მართალია, იმავე წლის მაისში „მხედრიონს" მძლავრი დარტყმა მიადგა, როდესაც კახეთის „მხედრიონის" ძირითადი ბირთვი დავაკავეთ, მაგრამ აშკარა იყო, რომ, როგორც სამართალდამცავი სტრუქტურები, ისე ხსენებული დაჯგუფების შემადგენლობა გადამწყვეტი შტურმისთვის ემზადებოდა.

შსს-ს შენობასთან მისულს, ნაცნობი შემხვდა, რომელსაც როგორც პოლიციელი, დავეხმარე. მან თავისი ახლობელი, მიხეილ გულბანი გამაცნო — არ სჯეროდა, რომ დანაკარგი დავიბრუნებდი. თქვენი გაცნობა მთხოვა, დახმარება მასაც ჭირდებაო. გულბანი კაბინეტში მივიპატიჟე და მოსასმენად მოვემზადე. გულბანმა შემდეგი რამ მიამბო: 1993 წლის ოქტომბრის მიწურულს მან და მისმა ძმამ შოთა გულბანმა ბიზნესის წამოწყება გადაწყვიტეს და თბილისის რკინიგზის ცენტრალური სადგურის პირველ სართულზე ლუდის ბარი გახსნეს. ორიოდე დღეში, ძმებს 6 თუ 7 ავტომატიანი ახალგაზრდა დაადგა და ძმები დიდუბეში წაიყვანეს. იქ ერთ-ერთი კორპუსის მეოთხე სართულზე აიყვანეს, ბინაში შესულებმა მიხეილს ყვირილი და მუქარა დაუწყეს, 50.000 დოლარი გაქვს გადასახდელიო. შემდეგ მიხეილს „გადასახადი" 10 000 დოლარამდე „შეუმცირეს", მისი ძმა მძევლად დაიტოვეს, თვითონ კი ოთხ შეიარაღებულ პირთან ერთად საკუთარ ავტომანქანაში ჩასვეს და ფულის საშოვნელად წაიყვანეს. გულბანი იძულებული გახდა ნათესავის ბანკიდან პროცენტიანი ვალი აეღო. თავდამსხმელებმა ფული რომ მიიღეს, შოთა გულბანიც გაათავისუფლეს, თუმცა ყველაფერი ამით არ დამთავრებულა, მიხეილს მეორე დღეს სამსახურში მიაკითხეს, „დინამოს" სტადიონთან მდებარე სანოტარო კანტორაში მიიყვანეს და თავისი ავტომანქანა ამ ჯგუფის ერთ-ერთ წევრზე გენერალური მინდობილობით გადააცემინეს.

**- ბატონო დავით, რომელიმეს ვინაობა მაინც ეცოდინებოდა გულბანს, მინდობილობა ვიღაცაზე ხომ გასცა?**

- მისი თქმით, ერთი სვანი იყო, ილია გასვიანი (ერთ-ერთი ე.წ. კანონიერი ქურდის ძმა), მეორე კი მაღალი ტანის ახალგაზრდა, რომელსაც ფული გადავეცი, სულ ტრაბახობდა გიორგი მამუკაშვილი ვარო. გულბანს თავის დროზე ამ ფაქტის შესახებ პოლიციაში არ განუცხადებია, აზრი არ ჰქონდა, პოლიციისაც არ მჯერა, ჩემს ახლობელს რომ დაეხმარეთ, იმიტომ გადავწყვიტე თქვენთან მოსვლაო. ერთი სიტყვით, ასე დაიწყო ის „ეპოპეა", რომელმაც უზარმაზარი ნერვიულობა, გათენებული ღამეები და ჩემი კარიერის დაღმა სვლა გამოიწვია. მოგვიანებით ამ საქმიდან უფრო დიდ, გახმაურებულ საქმეზე „გავედი". ეს საქართველოს უახლოესი ისტორიის სამართალდამცავი სტრუქტურების სინდისისა და პატიოსნების, თბილისის პროკურორის ბატონ მიხეილ ქურდაძის მკვლელობის საქმე იყო.

ოპერატიული ღონისძიებების გატარების შედეგად დავადგინე, რომ ილია გასვიანი და გიორგი მამუკაშვილი დიდუბელები იყვნენ, ილიას ძმა ვლადიმერი, მეტსახელად ვალო, კანონიერი ქურდი იყო. იგი ამ „წოდებაზე" კრიმინალური სამყაროს სახელიანმა „ავტორიტეტმა" არსენა მიქელაძემ „წამოაყენა" და „რეკომენდაციაც" მისცა. იმ პერიოდში არსენა მიქელაძეს მოსახლეობაშიც ჰქონდა საკმაო ავტორიტეტი. სწორედ ამიტომ იგი ხშირად დაჰყავდათ საქმეების „გასარჩევად", როგორც პოსტსაბჭოურ სივრცეში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. მისი სიტყვა „კანონი" იყო, მაგრამ ისევე, როგორც ყველა ავტორიტეტულ კრიმინალს, მასაც ტყვია ერგო, თანაც თბილისში. ერთ საღამოს, როდესაც იგი თბილისში იმყოფებოდა საქმეების გასარკვევად, ავტომატის ტყვიებით „დაასაჩუქრეს". ოპერატიული ინფორმაციით, არსენა მიქელაძე თბილისში იმ ფულის კვალის მოსაძებნად ჩამოვიდა, რომელიც აფხაზეთის ომის დროს რუსეთში მცხოვრებმა ქართულმა დიასპორამ შეაგროვა და საქართველოს დასახმარებლად გადმოგზავნა. ფული თბილისის აეროპორტამდე „მშვიდობიანად" ჩამოვიდა და იქიდან უკვალოდ გაქრა. აშკარად ჩანდა, რომ მიქელაძის მკვლელობას უფრო პოლიტიკური ელფერი ჰქონდა, ვიდრე კრიმინალური და როგორც ყოველთვის, საქართველოში ამ სტილის დანაშაულობები არ იხსნება. სწორედ ამიტომ, ეს გაუხსნელი საქმე რომელიღაც რიგითმა გამომძიებელმა თაროზე შემოდო ერთადერთი მიზეზით, „ომი ყველაფერს ჩამოწერს". ცნობისთვის, მოარული ხმები მიქელაძის მკვლელობასაც „მხედრიონს" უკავშირებდა. შესაბამისი ცნობის წერა რომ დავამთავრე და კაბინეტიდან გამოვედი ღამის პირველი საათი ხდებოდა. დერეფანში ჩემი განყოფილების უფროსი სოსო ალავიძე და სამი სხვა თანამშრომელი შემეჩეხნენ, ყველას ავტომატები ეკავათ და საქმიანი იერი ჰქონდათ. მუშაობა ახლა იწყება და შენ სახლში მიდიხარო, ღიმილით დამამუნათა სოსომ. დილიდან შესვენების გარეშე ვმუშაობ, დასვენება მჭირდება, თორემ ხვალ ველარ შევძლებ მუშაობას, თან შენთან სერიოზული სასაუბრო მაქვს-თქო, გამოვემშვიდობე სოსოს.



სოსო ალავიძეს ჯერ კიდევ 1989 წლიდან ვიცნობდი, როცა იგი ცხინვალის რეგიონში მიმდინარე კონფლიქტის დროს შსს-ს წარმომადგენელი იყო კახეთის რეგიონში. მაშინ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდას, თავი ღირსეულად ეჭირა, ახალგაზრდობის მიუხედავად, არცერთ დაძაბულ მომენტში კონტროლი არ დაუკარგავს, მაშინ, როცა გამოცდილ თანამშრომლებსაც კი ხანდახან შიში ეპარებათ. მოგვიანებით, მისი რჩევით გადავედი სამუშაოდ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოში, სადაც სოსო სს-ის სამძებროს მკვლელობათა განყოფილებიდან გადავიდა. ადამიანის გამტაცებელიც პირველად მე და სოსო ალავიძემ დავაკავეთ თბილისში, საქმეში ულალატო და ერთგული იყო. მეორე დღეს დილიდანვე გავაცანი სოსოს მიხეილ გულბანის განცხადება, ჩემს მიერ ჩამორთმეული ახსნა-განმარტება და პატაკი მიღებული შეტყობინების შესახებ, მან პირველი ის მკითხა, აქედან პრესტიჟული საქმე თუ გამოვაო. გამოვიდოდა კი არა ასპროცენტიანი საქმე იყო, ადამიანის გატაცება ფულის გამოძალვის მიზნით და მძევლად აყვანა, რომ აღარაფერი გვეთქვა ყაჩაღობასა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შენახვა-ტარებაზე. სოსო მაინც ეჭვობდა, დაზარალებულმა მერე უარი არ თქვასო. რისკის ელემენტები მართლაც იყო, მაგრამ იმედი მქონდა, რომ დაზარალებული ბოლომდე გამოგვყვებოდა, სხვა გამოსავალი არც ჰქონდა, ფულის და ავტომანქანის დაბრუნება უნდოდა. დარწმუნებული ვიყავი სვანი უკან აღარ დაიხევდა. სოსო დამთანხმდა, ამ მასალებს ხელმძღვანელობას გავაცნობ და შევათანხმებ, რაში გჭირდება დახმარებაო. ერთ-ერთი თანამშრომლის (მის გვარს არ დავასახელებ, კახა ერქვა) ჩემს ჯგუფში ჩასმა ვთხოვე, ისიც დიდუბელი იყო და საქმეში გამოგვადგებოდა. მას ვკითხე ილია გასვიანსა და გიორგი მამუკაშვილს თუ იცნობდა, ძალიან კარგი ბიჭები არიან და კარგად ვიცნობ, როცა გინდა მათ მაშინ შეგახვედრებო და წავიდა. საშინლად ვინერვიულე, გულბანის ნათქვამი ყურებში მიწიოდა, არც პოლიციელებს გენდობითო. იმავე საღამოს დამირეკა მიხეილ გულბანმა, ჩემმა ნაცნობმა მითხრა გასვიანი და მამუკაშვილი სადღაც გაემგზავრნენო. თავის მართლება დავიწყე, რომ გამორიცხული იყო ჩვენგან ინფორმაციის გაჟონვა, გულს ნუ გაიტეხ, ადრე თუ გვიან მაინც დავიჭერთ-თქო, მაგრამ გულბანს აღარაფერი უთქვამს. ხომ წარმოგიდგენიათ, რა სიტუაციაში აღმოვჩნდი, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი ამ საქმის დრო აუცილებლად მოვიდოდა და გულბანის წინაშე პირნათელი ვიქნებოდი. ეს ამბავი არავისთვის მითქვამს, სულ მალე სოსო ალავიძე ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციაში გადაიყვანეს და ყველაფერი დავიწყებას მიეცა.

მოგეხსენებათ, 1995 წლის 27 აგვისტოს ედუარდ შევარდნაძეზე ტერორისტული აქტი განხორციელდა, სამართალდამცავი სტრუქტურების მთელი შემადგენოლა ამ საქმის გახსნაზე და დამნაშავეთა დადგენა-დაკავებაზე იქნა გადასროლილი, მით უმეტეს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამსახური. პროკურატურასთან ერთობლივად შეიქმნა ოპერატიულ-საგამოძიებო ჯგუფები, რომლებიც საგულდაგულოდ ამუშავებდნენ თითოეულ სულ უმნიშვნელო დეტალსაც კი. მე, როგორც ხსენებული სამსახურის თანამშრომელი, ოპერატიულ ჯგუფში ვიყავი ჩართული, სხვა სამუშაოებს პრაქტიკულად ჩამომაცილეს და დაახლოებით ორთვენახევარი აღმადაღმა დავქროდი. ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ ჩვენს ხელმძღვანელობას ეს ყველაფერი უკვე „გამოვლენილი" ჰქონდა და რაღას დაგვარბენინებდნენ, ვერ გავიგე. ჩვენს სამსახურში ყველაფერს მხოლოდ ორი მაღალი თანამდებობის პირი განაგებდა, დანარჩენებმა არაფერი ვიცოდით, რა ხდებოდა. იმავე წლის 5 ნოემბერს საქმე დასრულების ფაზაში გადავიდა, გამომძიებლების საკეთებელი საქმეღა დარჩა, ამიტომ ოპერატიული სამსახური შედარებით გავთავისუფლდით, შეგვეძლო ჩვენი უშუალო საქმისთვის მიგვეხედა. სოსო ალავიძის წასვლის შემდეგ ჩემს ჯგუფშიც გარკვეული ცვლილებები მოხდა, თანამშრომელთა ნაწილი სოსოს წაყვა. ორი თანამშრომელი შემომემატა, ორივე პოლიციის კაპიტანი, ელგუჯა რუხაძე და მისი მეგობარი ამირან ბურჯანაძე. რუხაძე გამოცდილი თანამშრომელი იყო, ხოლო ბურჯანაძე სამინისტროს აპარატისთვის ახალი კადრი. მე რადგან ძირითადად ხსენებული ტერაქტის გახსნის საქმეზე ვმუშაობდი, გადავწყვიტე მიხეილ გულბანის საქმის ხელახლა წამომეწია და გუჯა რუხაძისთვის მეთხოვა მასზე მუშაობის გაგრძელება. ეს არჩევანი იმიტომ გავაკეთე, რომ რუხაძე გარკვეული პერიოდი დიდუბეში ცხოვრობდა და ამ უბანში მცხოვრებთა ნაწილთან გარკვეული კონტაქტი ჰქონდა. რაც შეეხება მიხეილ გულბანს, მასთან პირადად მე ვიმუშავებდი, რადგან მასთან თავს დავალებულად ვგრძნობდი. ხსენებული დავალების მიცემამდე მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, გუჯა რუხაძე მაინც გადავამოწმე და დავრწმუნდი, რომ მისი ნდობა შეიძლებოდა. რუხაძე ვითარებაში გაერკვა და ამირან ბურჯანაძესთან ერთად შეუდგა დანაშაულში ფიგურანტი პირების ოპერატიულ დამუშავებას. მუშაობის პროცესში დადგენილი იქნა, რომ ილია გასვიანი და გიორგი მამუკაშვილი კვლავ გამოჩნდნენ, თბილისში თავისუფლად გადაადგილდებოდნენ და მათი დაკავება დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა. რუხაძემ გასვიანისა და მამუკაშვილის ახალი ფოტოები მომიტანა, ცხადია, ისინი მიხეილ გულბანთან უნდა გადამემოწმებინა, რომ ზუსტად დამედგინა, მართლაც ეს პიროვნებები იყვნენ მის მიმართ დანაშაულის ჩამდენნი. ამ ოფიციალური პროცედურის გარდა, ერთგვარად ჩემი ასე ვთქვათ, რეაბილიტაციაც მინდოდა მის თვალში, მსურდა დამემტკიცებინა, რომ რაც მოხდა, შემთხვევითი იყო ჩემთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა.

**მანანა სუხიაშვილი**

599 51 28 24

**(გაგრძელება იქნება)**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. წინა ნომერში

# დასავლეთმა სცადა „ჩამოწერილი“ სააკაშვილი ალასანიათი ჩაენაცვლებინა, მაგრამ ეს მცდელობა მარცხით დამთავრდა

***ირაკლი ალასანიას თანამდებობიდან განთავისუფლების შემდეგ ქვეყანაში გაჩნდა აზრთა სხვადასხვაობა, როგორც პოლიტიკოსების მხრიდან, ასევე ექსპერტების მხრიდან. ამასთან დაკავშირებით ვესაუბრებით პოლიტიკოსებს, რომელთაც დიდი გამოცდილება აქვთ, თუმცა დღეს ისინი უფრო კულუარებიდან აკვირდებიან მოვლენებს, ამდენად, ვფიქრობთ, მათი აზრი მოუკერძოებელი და ობიექტური იქნება.***

**ნოდარ ნათაძე:** ერთი რამ შემიძლია წინდაწინვე ვთქვა, რომ თვითონ ცნება „კო-



ალიცია“ – რომელიც დღევანდელმა ხელისუფლებამ უწოდა მათ გაერთიანებაში შემავალ პარტიებს, არ შეესაბამება ამ სიტყვის მნიშვნელობას. ჩემი აზრით, ეს გახლავთ ერთი ადამიანის მიერ მოგროვილი შემთხვევითი ადამიანების ხროვა და მეტი არაფერი. როდესაც დღეს სიტუაცია გამწვავდა, ზოგიერთმა დაიწყო ფიქრი იმაზე, თუ საით წავიდეს და ვის „აალოდდეს“. აქამდე ბიძინა ივანიშვილს აალოდდნენ, ზოგს უნდა ახლა სხვისკენ წავიდეს, ამათში მე რესპუბლიკურ პარტიას ვგულისხმობ. ახლა რაც მოხდა, აქედან ნათლად ჩანს ის, თუ რა მოხდა რამდენიმე წლის წინ. 2007 წლის 7 ნოემბერს, როდესაც ცნობილი მოვლენები მოხდა, სააკაშვილმა ხალხი დაარბია მოტივის გარეშე, იქ არანაირ საშიშროებას არ ჰქონდა ადგილი, უბრალოდ, მან ეს ჩაიდინა რუსეთის დავალებით. იმიტომ, რომ სამ-ოთხ თვეში იკრიბებოდა ბუქარესტის სამიტი და რუსეთის დავალებით სააკაშვილმა მისცა **მერკელს** საბაბი, რომ მას ეთქვა, რა უნდათ ამათ ნატოში, კაციჭამიები არიან, თავის მოსახლეობას არბევენო. აი, ეს გააკეთა სააკაშვილმა.

**– ფიქრობთ, რომ მას არ სურდა ჩვენი ნატოსთან დაახლოება?**

**– სააკაშვილი იყო და არის რუსეთის აგენტი,** ამას მოწმობს მისი „მოღვაწეობის“ უამრავი ეპიზოდი. ის ფორმალურად ითვლებოდა დასავლეთის გავლენაში მყოფ კაცად, მაგრამ ყველაფერს აკეთებდა რუსეთის სასარგებლოდ. დღეს დასავლეთმა ნათლად დაინახა, რომ **სააკაშვილზე „თამაშის“ აგება** აღარ შეიძლება, იმიტომ, რომ არის მეტისმეტად დანაშაულებრივი და დისკრედიტირებული პიროვნება. ამიტომ მათ თავისი „ფოსტა“ (და არა ფსონი, როგორც მას ეძახიან დღეს) **დადეს უკვე ალასანიაზე.** ამით მათ შეწყვიტეს სააკაშვილისა და ნაციონალების მხარდაჭერა, ეს ძალიან დიდი მოვლენაა. **რაც შეეხება ალასანიას პარტიის პერსპექტივას, ეს, ფაქტობრივად, წულია, იმიტომ რომ ალასანია პოლიტიკოსი არ არის.** საერთოდ, ის პარტიები, რომელნიც დღეს ასპარეზზე არიან, არც ერთს არ აქვს პროგრამა საქართველოს სამომავლო პოლიტიკისა, ქვეყნის პრობლემებზე არავინ არ ფიქრობს, გარდა საქართველოს ნაღდი ეროვნული ძალებისა, რომელნიც არიან უფულო და ჩრდილში მყოფნი. ამიტომ დღეს თუ გვინდა საქართველოს გადარჩენა, ალასანიას მოხსნას მხარი უნდა დავუჭიროთ, იმიტომ, **რომ ისინი სიკეთეს ქვეყანას არ მოუტანდნენ, რომ არ იქნებიან პოლიტიკაში, კარგია, რადგანაც უკვე ვერ დაღუპავენ საქართველოს.**

უდავოა, რომ დღეს მესამე მსოფლიო ომი უკვე მიმდინარეობს, ხან „ცივი ომის“ სახით, ხან აშკარად. ამიტომ გამოიკვეთა ისიც, რომ ამ ომის რეალური შანსები დასავლეთს აქვს. მის პირდაპირ კი დგანან ისეთი ქვეყნები, როგორიცაა ჩინეთი, რუსეთი და გარკვეული ისლამისტური სახელმწიფოები. ამ ომს უკვე ვერავინ შეაჩერებს. სააკაშვილიც და ზოგიერთი დღეს მოქმედი პოლიტიკოსები ამას ხვდებიან, მაგრამ ხშირად ინილბებიან დასავლეთის მოკავშირედ.

დღეისთვის, როგორც ჩანს, **დასავლეთმა სააკაშვილი უკვე ჩამოწერა, როგორც დისკრედიტებული და შინაარსობრივად მოუღებელი პიროვნება და მას ჩაანაცვლეს ალასანია!** ჯერჯერობით მას არ „ჩამოწერენ“ იმიტომ, რომ ის დასავლეთის კურსის ერთგულია, თუმცა არც მოუვა აზრად ის, რომ ჩვენი ქვეყნის ინტერესებისთვის იბრძოლოს, ამას არ გააკეთებს. ეს კი აუცილებელია დღეს ქვეყნისთვის.



**თემურ მირიანაშვილი:** დღეს ქვეყნის მიმართ რაიმე რეალური საფრთხე არ არსებობს. ის თხუთმეტი ნოემბრის აქცია ჩაუფლავდებათ ნაცებს. მათ გავლენა და დასაყრდენი ხალხში უკვე აღარა აქვთ. შეიძლება პროვოკაციები მოაწყონ, მაგრამ სახელმწიფო ამას არ დაუშვებს. შეუძლიათ ქვეყანაში მხოლოდ 5 ათასი კაცის მობილიზება, მიტინგის ჩატარების უფლება აქვთ და ჩაატარონ, თუმცა, ექსტრემიზმს სახელმწიფო არ დაუშვებს.

**რაც შეეხება ალასანიას, ის გახლავთ ჩვეულებრივი ავანტიურისტი და კარიერისტი. ამერიკაში „მოღვაწეობისას“ ის იქ ყველაზე უფრო რეაქციულ ძალებს დაუკავშირდა.** ეს არ არის ორიგინალური გზა, ამაზე ბევრი ვინმე წასულა, **თავის დროზე სააკაშვილმაც ეს გზა გაიარა და „სული მიჰყიდა“ უკიდურესად რეაქციულ ძალებს, რომელთაც დასვეს პრეზიდენტად. ახლა ეს ძალები ალასანიას შეჰპირდნენ თავკაცობას.** მათდა სამწუხაროდ, **ამას უკვე აღარ დაუშვებს ქართველი ხალხი, ახალი სააკაშვილის მოსვლა დღეს – დაუშვებელია!** მას კოვზი ნაცარში ჩაუვარდა, თვითონაც არ იცის, რას აკეთებს, **ხოლო ის, რასაც ის მანამდე აკეთებდა,. იყო სამშობლოს ღალატი! ის ღიად** ამბობდა, რომ საქართველოში უნდა განლაგებულიყო ნატოს საფრენი მოწყობილობები – **ის არის ნაძირალა – როგორც პიროვნება**. კარიერისტული მიზნებისთვის ყველაფერზე წამსვლელი პიროვნება, **თავისი „კარტის გასათამაშებლად“, ის საფრთხეს უქმნიდა თვით ქვეყნის არსებობას.**



ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ ამ ბოლო დღეებში ქვეყანაში ყველაზე ავტორიტეტულმა პიროვნებამ, კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ თქვა, რომ „მე მართლმადიდებელი რუსეთისთვის“ ვლოცულობო – ეს მისი პოზიციაა. ამით ის ანეიტრალებს სააკაშვილისა და ალასანიას მსგავსი მოღალატეების ქმედებებს. ამცნობს რუსებს, რომ ჩვენ მათი მტრები არა ვართ, თუმცა გვინდა ნორმალური ურთიერთობის განვითარება შემდგომში, საქართველოს გაერთიანება.

რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილის განცხადებას იმის თაობაზე, რომ ტელესივრციდან იწყებს ქმედებებს, ეს სწორია, ფაქტობრივად, ბრძნული ნაბიჯია, იმიტომ, რომ ძალიან უჭირს **ტელემედიას. პრაქტიკულად თავისუფალი მედიის ნილბით, დასავლეთის რეაქციული ძალების მიერ მოსყიდული ადამიანები დგანან მათ უკან, რომელნიც თავის იდეოლოგიას ახვევენ თავს ჩვენს ხალხს.** ამიტომ საჭიროა ამ სტერეოტიპის დანგრევა და მოსპობა. ამ ფონზე, ბატონი ბიძინას ნაბიჯი ყველაზე სწორია, რაც შეიძლებოდა მას ასეთ დროს გაეკეთებინა, ეს პირველი რიგის ამოცანაა, ეკონომიკის განვითარების ზრუნვაზე უფრო მეტიც. ჩემი აზრით, ის ამით იწყებს გახდეს ახალი ტიპის პოლიტიკური ლიდერი, მან უარი თქვა პოლიტიკურ სადავეებზე, და სურს მცდარი იდეოლოგია შეცვალოს, **ეს ყველაზე გონივრული ფორმაა მმართველობისა, რომელიც დღეს საქართველოს ყველაზე მეტად სჭირდება.**

ცხრა წლის განმავლობაში გამეფებულმა მცდარმა დასავლურმა იდეოლოგიამ მიგვიყვანა დაღუპვის კარამდე, სწორედ ეს უნდა შეიცვალოს გონივრული, ეროვნული იდეოლოგიით.

**ეთერ კასრელიშვილი**
**599 110 200**



## „მინდა დაგპირდეთ, ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ქართული დიპლომატია წარმატებული იყოს“

„მინდა ჩემი და საგარეო უწყების სახელით დაგპირდეთ, ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ქართული დიპლომატია იყოს წარმატებული. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მეძლევა შესაძლებლობა ვემსახურო ქართულ სახელმწიფოს საგარეო მინისტრის თანამდებობაზე და ვემსახურო საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ პრიორიტეტებს, რადგან მტკიცედ მწამს, რომ საქართველოს მომავალი არ არის საქართველოს ევროპული მომავლის გარეშე. ჩემთვის უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ამ ძალიან რთულ პროცესში, რომელიც არის საქართველოს ევროპული გზა, მაქსიმალურად აქტიურად ჩართული იყოს ყველა, არამარტო აღმასრულებელი ხელისუფლება, არამარტო ქართველი პოლიტიკოსები, არამედ, ქართული საზოგადოების ყველა წევრი. ქართული დიპლომატია გააკეთებს ყველაფერს იმისთვის, რომ განამტკიცოს პარტნიორობა და თანამშრომლობა ყველა მეგობართან, შეიძინოს ახალი მეგობრები და გააძლიეროს საქართველსო მომავალი და უსაფრთხოება“, - განაცხადა თამარ ბერუჩაშვილმა.

„კნიაზი“ — აბესალომ დოლიძე გამეცნო და მიამბო, თუ როგორ იშოვა დიდძალი ფული.

„ერთხელ საკმაოდ სოლიდურად ჩაცმული, ერთ-ერთ კომერციულ მაღაზიას ვეწვიე. შევიძინე საახალწლო საჩუქრები და მცირეოდენი ფული დამაკლდა. შეთანხმების შემდეგ გამყიდველს დარჩენილ თანხაში ჩემი ვიოლინო დავუტოვე, რომელიც სპეციალურად დამქონდა ხოლმე და ვუთხარი: თანხას რომ მოვიტან, ინსტრუმენტს მერე წავიღებ-მეთქი. გარკვეული დროის შემდეგ ამ საფირმო მაღაზიაში ორი უცხოელი შევიდა, მათ ინტერესით შეათვალიერეს ინტერიერი და ყურადღება კუთხეში მიყუდებულ ვიოლინოზე შეაჩერეს. ფასი იკითხეს, მაგრამ გამყიდველისგან ცივი უარი მიიღეს — ვიოლინო არ იყიდებაო. უცხოელებმა დიდი თანხა შესთავაზეს. მოკლედ, ხანგრძლივი ვაჭრობის შემდეგ საკმაოდ სოლიდურ თანხაზე შეთანხმდნენ. გარიგება კი ასეთი იყო: მეორე დღეს უცხოელები მივიდოდნენ, შეთავაზებულ თანხას გადაიხდიდნენ და ვიოლინოს კანონიერი მესაკუთრენი გახდებოდნენ. მათი გარიგების მერე, მეორე დღეს, მაღაზიაში მივედი, დარჩენილი თანხა მივიტანე და ინსტრუმენტი მოვითხოვე. გამდიდრების სურვილით შეპყრობილმა გამყიდველმა ჯერ პატარა თანხა შემომთავაზა, უარის მიღების მერე ფასს მოუმატა, ისევ უარი მიიღო და ბოლოს დიდძალი ფული გადამიხადა. გამყიდველს ვიოლინოს ხელში ჩაგდების შემდეგ სიხარულისგან თვალები უბრწყინავდა. გასვლისას გამყიდველს ვუთხარი, თქვენი დაჟინებული თხოვნა რომ არა, ამ ნივთს არ გავყიდდი-მეთქი. დიდ ხანს ელოდა გამყიდველი იმ უცხოელებს, მაგრამ „ისინი“ აღარ გამოჩენილან, გამყიდველმა გარკვეული დროის შემდეგ ისიც დაადგინა, რომ ვიოლინო არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენდა. ამ სისტემით არაერთ ქვეყანაში ვიმუშავეთ, მაგრამ ყველგან როდი ამართლებდა.

უცხოეთში გარკვეული პირობების გამო წამოვედი. ისე, სამტრედიაში გავიზარდე, ებრაელების უბან კულაშში. ერთი ებრაელი მეზობელი მყავდა ებრაელი, რომელიც ბავშობიდანვე ოცნებობდა ფულის საბეჭდი მანქანის გამოგონებაზე. რა თქმა უნდა, ოცნება ოცნებად დარჩა, მაგრამ მიზანს ნაწილობრივ მაინც მივაღწიეთ. გამოვიგონეთ და გავაკეთეთ დანადგარი, რომელიც ვიზუალურად ფულის საბეჭდ მანქანას მოგაგონებდათ. დანადგარში ვასხამდით საღებავებს, ვდებდით ქაღალდს, ვატრიალებდით სახელურს — ვითომ ფული იბეჭდებოდა. არადა, ამ დროს მანქანაში ნამდვილი ფული იდო. ეს ამბავი მეორე მეზობელს, თანატოლს გავუმხილეთ, რომელსაც თორაზე დავაფიცეთ, რომ ამის შესახებ არსად არ იტყოდა. თვეების განმავლობაში ამ ყმაწვილს ვაძლევდით ნაღდ ფულს, თითქოსდა ჩვენს დაბეჭდილს და დახურდავებას ვავალებდით, წილში გაგვყავდა. ასე გაგრძელდა რამდენიმე თვე და მოვიდა ის დრო, როცა ამ იდეის სულისჩამდგმელის ოჯახი საცხოვრებლად ისრაელში უნდა გამგზავრებულიყო. აი, აქ იყო კვანძი ჩვენი გამოგონებისა. მეგობარს, რომელსაც ფულის დახურდავებას ვავალებდით, კიდევ ერთი საიდუმლო გავანდეთ: ფულის საბეჭდი მანქანის გაყიდვა გვინდა, რადგან გამომგონებელი სამუდამოდ ისრაელში მიემგზავრება საცხოვრებლადო. ებრაელმა ფულის სუნი იგრძნო, აფორიაქდა და მამამისს საგულდაგულოდ შენახული ბრილიანტები მოჰპარა. საბეჭდი მანქანა მივეცით და გავაფრთხილეთ, რომ ჩვენს წასვლამდე ფულს არ დაბეჭდავდა, რადგან, თითქოსდა ჩვენ უამრავი ყალბი კუპიურა



# რა თავგადასავალი მიამბო მუსიკოსმა, სინამდვილეში კი თაღლითმა „კნიაზმა“ აბესალომ დოლიძემ?!

გვქონდა დაბეჭდილი. თუმცა, მოსაგვარებელი რჩებოდა ერთი პრობლემა. როცა ებრაელი ნახავდა, რომ მანქანა ყალბი იყო, რა თქმა უნდა, ფულს ჩემგან მოითხოვდა. ამიტომ ჩემი მეგობარი გამომგონებელი ებრაელისგან მივიღე საქმიანი შემოთავაზება: ეს ბრილიანტები საზღვარზე გადამატანინე და სანამ გვეყოფა, ისრაელში მეფურად ვიცხოვროთო, — მითხრა. დავთანხმდი. მაშინ ხელი მოტეხილი მქონდა და თაბაშირი მეკეთა. ამიტომ თავში სულ კინოფილმი „ბრილიანტის ხელი“ მიტრიალებდა. ვიფიქრე და ასეთი რამ მოვიფიქრე. გამგზავრების წინა დღეს აეროპორტის საბაჟოზე დავრეკე და საკუთარი თავი დავასმინე. ამა და ამ რეისით ისრაელში მიფრინავს კონტრაბანდისტი, რომელსაც თაბაშირში ბრილიანტები აქვს დამალული-მეთქი. აეროპორტში საბაჟოზე მართლაც გამაჩერეს, მედპუნქტში წამიყვანეს და აღმოჩნდა, რომ თაბაშირი ცარიელი იყო. მებაჟეები შეწუხდნენ და ბილეთი შემდეგ რეისზე გადამიცვალეს. ახალ თაბაშირში ბრილიანტები ჩავატანე. გაფრენის წინ მებაჟეებმა მორალური ზიანის ასანაზღაურებელი ფულიც მომცეს და გამაცილეს კიდეც. ერთი წელი ისრაელში დიდებულად ვიცხოვრე. იქვე დავუმეგობრდი პეტერბურგელ ჰაკერს, რომელმაც რუსეთში საქმის გაგრძელება შემომთავაზა. დავთანხმდი და პეტერბურგში გადავსახლდი. მაშინ რუსეთის ერთ-ერთი კრიმინალური დაჯგუფება უზარმაზარ თანხას იხდიდა ინფორმაციაში, რომელიც ქალაქის პოლიციის უფროსის მოადგილის კომპიუტერში ინახებოდა. ჰაკერმა ბევრი იწვალა, მაგრამ ინფორმაციის გადმოქაჩვა ვერ მოახერხა. ერთი საათი რომ მის პირად კომპიუტერს მივუჯდე, მიზანს მივაღწევო, — გვიმტკიცებდა ის. მილიციელს ორი პირადი კომპიუტერი ჰქონდა, ერთი განყოფილებაში, სადაც წარმოუდგენელი იყო შეღწევა და მეორე — შინ. მიზანში სახლში მდგარი კომპიუტერი ამოვიღეთ, მაგრამ ესეც შეუძლებლად გვეჩვენებოდა. ამ საქმის ხელიდან გაშვება არ მინდოდა, რადგან დაპირებული თანხა საკმაოზე ბევრიც იყო. მილიციელის ბინაში შეღწევის რამდენიმე ვარიანტი შევიმუშავეთ. სამართალდამცველის მეზობლად ავტოფარეხი ვიქირავეთ. კაცს, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ ვერავინ ვერაფერს გაუბედავდა, მოვპარეთ საკუთარი „მერსედესი“ და იქვე ფარეხში შევაგორეთ. იმ ღამესვე მთელი პეტერბურგი აწრიალდა, რომ იტყვიან, „პალაჟენია“ გაფუჭდა. საქმეს იძიებდა პოლიცია, პოვნით დაინტერესებული იყო მთელი დამნაშავეთა სამყარო, მაგრამ ამაოდ. მესამე ღამეს, ავტომანქანა ადგილზე დავაბრუნეთ და სალონში წერილი დავტოვეთ: „არ ვიცოდით, რომ თქვენი ავტომანქანა იყო, ამიტომ გადავწყვიტეთ, პირადად მოგიბოდიშოთ, თუკი სპექტაკლზე მობრძანდებით“. წერილს თან ახლდა თეატრის ორი ბილეთი და თითქოსდა პატივისცემის ნიშნად დავტოვეთ ოქროს სამაჯური. თქვენ წარმოიდგინეთ, ანკესზე წამოეგო, მეუღლესთან ერთად თეატრში მივიდა და მთელი ორი მოქმედება ელოდა, რომ მასთან ვიღაც მივიდოდა და ავტომანქანის მოპარვისთვის ბოდიშს მოუხდიდა. საგულისხმოა, რომ მილიციელი დავპატიჟეთ დოსტოევსკის რომანის მიხედვით დადგმულ სპექტაკლ „იდიოტზე“. ჩვენ კი მხოლოდ ერთი საათი გვინდოდა ინფორმაციის ხელში ჩასაგდებად. ინფორმაციასთან ერთად სახლში დიდი სიმდიდრეც დაგვხვდა. შეპირებული თანხა მივიღეთ, მაგრამ ცხადია, პეტერბურგში აღარ დაგვედგომებოდა. დიდი ხნის ოცნება ავისრულე და მერე ლონდონში გავფრინდი.

პრინციპში, ეს საქმე, ფულის შოვნის გარდა, ჩემი ჰობიცაა. თაღლითებს დამნაშავეთა სამყაროში ინტელექტუალები ჰქვიათ, მაგრამ ამას ნიჭი და აზროვნების უნარი სჭირდება. ლონდონში გავარკვიე, რომ ინგლისური კანონმდებლობა იქაური კავშირგაბმულობის სამინისტროს ნებას რთავს, რომ ავტომატური სატელეფონო სადგური კერძო საკუთრებაში გადავიდეს. ჩვენც ვისარგებლეთ ამ შესაძლებლობით და შეძენილ სატელეფონო კვანძს გაცილებით დიდი გადასახადი დავადეთ, ვიდრე ეს ჩვეულებრივ ღირდა. რეგისტრაციაში გატარების დროს გაგვაფრთხილეს კიდეც, რომ ამ კვანძით არავინ ისარგებლებდა. ეს ვიცოდით ჩვენც. ამიტომ მილიონერების უბანში ერთ-ერთი ჩვენგანი პიცით ხელში ნებისმიერ სახლში შედიოდა და თავაზიანად, ღიმილით, ვითომ შეკვეთილ პიცას სთავაზობდა. სახლის მეპატრონე მკვახე უარზე იდგა, პიცა არ შემიკვეთავსო. ჩვენს ფირმაში დარეკეთ და შეკვეთის ფურცელზე თქვენი მისამართია მინიშნებულიო, საპირისპიროს უმტკიცებდა თაღლითი. დავის შემდეგ მხარეები იმაზე თანხმდებოდნენ, რომ სახლის მეპატრონეს პიცის ფირმაში დაერეკა და ვითარება გაერკვია. ტელეფონის ნომერი კი იმ ძვირადღირებულ ატეესს ეკუთვნოდა. დიდი ხნის სატელეფონო საუბრის შემდეგ ფირმა შეკვეთას აუქმებდა და შეცდომისთვის მოკრძალებულ ბოდიშსაც იხდიდა, მაგრამ ერთი თვის შემდეგ ვითომ პიცის შემკვეთს სატელეფონო საუბრისთვის იმხელა გადასახადი მისდიოდა, რომ, ალბათ, ყოველდღიურად ათეულობით პიცის ჭამა ერჩია. ამგვარი გზით არცთუ უმნიშვნელო ფული ვიშოვეთ, მაგრამ, როგორც ამბობენ, ყველა გამარჯვებას დამარცხება მოჰყვება და პირიქითაც. ასეც მოხდა. ამ ვერსიის განხორციელებისას დაგვაკავეს. სამწუხაროდ თუ სასიხარულოდ, ინგლისურ იურისპრუდენციაში შესაბამისი მუხლი არ მოიძებნა. ლოიალურმა კანონმდებლობამ მცირეოდენი თანხით დაგვაჯარიმა და გაგვათავისუფლა.

ახლა პრაღაში ჩამოვედი და აქ აქ ვისვენებ ჩემს მეგობართან ერთად, რომელიც წარმოშობით სომეხია, პროფესიით მხატვარი. უნიჭიერესი პიროვნებაა. მარტო მუშაობს, არავის იკარებს. ფულს ბეჭდავდა დაამზადებდა უამრავ კუპიურას და ელოდებოდა ქარიან ღამეს. მერე დადიოდა სხვადასხვა ქალაქსა თუ ქუჩებში და ამ დაბეჭდილ ფულს ყრიდა. მეორე დღეს ეს ფული მიმოქცევაში შედიოდა. ამასობაში კი სომეხი უამრავ ძვირფას ნივთს ყიდულობდა. და ვერავინ უმტკიცებდა, რომ ფული მისი დაბეჭდილი იყო და არა ნაპოვნი. ესეც ერთგვარი ჰობია.

ახლა საქართველოში დაბრუნებას ვაპირებ. დიდი სურვილი მაქვს რაიმე შემოსავლიანი პროფესია ვიპოვო, ამ საქმეებს თავი დავანებო, ქართული ოჯახი შევქმნა და პატიოსნად ვიცხოვრო“, — დაასრულა თხრობა „კნიაზმა“ და თავაზიანად შემომთავაზა სასმელი...

მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა, მაგრამ „კნიაზი“ აღარ შემხმიანებია. არ ვიცი, დაბრუნდა თუ არა საქართველოში, თბილისშია ახლა, სამტრედიაში თუ სადმე სხვაგან. ისე კი, უნდა ვთქვა, ნამდვილი თაღლითი იყო ის დალოცვილი...

**თამაზ ხაბეიშვილი**

## მკითხველის წერილები



თავს უფლებას ვაძლევ და მინდა მადლობა გადავუხადო ქ-ნ თეა წულუკიანს, ნაძალადევის რაიონის კოალიცია „ქართული ოცნების“ (30-ე უბანი) ამომრჩევლების სახელით, მიუხედავად იმისა, რომ ქალბატონი თეა ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი აღარ არის, მაგრამ ის ჩვენს რჩეულთა შორის შედევრია, გულისფანცქალით ველოდით, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებდა თეა წულუკიანი ამ დაძაბულ კრიტიკულ სიტუაციაში. ახლა კი ვთვლი, რომ თეას გადაწყვეტილება სწორი და გმირობის ტოლფასია, მან თავისი სწორი გადაწყვეტილებით თავისი ქვეყანა იხსნა ძალიან დიდი უსიამოვნებისაგან. პირადად ვუხდი მადლობას მის ამომრჩევლებთან ერთად, ვუსურვებ დიდ წარმატებას, დაე, აღარასოდეს დაგვჭირვებოდეს ქვეყანაში ასეთი არასასიამოვნო არჩევანის წინაშე დადგომა არც ქალბატონ თეას, არც სხვა პოლიტიკურ სუბიექტებს, არც მთავრობის ლიდერებს და ყველაზე მთავარს, მის აღმატებულება ხალხს, რომელიც ამ მოვლენებს, რაც დღეს ქვეყანაში ხდება, გულგრილად ვერ უყურებს და გულწრფელად განიცდის.

დაე, ღმერთი იყოს ჩვენი და სრულიად საქართველოს მფარველი. ამინ!

პატივისცემით —
**მზია უზუნაშვილი**
„ქართული ოცნების“ წევრი

# ადრე გარდაცვლილი გენიოსები

**პუშკინი** 37 წლისა გარდაიცვალა, თუმცა სხვა გენიოსებთან შედარებით, პუშკინი, როცა გარდაიცვალა, შეიძლება


ალექსანდრე პუშკინი

ითქვას „მოხუცი“ იყო, რადგან **კონდრატე რილეევი**, რუსი მწერალი და საზოგადო მოღვაწე 30 წლისა გარდაიცვალა. იგი სიკვდილით დასაჯეს **პესტელთან, კახოვსკისთან, ბესტუჟევ-რიუმინთან** და სხვა დეკაბრისტებთან ერთად.

**ესენინიც** 30 წლისა გარდაიცვალა. ის ჩამომხრჩვალი


სერგეი ესენინი

იპოვეს გამათბობელის მილზე სასტუმრო „ანგლეტერში“. თანამედროვეებს არ სჯეროდათ, რომ ესენინმა თავი ჩამოიხრჩო, დღემდე არ არსებობს ზუსტი პასუხი ამ კითხვაზე.

25 წლის იყო ინგლისელი გრაფიკოსი **ობრი ბერდსლეი**, როცა სიკვდილმა მის კარზე დააკაკუნა. მასზე ადრე მისი ოჯახის უფროსი წევრები ტუბერკულოზმა საიქიოს გაამგზავრა. მასაც იგივე დიაგნოზი


ობრი ბერდსლეი

დაუსვეს. საბედნიეროდ, ბერდსლეი ვუნდერკინდი იყო. მან 4 წლისა ასაკში დაიწყო ხატვა და მოასწრო გაეკეთებინა ძალიან ბევრი.

მე-19 საუკუნის ერთ-ერთი შესანიშნავი ინგლისელი პოეტი **პერსი შელი** ხმელთაშუა


პერსი შელი

ზღვაში, სიცილიასა და ლივორნოს შორის დაიხრჩო 29 წლის ასაკში. მისი მეუღლის **მერი შელის** კალამს ეკუთვნის ფრანკენშტეინის სცენარი.

რუსმა ფილოსოფოსმა **პისარევმა** 28 წლამდეც კი ვერ მიაღწია. 1868 წლის მარტში დასთან მარიასთან და მის ვაჟთან ერთად გაემგზავრა


დიმიტრი პისარევი

საზღვაო მოგზაურობაში და იქ დაიხრჩო.

**ლერმონტოვი** 26 წლისა გარდაიცვალა.

როგორც ანალიზის შედეგად დადგინდა, ფარაონი **ტუტანჰამონი** 18 წლის ასაკში გარდაცვლილა. კარგა ხანს მისი გარდაცვალება არაბუნებრივად მიიჩნეოდა, ამბობდნენ, რომ ტუტანჰამონი მოკლეს **აიას სახელმწიფოს** საკუთარი


ტუტანჰამონი

რენეგატის ბრძანებით. გავრცელებული ცნობებით, ფარაონი გარდაიცვალა მალარიის მძიმე ფორმით, რაც დადასტურდა მისი გვამის გამოკვლევისას. ამასთანავე, მის სარკოფაგში აღმოჩენილი იყო მალარიის სამკურნალო წამლები.

**დანტე ალიგიერის** შეყვარებული **ბეატრიჩე პორტინარი** 24 წლისა გარდაიცვალა შავი ჭირის დაავადებისგან.


ბეატრიჩე პორტინარი

ჟანა დ'არკი 19 წლის იყო სასიკვდილო განაჩენი რომ გამოუტანეს.


ჟანა დ'არკი

# საბედისწერო სასიყვარულო სამკუთხედები

**პრინცი ჩარლზი, დაიანა სპენსერი** და **კამილა პარკერ-როუზი** იმ საბედისწერო სასიყვარულო სამკუთხედის სათავეში არიან,


პრინცი ჩარლზი და პრინცესა დაიანა

რომელიც ცნობილი ადამიანების ცხოვრებაში მართლაც საბედისწერო გახდა.

ბრიტანეთის პრინცი ჩარლზისა და დაიანა სპენსერის ქორწინება 1981 წელს შედგა, ცერემონიას თითქმის ყველა ქვეყნის ტელევიზია იღებდა და 750 მილიონი ადამიანი ადევნებდა თვალს ამ სანახაობას. თუმცა მათი სიყვარული ზღაპრულად არ გაგრძელებულა. ოთხი წლის შემდეგ პრინცი ისევ დაუბრუნდა კამილას, რომელიც 1970 წელს გაიცნო და ამ გაცნობამ მთელი ცხოვრება შეუცვალა. თავის დროზე პრინცის მშობლებმა კამილას რძლობა არ ისურვეს. კამილასთან კავშირის გამო დაიანა პრინცს გაეყარა. შეურაცხყოფილი დაიანა სპენსერი კამილას „როტვეილერს“ უწოდებდა...

ჩარლზი და კამილა 2005 წელს დაქორწინდნენ. ქორწინება უინძორების სასახლეში დარეგისტრირდა. ინგლისის დედოფალი ამ ქორწინებას არ დასწრებია.

ეს იყო ყველაზე ხანგრძლივი რომანი ბრიტანეთის მონარქიის ისტორიაში, წერდა შემდეგ „რია ნოვოსტი“.

საინტერესო დრამატული სამკუთხედი განვითარდა **ინგრიდ ბერგმანის** გარშემო. სამგზის „ოსკარის“ მფლობელი, ოთხგზის „ოქროს გლობუსის“ კავალერი, ქალი, რომელმაც ორგზის „ემი“ მიიღო, ცხოვრება ვერა და ვერ ააწყო. იგი მეუღლეს **პეტერ ლინდ-**


ინგრიდ ბერგმანი და პეტერ ლინდსტრომი

**სტრომს** იმის გამო გაეყარა, რომ ვერ გაწყვიტა რომანი რეჟისორ **რობერტო როსელინისთან**. მიუხედავად იმისა, რომ კრიტიკა და მაყურებელი მას ამის გამო ჰკიცხავდა კიდეც. ინგრიდ ბერგმანი მსოფლიო კინოს 100 ვარსკვლავს შორის მეოთხე ადგილს იკავებს.

**ელიზაბეთ ტეილორმა,** როცა ის ქორწინებაში იმყოფებოდა მომღერალ **ედი ფიშერთან,** სასიყვარულო


ლიზ ტეილორი და ედი ფიშერი

ურთიერთობები დაამყარა **რიჩარდ ბარტონთან** ფილმ „კლეოპატრას“ გადაღებების დროს. ეს იყო ერთი ნახვით შეყვარება და ისინი კოცნას ვერ წყვეტდნენ მაშინაც კი, როცა რეჟისორი ამბობდა: „სტოპ“. ქორწინება ბარტონთან მართლაც საბედისწერო აღმოჩნდა – ორჯერ მოაწერეს ხელი და ორჯერვე გაეყარნენ. ამ პერიოდში დაეწყო ტეილორს წონასთან დაკავშირებული პრობლემები, დოპინგს მიეჯაჭვა და ბოლოს საერთოდ ჩამოშორდა კინოს.

ერთ-ერთ ყველაზე სკანდალური სასიყვარულო სამკუთხედად ითვლება რეჟისორის, კომიკოსი-მსახიობის, პროდიუსერის, სამგზის „ოსკარის“ მფლობელის **ვუდი ალენისა** და 22 წლის **სუნ ი პრევენის** რომანი. მაშინ ვუდი ალენი **მია ფეროუს** მეუღლე იყო. მიას ალენის 13 ფილმში ჰქონდა მონაწილეობა მიღებული. ხამურიანი განქორწინება შედგა მას შემდეგ, რაც მიამ აღმოაჩინა ფოტო, სადაც პიკანტურ ფორმაში იყვნენ გადაღებული მიასა და ვუდის ოჯახში 7 წლის ასაკიდან გაზრდილი სუნ ი პრევენი და


ვუდი ალენი და სუნ ი პრევენი

თვით ვუდი ალენი. მიას შვილივით უვარდა გოგონა და ეს მისთვის უდიდესი დარტყმა იყო.

ასეთივე საბედისწერო იყო XX საუკუნის ლეგენდარული მუსიკოსებისთვის **ჯორჯ ჰარისონისა** და **ერიკ კლაპტონისთვის** მოდელი და ფოტოგრაფი **პატი ბოიდი**,


ჯორჯ ჰარისონი და პატი ბოიდი

რომელიც ძალიან ჰგავდა კურდღელს წინ წამომწეული ზედა ორი კბილის გამო. **ჯორჯ ჰარისონს** მან შთააგონა დაეწერა სიმღერა "**Something**", ხოლო ერიკ კლაპტონმა პატის მიუძღვნა თავისი „**Layla**“ და სხვა ცნობილი სომღერები.

პატი ორივეს მეუღლე იყო, ამის შესახებ დაწერა კიდევაც წიგნში **„მშვენიერია ცხოვრება დღეს – ჯორჯ ჰარისონი, ერიკ კლაპტონი და მე“**.

მსოფლიო პრესის მიხედვით

# გაყინული კონფლიქტები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში — ჭკუის სასწავლებელი უკრაინისთვის

**გარკვეული დროის განმავლობაში უკრაინა ყირიმსა და დონბასში „გაყინული კონფლიქტების“ ადგილად იქცევა. აღმოსავლეთ უკრაინაში რუსეთისგან შეიარაღებული ამბოხებულების დახმარებით ჩატარებული არჩევნები მოვლენათაამგვარი განვითარების ალბათობას აძლიერებს. მოსკოვის აზრით, არჩევნებმა „ხალხის ნება“ ასახა, ევროკავშირმა კი მას „უკანონო და არალეგიტიმური“ უწოდა. უკრაინა მწარე სინამდვილის წინაშე აღმოჩნდება და იძულებული გახდება მტკივნეული არჩევანი გააკეთოს და კონფლიქტების მოგვარება სცადოს. „გაყინული კონფლიქტები“ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში შესაძლოა, ჭკუის სასწავლებელი გახდეს უკრაინისთვის.**

„გაყინული კონფლიქტები“ — ამ ტერმინით აღინიშნება ტერიტორია, სადაც შეიარაღებული შეტაკებები მიმდინარეობდა, მოგვიანებით დამთავრდა, მაგრამ მხარეებმა ყოვლისმომცველი პოლიტიკური გადაწყვეტილება ვერ მიიღეს — მაგალითად, სამშვიდობო შეთანხმების დასკვნა.

ქართულ და უკრაინულ კონფლიქტებს შორის არსებითი განსხვავებებია. ჯერ ერთი, საქართველოში ორივე მხარემ ითამაშა გარკვეული როლი შეიარაღებული კონფლიქტის პროვოცირებისთვის.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა მხარი დაუჭირეს სეპარატისტებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში და ნაწილობრივ, ეს იმისთვის გაკეთდა, რომ ქართველებისთვის არ მიეცათ შესაძლებლობა, იარაღის ძალით ეს ორი რეგიონი დაემორჩილებინა. 2008 წელს რუსეთის პროვოკაციის შემდეგ ქართველებმა წინდაუხედავად გამოიყენეს ძალა სამხრეთ ოსეთში. ამისგან განსხვავებით, რუსეთმა ყირიმი და დონეცკისა და ლუგანსკის ნაწილები ისე ჩაიგდო ხელში, რომ უკრაინისგან არანაირი პროვოკაცია არ ყოფილა.

მეორე მხრივ, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში შეჭრის გამო დასავლეთმა გააკრიტიკა რუსეთი, მაგრამ შეძლო და თავიდან აიცილა ხანგრძლივი და დამღუპველი შედეგები. როცა რუსეთმა უკრაინის ტერიტორიები მკაფიოდ ჩამოყალიბებული საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევით ჩაიგდო ხელში, ამას დასავლეთის მკაცრი სანქციები მოჰყვა. ამ სანქციების გამოყენება დამატებითი მიზეზია იმისა, რომ რუსეთიდან კაპიტალი გაედინებოდეს, ეკონომიკა ეცემოდეს და საერთაშორიოსო იზოლაცია ძლიერდებოდეს. შექმნილი სიტუაციის უარყოფით შედეგებს რუსეთი უახლოეს პერიოდში ვერ გაუმკლავდება.

მესამე — რუსეთი 2008 წლის ინტერვენციას ამართლებდა სპეციფიკური ტერმინებით: არ მისცა საქართველოს იმის შესაძლებლობა, რომ სეპარატისტულ რეგიონებში დაგეგმილი გენოციდი განეხორციელებინა, აგრეთვე სამაგიერო გადაუხადა თავისი მშვიდობისმყოფელების დახოცვის გამო. უკრაინაში თავის მოქმედებებს რუსეთი უფრო ფართო მიზნის მიღწევის სწრაფვით ხსნის — მას სურს, საზღვარგარეთ მყოფი ეთნიკური რუსები და რუსულენოვანი მოსახლეობა, სადაც არ უნდა ცხოვრობდნენ ისინი, დაიცვას, თუკი მათ საფრთხე შეექმნებათ. ამ სტრატეგიის მხარდასაჭერად რუსეთი ეწევა ნაციონალისტურ პროპაგანდას და ამტკიცებს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთს სურთ დაამხონ ხელისუფლებები ფერადი რევოლუციებით, რომლებსაც მემარჯვენე ძალები უდგანან სათავეში.

ჩამოთვლილი განსხვავებების მიუხედავად, საქართველოსა და უკრაინაში არსებულ გაყინულ კონფლიქტებს შორის გარკვეული ასპექტები ემთხვევა.



## რეფორმები კვლავაც პრიორიტეტული უნდა იყოს

საქართველოს მსგავსად, სახელმწიფოს მხრიდან ცუდი მართვისა და სიღარიბის გამო, უკრაინა უფრო მოწყვლადი აღმოჩნდა რუსეთის შეტევის წინაშე. მიუხედავად იმისა, რომ უკრაინა და საქართველო ახალგაზრდა დემოკრატიის ქვეყნებია, ერთ სულ მოსახლეზე მათი მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი ორჯერ ჩამორჩება რუსეთისას. ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა ხედავს იმ ვარიანტის მატერიალურ საფასურს, თუკი ისინი საქართველოსთან ან უკრაინასთან დარჩებიან. როცა რუსეთმა ყირიმი დაიპყრო, იქაური ხანდაზმულები აღფრთოვანებით ეუბნებოდნენ ჟურნალისტებს, რომ მათი პენსია გაიზრდება.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებთათვის უკრაინა უნდა გახდეს წარმატებული ქვეყანა. სამისოდ აუცილებელია ჩაატარონ სახელმწიფოს ხელში არსებული ეკონომიკური საკუთრების პრივატიზაცია და მკვეთრად შეამცირონ სუბსიდიები, რომლებიც იფლანგება, აგრეთვე გააუქმონ რეგულაციები, რომლებიც კორუფციას ბადებს და ხელს უშლის ბიზნესის განვითარებას. ეკონომიკური რეფორმების შეფერხებას. მაღალი დონის კორუფციასა და ენერგეტიკულ არაეფექტიანობას დასავლეთი ვეღარ მოითმენს.

## უარი ნაციონალისტურ და რევანშისტული მიზნებს

2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ, რომლის შედეგადაც მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტი გახდა, მან ფსონი დადო ნაციონალისტურ ბანქოზე და ამით საქართველოს დასავლელი გულშემატკივრები დააფრთხო. ხშირად აკრიტიკებდა რუსეთის ლიდერებსა და მათ პოლიტიკას და არაფრად აგდებდა დასავლეთის გაფრთხილებას, რომ ამგვარი რეფრენებით საქართველოს დამატებით პრობლემებსა და არასაჭირო რისკს უქმნიდა. სააკაშვილის ტაქტიკამ ხელი შეუწყო იმას, რომ რუსეთმა აკრძალა ქართული პროდუქციის რუსულ ბაზარზე შეტანა, გაყინა დიალოგი უმაღლეს დონეზე და 2008 წლის ომის პირობები შექმნა.

## თავი აარიდეთ ხისტ მიდგომებს

აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან იძულებით წამოსული რამდენიმე ასეული ათასი ადამიანის პოლიტიკური ლიდერები აიძულებდნენ ქართველ ლიდერებს, გაეტარებინათ ანტირუსული ხისტი პოლიტიკა და ოკუპანტების წინააღმდეგ აჯანყებითი ომი წამოეწყოთ. არცთუ იშვიათად ამ წნეხის გამო ქართული პოლიტიკა არასასურველი გზით მიემართებოდა. გაეროს ლტოლვილთა საქმეების უმაღლესი კომისრის მონაცემებით, დაახლოებით 400 ათასმა ადამიანმა იძულებით დატოვა უკრაინის ოკუპირებული ტერიტორია და ახლა ქვეყნის სხვადასხვა რაიონშია მიმოფანტული. ახალმა მთავრობამ ხელიდან არ უნდა გაუშვას რეფორმის სადავეები, არ შეუქმნას საფრთხე მათ იმის გამო, რომ ხისტი პოლიტიკის გატარება სურთ.

## ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას დიდი სიფრთხილით მოეკიდონ

2008 წლის აგრესიის შემდეგ ევროკავშირმა და საფრანგეთის პრეზიდენტმა სარკოზიმ, მოლაპარაკებების შედეგად რუსეთისა და საქართველოს ლიდერების თანხმობით გააფორმეს შეთანხმება „საბრძოლო მოქმედებების დროებით შეწყვეტის შესახებ“. რუსეთმა დაარღვია ეს შეთანხმება და წინასწარ შეთანხმებული პარამეტრის იქით, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სხვა ტერიტორიები დაიპყრო. შეიარაღებული ოკუპანტები წინ მიიწევენ და დაშორიშორების ხაზებს კვეთენ. მოსკოვი ახლა აფხაზეთს სთავაზობს ხელშეკრულებას, რომელიც სინამდვილეში რუსეთის შემადგენლობაში მის შესვლას გულისხმობს.

მინსკის პროტოკოლი, რომელსაც ხელი მოეწერა სექტემბერში (ეუთოს ეგიდით, რუსეთის, უკრაინის, დონეცკისა და ლუგანსკის სეპარატისტთა მონაწილეობით) საეჭვოა უკეთესი იყოს, ვიდრე ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ქართული დადგენილება. რუსეთის ძალები და აჯანყებულები საბრძოლო მოქმედებებს, მართალია ნაკლები ინტენსივობით, მაგრამ მაინც აგრძელებენ. პროტოკოლის სხვა დებულებები — ეუთოს წარმომადგენელთაგან უკრაინა-რუსეთის საზღვრის მონიტორინგი, და „უკანონო შეიარღებული ფორმირებების“ გამოყვანაც, სავარაუდოდ, არ შესრულდება.

## ოკუპირებული ტერიტორიების მართვა შეუძლებელია

წლევანდელი ზამთარი სერიოზულ ეკონომიკურ სირთულეს შეუქმნის უკრაინას. კიევის ხელისუფლება შეეცდება, დახმარება გაუგზავნოს განსაცდელში ჩავარდნილ თავის მოქალაქეებს, შეიარაღებული მეამბოხეები კი ნებისმიერ ტვირთს ხელში ჩაიგდებენ და თავიანთი მიზნებისთვის გამოიყენებენ. ასევე მოხდა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში და ოკუპირებული ტერიტორიები კორუფციისა და დანაშაულის ზონად იქცა. საქართველოს მაგალითი გაკვეთილად უნდა გამოადგეს უკრაინას და მსგავსი საფრთხისგან თავი დაიცვას.



უნდა შეეცადოს, არ გაჩნდეს დაძაბულობის ახალი კერები და ოკუპირებული ტერიტორია სასიცოცხლოდ აუცილებელი მომსახურებით, მაგალითად, შუქითა და წყლით უზრუნველყოს.

## ნურავინ ელის მნიშვნელოვან სამხედრო დახმარებას დასავლეთისგან

საქართველოში რუსეთის შეჭრის შემდეგ 6 წელი გავიდა და დასავლეთს ჯერაც არ დაუწყია ამ ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი თავდაცვითი მოწყობილობების გადაცემა, მათ შორის ტანკსაწინააღმდეგო და ჰაერსაწინააღმდეგო. აშშ-ის ორივე პალატის ერთობლივ სხდომას პეტრე პოროშენკომ მსგავსი იარაღის მიწოდების ემოციური თხოვნით ჯერ კიდევ სექტემბერში მიმართა, მაგრამ ვაშინგტონს ამის შესახებ დადგენილებაც კი არ მიუღია. როგორც საქართველოს შემთხვევაში, უკრაინასაც სხვაგან მოუწევს მისი ყიდვა. დასავლეთის ლიდერების აზრით, საქართველოსა და უკრაინისთვის იარაღის მიწოდებით რუსეთის აგრესიას კიდევ უფრო გაამძაფრებენ.

## „გაყინული კონფლიქტები“ შესაძლოა გალხვეს

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა ნათლად დაგვანახვა, რომ ადვილია, „გაყინული კონფლიქტები“ „ცხელში“ გადაიზარდოს. უკრაინაში „გაყინული კონფლიქტები“, სავარაუდოდ, სტაბილურად „გაყინული“ ვერ იქნება — არ არის გამორიცხული, რუსეთმა ყირიმთან სახმელეთო კავშირის დასამყარებლად უკრაინის ახალი ტერიტორიები დაიპყროს. უკრაინამ უწინარესად უნდა შეაფასოს თავისი რესურსები, რომელთა გამოყენებაც ამ კონფლიქტების მოსაგვარებლად დასჭირდება. საერთაშორისო მხარდაჭერა გადამწყვეტი იქნება: რეფორმების დაფინანსება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა და ევროკავშირის მეშვეობით, კოორდინებული მოქმედება რუსეთზე ზემოქმედების მოსახდენად მაშინ, როცა ის სტარტეგიულ გადაწყვეტილებებს იღებს, აგრეთვე დიპლომატიური ძალისხმევა, რომ არ დაუშვან რუსეთმა თავისი სახელმწიფოს ტერიტორია უკრაინის ხარჯზე გააფართოოს.

დასავლეთის სანქციები, ნავთობზე ფასის შემცირება, რუბლის კურსის დაცემა და რუსეთიდან კაპიტალის გადინება — ეს ყველაფერი რუსეთს მძიმე მდგომარეობაში ჩააგდებს. გაუჭირდება მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიოს ყირიმსა და აღმოსავლეთ უკრაინას, რომლებიც საბრძოლო მოქმედებებმა ძალზე დააზარალა.

ქვეყნის ეკონომიკისა და სახელმწიფოს მართვის გაუმჯობესება, აგრეთვე დასავლეთთან და სხვა მეზობლებთან პროდუქტიული ურთიერთობები საუკეთესო სტრატეგიაა დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებლად.

***დენის კორბოი —***
***ევროკავშირის ყოფილი ელჩი საქართველოსა და სომხეთში***
***უილიამ კორტნი —***
***აშშ-ის ყოფილი ელჩი საქართველოსა და ყაზახეთში***
***კენეტ იალოვიცი —***
***აშშ-ის ელჩი საქართველოსა და ბელარუსში***

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. ფოლადის ორთითა ხელსაწყო, იყენებენ პიანინოს აწყობისას. 2. ავსტრიელი მწერლის ზაბერ-მაზოხის მიერ აღწერილი სქესობრივი გარყვნილება. 3. ყოველი ცოცხალი არსება, ცოცხალი სხეული. 4. სპორტული ნავის მოძრავი სკამი. 6. მხატვრულად გაფორმებული ნიშანი წიგნის ყდის შიგნითა მხარეს. 7. იტალიელი კინორეჟისორი ძმები. 14. ჩვილის რბილი ძვალი თავის ქალაზე. 15. ქ. გერმანიაში, სადაც ევროპის უდიდესი აეროპორტია. 16. მსოფლიოს უგრძესი მდინარე. 17. რაიმე საგნის ზედაპირზე ჩაჭდევებული ძვალი, სადაფის სამკაული. 19. ამერიკული ძუძუმწოვარა წაბლისფერი, კრიალა ბეწვით. 20. ქვეყნის ადმინისტრაციული და პოლიტკური ცენტრი. 25. რუსული საზენიტო დანადგარი. 26. კუტუზოვის არმიის ქართველი გენერალი ... ბაგრატიონი.

**თარაზულად:** 5 ბერლინის საფეხბურთო გუნდი. 8. კონცხი ფლორიდაზე, სადაც ამერიკის კოსმოდრომია მოწყობილი. 9. თეთრკუდა არწივი. 10. სახელმწიფო მმართველობის ფორმა. 11. ტროპიკული მცენარს ე.წ. გულისარევი თხილისგან მიღებული ძლიერი შხამი. 12. ადგილი, სადაც მიდიოდნენ ყარაჩოღელები ქეიფის შემდეგ. 13. ნივთიერება, რომლისგანაც შედგება ბუნების ფიზიკური სხეულები. 14. „დინამო“ ყოფილი №10 ფეხბურთელი დავით ... 18. ჯეიმს ბონდზე გადაღებული ფილმების ერთობლიობა. 21. ტილოს მსგავსად ნაქსოვი ბამბის რბილი, ხაოიანი ქსოვილი. 22. პა-დე-კალეს სრუტეს მეორე სახელი. 23. გრძელი შესამოსელი, რომელსაც იცვამენ კათოლიკე მღვდლები არა ღვთისმსახურების დროს. 24. სასკოლო სასადილო. 26. რძის ნაწარმის იტალიური ფირმა. 27. ქ. ამერიკაში „ფორდის“ წარმოების ცენტრი. 28. იაპონური სამშენებლო ტექნიკა. 29. ბუნებრივი ქიმიური ნაერთი, რომელიც შედის დედამიწის ქერქის შემადგენლობაში.



1. ესპანეთის საფეხბურთო გუნდი
2. მოქმედება რისამე მისაღწევად
3. თევზის კანის საფარი
4. შავი და აზოვის ზღვის შემაერთებელი სრუტე
5. ბეთჰოვენის ნაწარმოები
6. ძვირფასი ქვა, ყავისფერი იაგუნდი
7. დუმბაძის ბერძენი ბიჭი
8. წითლურიას ხუტა ... „შერეკილებში“
9. სამშენებლო კონსტრუქცია
10. კროსვორდის ნაირსახეობა
11. ყველის ამოყვანისას დარჩენილი სითხე
12. საფრანგეთის საჩოგბურთო ტურნირი
13. ქალაქი ამერიკაში
13ა. ქსოვილის ბარში რხევა
14. გერმანული ტექნიკა
15. ფართო ქუჩა ნიუ იორკში
16. ახალი ვენახი
17. ანეკდო ტების ოსი პერსონაჟი
18. შოკოლადის ბრტყელი ნაჭერი
19. ლონიერი
20. სიმინდის ყვავილედი
21. კუნძული ევროპაში
22. ევროპის ჯუჯა ქვეყანა
23. სახეზე გამონაყარი, წვინკა
24. გამჭრიახობა, მოხერხებულობა
25. მარადმწვანე ხე ან ბუჩქი
26. ბოლშევიკი ტეროროსტი „დათა თუთაშხიადან“
27. ყვავილების კონა
28. რისამე დასამტკიცებელი საბუთი
29. კოსოვოს ადმ. ცენტრი
30. მოგზაური ... ვესპუჩი
31. ფულისა და ნივთების გასათამაშებელი დოლურა
32. მუქი ნაცრისფერი
33. ესპერანტოს მცოდნე
34. ... თაყაიშვილი
35. ჩქარი მატარებელი
36. გარდაცვლილთა სული
37. წებოვანი ლენტი
38. ჯაგნარიანი რიყე მდინარის პირას
39. ინდოელი მოჭადრაკე
40. ებრაელის გასამრაზებელი სიტყვა
41. ალალბედზე მოქმედება
42. ელ. გამანაწილებელი ფარი
43. იტალიელი რეჟისორი ... დე ფილიპო
44. ბუჩქოვანი მცენარე
45. ... რობერტსი
46. სეზონური გაიფება
47. აფრიკის ქვეყანა
48. მუსლიმანთა კონუსის ფორმის ქუდი
49. მონღოლი ხანის ბრძანებულება
50. სითხის ჭურჭელი





## ორხაზა კროსვორდი

| 2. სათადარიგო ფეხბურთელი. | 4. აქტის ნაირსახეობა. | 6. ნაბოკოვის პერსონაჟი ქალი. | 8. რენომე. | 10. სხვისი შვილების გამზრდელი. | 12. ლექციის მოკლე ჩანაწერი. | 14. მდინარე ბელორუსიაში. | 16. თარსი რიცხვი. | 18. წვრილი ქვიშა. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|

| 1. მეორედ გადაღებული კადრი. | 3. კაშკაშა თანავარსკვლავედი. | 5. ქვანახშირის გახურებით მიღებული ნაერთი. | 7. მატჩის ნაწილი. | 9. ინგლისური ცეკვა. | 11. ორგანიზმის მიდრეკილება დაავადებისადმი. | 13. კინოს ძველი შესატყვისი. | 15. კურორტი საფრანგეთში. | 17. თეთრკანიანისა და ზანგის შთამომავალი. | 19. მუს. ნოტი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|

# რა საიდუმლოებები ხდება აგრარული უნივერსიტეტის სარდაფში?

ჯერ კიდევ 10 წლის წინ, „ნაციონალების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დაიწყო ისედაც გავერანებული სოფლის მეურნეობის გეგმაზომიერი ნგრევა. გაიჩეხა ხეხილის ბაღები, ვენახები. ის კი არა, ვენახის ამოძირკვაში კახეთში გლეხებს ფულსაც სთავაზობდნენ. იმდროინდელი მთავრობის წევრები სოფლის მეურნეობას „გოიმობად“ თვლიდნენ. პრეზიდენტყოფილმა ისიც განაცხადა კახეთში, აგრარული უნივერსიტეტი კვალიფიცირებულ კადრებს ვერ ამზადებს, ქართველმა მეღვინეებმა არ იციან ღვინის დაყენებაო. სამაგიეროდ, მის სოფ-




ლის მეურნეობის მინისტრს ევროპიდან „დედალ-მამალი“ ძროხები ჩამოჰყავდა.

პრეზიდენტყოფილის სიტყვები, როგორც შემდეგ გამოჩნდა, შემთხვევითობა არ ყოფილა, უბრალოდ, მან წინასწარ შეამზადა ნიადაგი იმისთვის, რომ გაემართლებინა უმაღლესი სკოლის გასხვისება სიმბოლურ ფასად – 1 ლარად! გასაოცარია, მაგრამ უბოძა იმ ადამიანს, რომელიც სოფლის მეურნეობას ჩამორჩენილობად მიიჩნევს. დია, კახა ბენდუქიძის ხელში აღმოჩნდა არა მარტო აგრარული უნივერსიტეტი, არამედ იქ შემავალი ათამდე სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი. ამის გარდა, გაიჩეხა ვაზის საკოლექციო ნაკვეთი, სადაც ათასამდე ჯიში იყო გაშენებული. ახლა იქ ბენდუქიძის 14-სართულიანი სახლებია წამოჭიმული. ატმის საკოლექციო 5 ჰექტარი ნაკვეთი სააკაშვილის დედას უსაჩუქრეს, რომელმაც იმ ადგილზე თურქული სკოლა ააშენა, ხოლო აგრარული უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლების ადგილზე შავი ზღვის უნივერსიტეტი გახსნა.

რა სიკეთე მოუტანა ქვეყანას აგრარული უნივერსიტეტის კერძო პირისთვის გადაცემამ? ყოფილი თანამშრომლები ერთხმად აცხადებენ, რომ უმაღლესმა სკოლამ, ფაქტობრივად, დაკარგა ფუნქცია. იმის გარდა, რომ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წიგნები მიწათმოქმედების ინსტიტუტის შენობაში დაყარეს და ამით, ფაქტობრივად, სამეცნიერო ლიტერატურის გარეშე დატოვეს სტუდენტები, განადგურებულია ღვინის საუკუნოვანი საცავი.

სოფლის მეურნეობის დარგების შესწავლა პრაქტიკული მეცადინეობის გარეშე წარმოუდგენელია. ამას ამბობენ ღვაწლმოსილი პროფესორ-მასწავლებლები. მაგრამ საკითხავია, ვინ უნდა ასწავლოს და ჩაუტაროს პრაქტიკული მეცადინეობა, როდესაც პროფესურის ძირითადი ბირთვი უმუშევარია. აგრონომის, მებაღის, მევენახის აღზრდა მხოლოდ აუდიტორიაში წარმოუდგენელია. თეორიულ საგნებში ფრიადოსან კურსდამთავრებულს მუშაობის დაწყებისას წლები დასჭირდება, რათა პრაქტიკულად დაეუფლოს იმ ცოდნას, რასაც უმაღლეს სკოლაში უნდა იძენდეს. აქედან გამომდინარე, შეიძლება თამამად ითქვას, რომ აგრარულ უნივერსიტეტში გატარებული 4 წელი ფუჭია, წყალში იყრება ის თანხა, რომელიც მის მოსამზადებლად იხარჯება. ვიმეორებთ, პრაქტიკული სწავლების გარეშე სოფლის მეურნეობის დარგის სპეციალისტი არ იარსებებს. თუ ასე გაგრძელდა, რამდენიმე წელში შეიძლება მართლაც უცხოელი სპეციალისტები მოვიწვიოთ, რადგან ადგილობრივი კადრები აღარ გვეყოლება.

პრაქტიკული კურსის გავლის აუცილებლობაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ცარიზმის დროს, XIX საუკუნეში გახსნილ რამდენიმე სასოფლო-სამეურნეო სკოლებს ჰქონდათ თავიანთი საცდელი ნაკვეთები და მეურნეობები. დღეს, XX საუკუნეში კი ჩვენი აგრარული უნივერსიტეტი, პრაქტიკულად, მხოლოდ თეორიული სწავლებით უზრუნველყოფს სტუდენტებს, თორემ მიწის ერთი გოჯიც აღარ შერჩა. თეორიული სწავლება ვახსენეთ. ყოფილი ლექტორები საჭიროდ მიიჩნევენ, შესწავლილი იქნეს, როგორ, რას, ვინ ასწავლის, რომელი ლიტერატურით სარგებლობენ სტუდენტები და ასპირატნები, თორემ მხოლოდ სახელის დარქმევა ვასწავლოთო, შორს ვერ წაგვიყვანს.

საქართველოს განათლების სამინისტრო, რომელიც უშუალოდ უნდა იყოს დაინტერესებულ ქვეყანაში სისტემის ასაღორძინებლად, თუმცა არანაირი ქმედება არ შეინიშნება უწყების მუშაობაში. მართალია, გიორგი მარგველაშვილის მინისტრობის დროს აგრარულ უნივერსიტეტს ლიცენზია შეუჩერეს, რასაც საპროტესტო აქციები მოყვა და ხელისუფლებამ რატომღაც უკან დაიხია. საინტერესოა, რომ ჩატარდეს ობიექტური საკურსო გამოცდები, რამდენი სტუდენტი გადალახავს ბარიერს. ხალხი იმასაც ამბობს, ბენდუქიძემ უმაღლესი სასწავლებელი „ნაცმოძრაობის“ წევრების თავშესაფრად აქციაო. ერთ-ერთმა ყოფილმა სტუდენტმა ისიც გვითხრა, უნივერსიტეტის სარდაფში კომპიუტერული ცენტრი ყოფილა გახსნილი, თუმცა იქ შესასვლელად განსაკუთრებული ნებართვაა საჭირო, ხოლო იქ რას საქმიანობენ, უცნობიაო. გადამოწმების საშუალება არც ჩვენ მოგვეცა, რადგან უნივერსიტეტში შესვლა საშვის გარეშე ყოფილ თანამშრომლებს, ღვაწლმოსილ პროფესორებს არ შეუძლიათ.

ვიმეორებთ, დღეს, როდესაც ქვეყნის განვითარების ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად სოფლის მეურნეობა სახელდება, მეცნიერებას განსაკუთრებული ადგილი უკავია. სამწუხაროდ, ჩვენი მეცნიერების უმრავლესობა უქმად არიან, ამიტომაც თქვა პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარემ ივანე კიღურაძემ: „ნაციონალებიოს ხელისუფლებამ კვლევითი დფაწესებულებები დაანგრია, რომელთა წყალობითაც საქართველო მსოფლიო ინტელექტუალურ რუკაზე დამკვიდრდა... რომ დაინახავ, ღირსეული, მართლაც გამოჩენილი მეცნიერები საშინელ პირობებში არიან, როგორ შეიძლება, დამშვიდებული ვიყო. გამოდის, რომ სამინისტრო ლომაიასა და შაშკინის კურსს აგრძელებს. როგორ მდგომარეობაშიც იყვნენ კვლევითი ინსტიტუტები, ისეთ მდგომარეობაში არიან დღესაც“.

ალბათ, დროა, თუ დაგვიანებული არა, რომ დავფიქრდეთ და ვიზრუნოთ კვალიფიცირებული სპეციალისტების მომზადებაზე.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



***„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი მთვარისა კევლიშვილი.***
**ტელ.: 2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69**

* * *

**-ხუთი წლის წინ გარდამეცვალა ძმა. მე, როგორც მისმა ერთადერთმა მემკვიდრემ, მივიღე მისი ქონება. ასევე, მე უნდა მიმეღო მისი რამდენიმე ხელფასი. ამ ორი თვის წინ მივაკითხე მის სამსახურს, უარი არ უთქვამთ, მაგრამ, ფაქტია, რომ დღემდე მისი ხელფასი არ მიმიღია. როგორ მოვიქცე?**

-როგორც მემკვიდრეს, თქვენი ძმის რამდენიმე თვის ხელფასი კანონით დადგენილ 6 თვის ვადაში უნდა მიგეღოთ. როგორც ჩანს, ძმის სამსახურს გვიან მიაკითხეთ. თუ ისინი ხელფასს არ გადაგიხდიან, შეგიძლიათ მიმართოთ სასამართლოს.

* * *

**-2 წლის წინ გარდაიცვალა დედაჩემი. მას ასაღები ჰქონდა სამი თვის პენსია. ერთი თვის წინ მივაკითხე შესაბამის სააგენტოს, მაგრამ პენსიის გაცემაზე უარი მითხრეს, ვადის გასვლის გამო. რამდენად კანონიერია ეს?**

- პასუხი კანონიერია.

პენსია, რომელიც პირს ეკუთვნოდა და მისი გარდაცვალების დროისათვის არ იქნა მიღებული, მიეცემა მის მემკვიდრეებს, თუ მათ მიუღებელი თანხისთვის მიმართეს პირის გარდაცვალების დღიდან არაუგვიანეს ერთი წლისა.

თქვენ დედის გარდაცვალებიდან ორი წლის შემდეგ მიაკითხეთ შესაბამის სააგენტოს, ერთწლიანი ვადა გაუშვით. ამდენად, მათგან კანონიერი პასუხი იქნა გაცემული.

* * *

**-მამაჩემი იყო დაპატიმრებული ერთი წლით. ამ ხნის მანძილზე მას შეჩერებული ჰქონდა პენსიის გაცემა. რამდენად კანონიერია ეს და როგორ უნდა განვაახლოთ პენსიის მიღება?**

-პენსიის შეჩერება კანონიერია, რადგან პენსიის გაცემის შეწყვეტის ერთ-ერთი კანონიერი საფუძველი გახლავთ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ამ განაჩენით პირს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა.

შეწყვეტილი პენსიის გაცემის განახლებისათვის აუცილებელია განცხადებისა და საჭირო დოკუმენტების / რომლითაც დასტურდება შეწყვეტის ან შეჩერების მიზეზების არარსებობა/ ფონდში წარდგენა. აქედან, გამომდინარე, თქვენ უნდა წარადგინოთ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი და ცნობა, რომ მამათქვენმა უკვე მოიხადა სასჯელი.

* * *

**-არარეგისტრირებული კავშირი ჩაითვლება თუ არა იურიდიულ პირად?**

-არა.

* * *

**-გარდამეცვალა ძმა. მას ჰყავდა მეუღლე, რომელთანაც არ ჰქონდა გაფორმებული სამოქალაქო ქორწინება. მეუღლე ფეხმძიმედაა. არის თუ არა მეუღლე მემკვიდრე?**

-რადგან არ არსებობს სამოქალაქო ქორწინება, მეუღლე ვერ ჩაითლება თქვენი გარდაცვლილი ძმის მემკვიდრედ. მაგრამ თქვენი გარდაცვლილი ძმის მემკვიდრეა / თანაც პირველი რიგის მემკვიდრე/ ჩასახული ბავშვი, თუ ის ცოცხალი დაიბადება. როგორც ჩანს, დადგება საკითხი ბავშვის მამობის დადგენის შესახებ, რადგან თქვენმა ძმამ ვერ მოასწრო ქორწინების გაფორმება, შესაბამისად, დადგენილ უნდა იქნას მამობა სასამართლო წესით. თუ მამობა დადგენილ იქნება, ბავშვი თქვენი გარდაცვლილი ძმის ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე გახდება.

* * *

**-ნაშვილები ბავშვი არის თუ არა მშობლების კანონიერი მემკვიდრე?**

-ნაშვილებსა და მშვილებლებს ერთმანეთის მიმართ აბსოლუტურად იგივე სამემკვიდრეო უფლებები გააჩნიათ, რაც ბიოლოგიურ მშობლებსა და შვილებს. ნაშვილები ბავშვი მშვილებლების კანონიერი მემკვიდრეა. ამასთან, დავძენ, რომ ნაშვილები ბავშვი იძენს მემკვიდრეობის უფლებას არა მხოლოდ თავისი მშვილებლ;ების, არამედ, მათი სხვა ნათესავების ქონებაზეც ზუსტად იგივენაირად, როგორც ნამდვილი შვილი. ამავდროულად, იგი კარგავს მემკვიდრეობის უფლებას თავისი ბიოლოგიური მშობლებისა და სხვა ბიოლოგიური ნათესავების ქონებაზე, ისევე, როგორც მისი ბიოლოგიური ნათესავები ვერ იქნებიან ბავშვის კანონით მემკვიდრეები.

ავეჯის გადაზიდვა



593 20 46 87

# გათხოვილი ქალები მეტად კრიტიკულები არიან მამაკაცების მიმართ. – რატომ?

მეცნიერები ამტკიცებენ, ქალბატონებს, რომლებიც სიყვარულს ეძებენ, ყველაზე ხშირად ისეთი მამაკაცებისკენ მიუწევთ გული, რომლებიც საოჯახო საქმეებში მეტად არიან ჩახედულნი.

ექსპერიმენტის მსვლელობისას ქალბატონებს რამდენიმე ათეული სიმპათიური მომხიბლველი მამაკაცის ფოტო აჩვენეს. ცდის მონაწილე ქალბატონებს შორის იყვნენ როგორც გათხოვილები, ასევე გასათხოვრებიც. ხოლო ფოტოებზე აღბეჭდილი იყო მამაკაცები სხვადასხვა სიტუაციებში. მაგალითად, მამაკაცი აგვიანებს სამსახურში, ან ყიდულობს პროდუქტებს ბებიისთვის და ა.შ.



მას შემდეგ რაც ექსპერიმენტის მონაწილეებმა ფოტოები დაათვალიერეს, მათ დაავალეს მოეთხროთ, რა შთაბეჭდილებები დარჩათ მამაკაცებზე, რომელთა ფოტოებიც იხილეს.

ცდის მონაწილეები, რომლებიც გათხოვილი იყვნენ, კრიტიკულად განეწყვნენ ფოტოზე წარმოდგენილი მამაკაცების თითქმის ყველა ქმედებაზე, ხოლო გაუთხოვრები მეტად ლოიალურები იყვნენ, რაც, მეცნიერთა მტკიცებით, იმას განსაზღვრავს, რომ ჰარმონიული წყვილები იშვიათია, ხოლო ცხოვრება მოკლე. კანადელი მკვლევარების მტკიცებით, შეთანხმებულ, მშვიდ ურთიერთობებს სასწაულების მოხდენა შეუძლია.

# ტრაგედია ქორწილის დღეს

კანადაში, ქალაქ როდონში პირდაპირ ქორწილის მიმდინარეობის დროს 30 წლის მარია პანტაბოპულოსი გარდაიცვალა შუა ტბაზე, სადაც თავისი საქორწილო კაბით ფოტოაპარატის წინ პოზირებდა.



მას სურვილი ჰქონდა, რაც შეიძლება ორიგინალური ფოტოები ჰქონოდა ქორწილის მოგონების აღსანიშნავად. ამ მიზნით ტბის შუაგულში გავიდნენ, სადაც პატარძალი შემთხვევით წყალში გადავარდა. საქორწინო კაბა წყლით გაიჟღინთა, დამძიმდა და ფსკერისკენ იწყო ქალბატონის ჩათრევა. მისი ცხედარი, სამწუხაროდ, რამდენიმე საათის შემდეგ იპოვეს ტბის ფსკერზე დორვინ ფოლოს პარკში, სადაც ფოტოსესია მიმდინარეობდა.

* * *

ელიზაბეთ ბევინი, რომელიც გახლდათ შრომის მინისტრი მეორე მსოფლიო ომის დროს, სკოლიდან 11 წლისა გამოვიდა და მეტი ცოდნა არც შეუძენია.

* * *

უინსტონ ჩერჩილი 15 ცალ სიგარას ეწეოდა დღეში.

* * *

იტალიის ნაციონალური დროშა ნაპოლეონ ბონაპარტმა შექმნა.

* * *

ბიბლიურ მეფე სოლომონს 700 ცოლი ჰყავდა და ათასობით საყვარელი.

**მოამზადა ანა ვადაჭკორიამ**


## ქოზიფას მამათა მონასტრის განვითარების ფონდი



დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან

0 901 500 540

თიბისი ბანკი

ა/ნ GE88TB1117236080100001


„საერთო გაზეთის“ რედაქცია დაბადების დღეს ულოცავს შესანიშნავ პიროვნებას, გულმხურვალე ქართველს, „საერთო გაზეთის“ ერთგულ მეგობარს, ბატონ **იური ალანიას** და დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ბედნიერებას უსურვებს.

„საერთო გაზეთი“

# ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** – აქტიური და ენერგიული გახდებით, ოპტიმისტური განწყობა დაგეუფლებათ.

**კურო** – ეს პერიოდი ეკონომიკურ სტაბილურობას მოგიტანთ. თამამად შეგიძლიათ, ხარჯოთ ფული. ფინანსური ოპერაციები ამჯერად ძალზე სარფიანად წარიმართება.

**ტყუპები** – შექმნილი ვითარება ხელს შეუწყობს თქვენი პიროვნული თვისებების და შემოქმედებითი მონაცემების გამოვლენას. გაგიჩნდებათ სურვილი, სიამოვნება მიანიჭოთ ყველას.

**კირჩხიბი** – ძალაუფლების და წინსვლის სურვილი თანამშრომლებთან სიტუაციის დაძაბვას გამოიწვევს.

**ლომი** – ხელსაყრელი დროა განათლების დონის ასამაღლებლად. ენთუზიაზმი დაგეხმარებათ სამსახურებრივი პრობლემების მოგვარებასა და საქმიან პარტნიორებთან ხელშეკრულებების დადებაში.

**ქალწული** – აქტიური და ინტენსიური ურთიერთობები პარტნიორებთან შესამჩნევ პიროვნებებად გაქცევთ. გაგიჩნდებათ სურვილი, იპოვოთ საკუთარი ადგილი საზოგადოებაში, თუმცა თქვენი წინსვლა დამოკიდებული იქნება იმაზე, რამდენად შეძლებთ მოწინააღმდეგეთა დამარცხებას.

**სასწორი** – თუ გსურთ, შეინარჩუნოთ ეკონომიკური სტაბილურობა, საჭიროა რამე პრინციპულად განსხვავებულს მოჰკიდოთ ხელი.

**მორიელი** – ოჯახის წევრებსა და თანამშრომლებზე ზრუნვა მნიშვნელოვანი საქმეების კეთებისგან მოგაცდენთ. შექმნილი ვითარება ხშირად გიბიძგებთ ნაჩქარევი გადაწყვეტილებების მიღებისა და წინდაუხედავი ნაბიჯების გადადგმისკენ.

**მშვილდოსანი** – თქვენს ყურადღებას მთლანად ოჯახური საქმეები მიიპყრობს. არამდგრადი კონომკური მდგომარეობიდან გამოსავალს იპოვით იმ შემთხვევაში, თუ უცხოელ პარტნიორებთან შეძლებთ კავშირის დამყარებას.

**თხის რქა** – თქვენი ყურადღება ძველ საქმეებზე იქნება მიპყრობილი. ნუ აიღებთ საკუთარ თავზე ზედმეტ პასუხისმგებლობას.

**მერწყული** – დროა, ოჯახური კავშირების განმტკიცებას ან პარტნიორის ძიებას შეუდგეთ. ეს პერიოდი არაჩვეულებრივია სასიყვარულო ურთიერთობებისთვის, თუმცა შეეცადეთ, პარტნიორის თავისუფლება არ შეზღუდოთ.

**თევზები** – თქვენი სწრაფვა განახლებისკენ კონკრეტულ სახეს შეიძენს. მოგეცემათ შანსი, შეიცვალოთ ბინა, პროფესია ან სამუშაო ადგილი.

### ამავე ნომრის კროსვორდების პასუხები:

**სკანვორდი**

1.დეპორტივო. 2. პოლიტიკა. 3. ქერცლი. 4. ქერჩი. 5. ეგმონტი. 6. ცირკონი. 7. იანგული. 8. ოდიშელიძე. 9. რიგელი. 10. ჩაინვორდი. 11. შრატი. 12. როლანგაროსი. 13. რიჩმონდი. 14. ბოში. 15. ავენიუ. 16. ბაგა. 17. ვალოდა. 18. ფილა. 19. ძლიერი. 20. ტარო. 21. ზელანდია. 22. ანდორა. 23. ფერიმჭამელა. 24. სარისტა. 25. ტუია. 26. ნიკიფორე. 27. თაიგული. 28. არგუმენტი. 29. პრიშტინა. 30. ამერიგო. 31. ლოტოტრონი. 32. ლეგა. 33. ესპერანტისტი. 34. სესილია. 35. ექსპრესი. 36. ლემური. 37. სკოჩი. 38. ჩქონი. 39. ანანდი. 40. ურია. 41. რისკი. 42. პანელი. 43. ედუარდო. 44. ქერი. 45. ჯულია. 46. სეილი. 47. გამბია. 48. ფესი. 49. იარლიკი. 50. გრაფინი.

**კროსვორდი**

შვეულად: 1. კამერტონი. 2. მაზოხიზმი. 3. ორგანიზმი. 4. სლაიდი. 6. ექსლიბრისი. 7. ტავაინ. 14. ყიფლიბანდ. 15. ფრანკფურტი. 16. ნილოსი. 17. ინკრუსტაცია. 19. ონდრატა. 20. დედაქალაქი. 25. ტოპოლი. 26. პეტრე.

თარაზულად: 5. ჰერტა. 8. კანავერალი. 9. ფსოვი. 10. დემოკრატია. 11. სტრიქნინი. 12. აბანო. 13. მატერია. 14. ყიფიანი. 18. ბონდიანა. 21. ფლანელი. 22. დუვრი. 24. ბუფეტი. 26. პარმალატი. 27. დეტრიოტი. 28. კამაცუ. 29. მინერალი.

**ცალხაზა:** 1. დუბლი. 2. დუბლიორი. 3. ორიონი. 4. ონიქსი. 5. ქსილოლი. 6. ლოლიტა. 7. ტაიმი. 8. იმიჯი. 9. ჯიგა. 10. გადია. 11. დიათეზი. 12. თეზისი. 13. სინემა. 14. ნემანი. 15. ნიცა. 16. ცამეტი. 17. მეტისი. 18. სილა. 19. ლა.

ISSN 2233-3983


# სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)

ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლსახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.



წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

ნანა თათარაშვილი: მე ერთ-ერთი იმათგანი ვარ ვინც საკუთარ თავზე გამოსცადა ეს წამალი. სახსრების აუტანელ ტკივილს ვგრძნობდი.

სახალხო მკურალ ირმა სიხარულიძესთან. მეათე სეანსის შემდეგ ტკივილი მთლიანად გამიქრა, აღმიდგა შრომისუნარიანობა, გამიუმჯობესდა სისხლის მოძრაობა.

ქალბატონ ირმასთან განიკურნა ცნობილი მსახიობი ლეილა აბაშიძე, მსოფლიო ჩემპიონი დიტო შანიძე, დამსახურებული პედაგოგი ნანული მელიქიშვილი, რეჟისორი ლილი ჯიქიძე, მწერალი მერაბ შათირი და სხვა მრავალი.

დიტო შანიძე: ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი ვარ მძლეოსნობაში. ახალგაზრდობაში რამდენიმე სერიოზული ტრავმა მივიღე. ათასგვარი მკურნალობით თავმობეზრებულს განკურნების დიდი იმედი არ მქონდა. ირმა სიხარულიძესთან 20-დღიანი მკურნალობის შემდეგ კი შედეგი აშკარა იყო და მეც ვაღიარე ამ წამლის ძალა.

მანანა ჩხიკვიშვილი: ექიმებმა დამისვეს ართროზის ანუ კოქსართროზის საწყისი ფორმის დიაგნოზი. თხუთმეტდღიანი კურსის შემდეგ მე, ფაქტობრივად, განვიკურნე. მთელი ცხოვრება ქალბატონი ირმას მადლიერი ვიქნები.

**მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს. მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:**

**ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან) ტელ: 557 358 900, 34 21 63**